

გასაიდუმლოებული ინფორმაცია და გამოძიების ინტერესები
A4



"თქვენი აფხაზეთი"
A5




თბილისში კინოფესტივალი იწყება
A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი, 2006 წელი. №219 (1371)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

თიბისი ბანკი TBC Bank

## თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:
თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51,
"24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 4/10 | 5/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 26 |
| ბათუმი | 23 | 28 |
| სოხუმი | 25 | 27 |
| ქუთაისი | 26 | 29 |
| გორი | 20 | 22 |
| ონი | 19 | 22 |
| ზუგდიდი | 26 | 29 |
| ახმეტა | 21 | 26 |
| სამტრედია | 26 | 29 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7356 |
| ევრო | 2.2115 |
| ბირთვანქა სტერლ. | 3.2775 |
| რუბლი | 0.0649 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
ტენდერი A 6
რევიუ A 7
სპორტი A 8

# ნაბიჯი საქართველოსკენ და ნატო-სკენ

დევიდ სმიტი
პოტომაკის პოლიტიკური მეცნიერებების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრი, ვაშინგტონი. სპეციალურად "24 საათისთვის"

*რუსეთის მწვავე რეაქცია იმ ფარულ გეგმებზე მიუთითებს, რომლითაც ოფიციალური მოსკოვი საქართველოს სტაბილურობისთვის ძირის გამოთხრას და ნატო-ში ინტეგრაციისთვის ხელის შეშლას აპირებს.*

21 სექტემბერს ნატო-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დაიწყონ საქართველოსთან ე.წ. ინტენსიური დიალოგი ალიანსში ამ ქვეყნის გაწევრიანებისთვის, შეიძლება ითქვას, ქვაკუთხედიცაა. ეს ქვაკუთხედი კი, თავის მხრივ, ინტეგრაციისკენ განვლილ გრძელ გზასა და ჯერ კიდევ წინ დარჩენილ ბილიკზე, კერძოდ, საკმაოდ რთული რეფორმების განხორციელების აუცილებლობაზე მეტყველებს. საქართველო თავისი ნატო-ს წევრი 26 პარტნიორისთვის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ტერიტორიად იქცა. ამათგან ყველას კარგად უნდა ესმოდეს ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე არსებული გამოწვევები.

ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნიუ-იორკში შეხვედრაზე ინტენსიური დიალოგის დაწყების გამოცხადებით, ფაქტობრივად, საქართველოს მიერ კარგად შესრულებული ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა აღიარეს. **"საქართველომ მნიშვნელოვნად წაიწია წინ "IPAP"-ის შესრულებაში. იგი პასუხობს თითქმის ყველა მოთხოვნას და პირობას, რასაც ეს დოკუმენტი იძლევა,"** - აღნიშნეს ნატო-ს წარმომადგენლებმა. ინტენსიური დიალოგი კი საქართველოს მიერ სწორად არჩეული კურსის დამადასტურებელი კიდევ ერთი სიგნალია.

გარდა ამისა, ინტენსიური დიალოგის დაწყება ნატო-ს წევრების მიერ საქართველოს იმ წვლილის აღიარებაცაა, რომელიც ამ ქვეყანამ კოსოვოსა და ავღანეთში მიმდინარე

გაგრძელება A3 გვერდზე

# მშვიდობით, „მშვიდობით, იარაღო"!

**B**

*საქართველო მსოფლიოში პირველია შეიარაღებაზე გაწეული ხარჯების ზრდის თვალსაზრისით - ეს დასკვნა მშვიდობის პრობლემათა შემსწავლელმა სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტმა (SIPRI) ჯერ კიდევ ზაფხულში გამოაქვეყნა. მართლაც, ბოლო სამწლიანი ციკლი ამის ნათელი დასტურია: 2005 წელს 2004 წელთან შედარებით შეიარაღებულ ძალებზე გაწეული ხარჯები 143%-ით გაიზარდა და 367 მილიონ ლარს (205 მილიონი დოლარი) მიაღწია. ეს ტენდენცია 2006 წელსაც შეუქცევადია: წინა წელთან შედარებით ზრდა აქაც შთამბეჭდავია - ქართული შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი კიდევ 65%-ით გაიზარდა და ახალ ისტორიულ მაქსიმუმს - 605 მილიონ ლარს (დღევანდელი კურსით 350 მილიონი დოლარი) მიაღწია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჩამონათვალში მხოლოდ სოციალურ საჭიროებებზე გაწეულ დანახარჯებს ჩამოუვარდება.*



# დუშან უგრინი: "კარგი მწვრთნელობა "დინამოშიც" უნდა დავამტკიცო"

მარი ჭავახიშვილი
მიხეილ აბაიშვილი

პან დუშან უგრინს მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებრიობისთვის დიდი წარდგენა არ სჭირდება. 63 წლის ჩეხ სპეციალისტს მისივე მიღწევები ბრწყინვალედ ახასიათებს. უგრინმა 1996 წელს ჩეხეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, სადაც გერმანიასთან მხოლოდ დამატებით დროში დამარცხდა. პან დუშანის თქმით, სწორედ ეს შეხვედრა იყო მისი კარიერის ზენიტიც და ყველაზე დიდი იმედგაცრუებაც. ჩეხეთის ნაკრებამდე უგრინი პრაღის "სპარტაში" შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა და ეს გუნდი თვით ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა. 1996 წელს დუშან უგრინი უეფამ ევროპის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა. ალბათ საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რა კვალიფიკაციის სპეციალისტის ჩამოყვანა მოახერხა თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ.

გაგრძელება A3 გვერდზე



# შეჩერდეს საქართველოზე შხამის ფრქვევის პოლიტიკა

## რუსი უფლებადამცველების მიმართვა

უკანასკნელ დღეებში საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულმა პროპაგანდისტულმა ისტერიამ უპრეცედენტო დონეს მიაღწია. არ ვაპირებთ ჯაშუშური სკანდალის ყველა ასპექტის გაანალიზებას. ჩვენ მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია შეგახსენოთ, რომ გაცხარებული ცივი ომის დროს მომხდარი ინციდენტებისას დაკავებულთა და განდევნილთა რიცხვი ათეულობით "მზვერავს" ითვლიდა, მაგრამ სსრკ-ს მთავრობა არასდროს აძლევდა თავს შხამის ფრქვევის ასე აღვირახსნილი კამპანიის, ან მუქარისა და სანქციების უფლებას. აღშფოთებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ უკვე გამოყენებულმა სანქციებმა, კერძოდ კი, ქართულ ღვინოზე და მინერალურ წყლებზე გამოგონილი პრეტენზიები; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ 2 ოქტომბერს გამოცხადებული სრული ბლოკადა (მათ შორის, 3 ოქტომბრის საავტომობილო კავშირის ბლოკადა); მზადება ფულადი გზავნილების აკრძალვისთვის; საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან დეპორტაციის მოწოდებები - პირველ რიგში, მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენების წინააღმდეგ არის მიმართული და კოლექტიური დასჯის აშკარა ხასიათს ატარებს.

ეს არავითარ შემთხვევაში არ ამტკიცებს იმას, რომ ამ ყველაფერში ბრალი ედება ვითომდა "ავტორიტარულ" რეჟიმს, რომელსაც "ფართო მხარდაჭერა არ გააჩნია". დღეს გაჩაღებულია აშკარად მტრული და დაბალი დონის ანტიქართული პროპაგანდა, რომელიც სამხედრო ქმედებებსაც არ გამორიცხავს და ჩვენს ქვეყანაში ამგვარი მოწოდებები სულ უფრო ხმამაღლა ისმის. ეს ესკალაცია რუსი ოფიცრების გათავისუფლების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბლოკადა არ მოიხსნება

## რუსეთი კუნთებს საქართველოსაც და დასავლეთსაც უჩვენებს

*ანტიქართული ისტერია რუსეთში ძლიერდება. საქართველოს მიერ რუსი მზვერავების გათავისუფლების მიუხედავად, მოსკოვში ეკონომიკური სანქციების გაუქმება არავის უფიქრია. პირიქით, საქართველოსა და მისი მოქალაქეების შევიწროვებაში უწყებები ერთმანეთს ეჯიბრებიან. რუსეთი საქართველოს სჯის - ამაზე რუსული ოფიციოზი ღიად საუბრობს, მაგრამ ამ კამპანიის საბოლოო მიზანს ვერ ასახელებს. ამავე დროს, რუსეთის სხვადასხვა უწყებები საკუთარი ქმედების გასამართლებლად სიცრუესა და თვალთმაქცობას მიმართავენ.*

დიმიტრი ავალიანი

მაგალითად, ოფიციალური ვერსიით, საფოსტო კავშირი საქართველოს ფოსტის მიერ "საერთაშორისო წესების დარღვევის" გამო, სარკინიგზო მიმოსვლა - "მგზავრთა ნაკადის კლების", საავიაციო მიმოსვლა - "ქართული ავიაკომპანიების (დიდი ხნის წონ გაკოტრებული და უკვე არარსებული) ვალების" გამო შეწყდა.

მოსკოვის მილიცია საქართველოს საელჩოსთან არსებულ სასტუმროს და იმ კაზინოს დაერია, რომელსაც, თითქოს, "ქართველი კრიმინალები" აკონტროლებდნენ. მზადდება კანონპროექტი საქართველოში ფულადი გადარიცხვების აკრძალვის შესახებ.

საქარველოს სატრანსპორტო ბლოკადა მეტად თავისებურად ახსნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა: **"ის ზომები, რაც სატრანსპორტო მიმოსვლის შეზღუდვას უკავშირდება, იქითაა მიმართული, რომ შეწყდეს ის უკანონო ფულადი ნაკადები(?), რომლებიც რუსეთიდან საქართველოში დიდი რაოდენობით მიედინება."**

ლავროვი იმასაც ხსნის, თუ რატომ არ სურს რუსეთს საქართველოში რაიმე ფული მოხვდეს. მისი თქმით, რუსეთიდან საქართველოში მოხვედრილი ფული, მათ შორის - "კრიმინალური წყაროებიდან", საქართველოს შეიარაღებას და მილიტარიზაციას ხმარდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ყალბი ფულის გრძელი გზა

*ლაგოდეხის რაიონში ფინანსური პოლიციის არაოფიციალური თანამშრომლის სახელით ცნობილი ლეილა კუსრაშვილის სასამართლო პროცესი დასრულდა. ბრალდებულს, რომელიც დუმილის უფლებას იყენებდა, იმედგაცრუების შემდეგ გავლენიანი პირების დასახელებამ ვეღარ უშველა. ლაგოდეხის რაიონულმა სასამართლომ ბოლო პროცესზე მისი ჩვენება დანაშაულისგან თავის არიდების მცდელობად მიიჩნია და მას თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და 6 თვის ვადით მიუსაჯა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ლეილა კუსრაშვილი, ძალოვნების ერთობლივი ოპერაციის შედეგად, ყალბი ფულის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ მან დაუდგენელ დროს და დაუდგენელი პირისგან ყალბი ასლარიანი კუპიურები შეიძინა, რომელიც ლაგოდეხში მცხოვრებ ლერი მღებრიშვილისგან ორი ცალი 10-ლარიანი მონოს შესაძენად გამოიყენა.

წინასწარმა გამოძიებამ ლეილა კუსრაშვილის ქმედება 212-ე მუხლის პირველი ნაწილით დააკვალიფიცირა. მიუხედავად ამისა, განსასჯელი თავს დამნაშავედ მაინც არ ცნობდა. დაზარალებული ლერი მღებრიშვილი კი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ირწმუნებოდა, რომ კუსრაშვილისთვის მონო-ბარათის მიყიდვის დროს, მას სხვა ფული არ ჰქონდა და ყალბი 100-ლარიანი კუპიურა ნამდვილად მან გადაუხადა.

**"მონო-ბარათის რეალიზაციის შემდეგ, განსასჯელს ორი დღის განმავლობაში ვეძებდი, რადგან იგი "მზიად" გამეცნო და მითხრა, რომ აფთიაქში მუშაობდა. მიუხედავად ამისა, მისი საცხოვრებელი სახლის დადგენა მაინც შევძელი და ფულის გადახდა მოვთხოვე. უარის შემდეგ კი, პოლიციას მივმართე,"** - განაცხადა დაზარალებულმა ლერი მღებრიშვილმა.

გამოძიების მასალებიდან კი ირკვევა, რომ ლეილა კუსრაშვილს დაზარალებულის მოტყუება და შეცვლილი სახელით გაცნობა იმ მიზნით სურდა, რომ ამ უკანასკნელს მისი პიროვნება ვერ დაედგინა. თუმცა, ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გაირკვა, რომ 100-ლარიანი კუპიურა, N12459458 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ანალოგიური ღირებულების მქონე კუპიურებს არ შეესაბამება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# კოდორის სკოლები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

*გარესამყაროსგან მოწყვეტილ, უამრავ პრობლემასთან ბედის ანაბარად მიგდებულ კოდორის ხეობაში ახალი რეალობა სრულიად მოულოდნელად დადგა. საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპაციას გადარჩენილ ქართულ მიწას ისტორიული და სტრატეგიული მნიშვნელობა დაუბრუნა და დღევანდელობის შესატყვისი პოლიტიკური სტატუსის გამომხატველი სახელი - ზემო აფხაზეთი დაარქვა. ცხადია, ამიტომაც მოჰყვა ამ პროცესს აფხაზური მხარის ფორიაქი და ვითომ საპასუხოდ გათვლილი სვლები. ამასთანავე, დაიწყო ხეობის მოსახლეობაში გაბატონებული კარჩაკეტილობისა და მიტოვებულობის განცდის დაძლევა.*

ნატო კორსანტია

ზემო აფხაზეთში სკოლების მშენებლობა-განახლება, საგანმანათლებლო მნიშვნელობასთან ერთად, პოლიტიკურ დატვირთვასაც შეიცავს. სწორედ ამაზე გააკეთა აქცენტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ალექსანდრე აპლაკოვმა, ზემო აფხაზეთში გამგზავრების წინ.

ალექსანდრე აპლაკოვი: **"დრომ ცხადყო, რომ ქვეყანაში შექმნილი ექსტრემალური სიტუაციისას სკოლებს ბარომეტრის როლიც ენიჭებათ. კერძოდ, საზოგადოება მიიჩნევს, რომ თუ სკოლები მუშაობენ და მოსწავლეებს არ ითხოვენ, ესე იგი, ვითარება სტაბილურია და საშიშროება ჩამცხრალია. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, მოწინააღმდეგე მხარემ კოდორის ხეობის სკოლების აღდგენა-განახლება უნდა შეაფასოს, როგორც საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის გამოვლინება და არა პირიქით, უკიჟინოს მას, რომ ომისთვის ემზადება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სკოლებმა ხეობაში თავიდანვე იტვირთეს და შეასრულეს კიდეც მნიშვნელოვანი მისია. თავის დროზე კოდორელ პედაგოგებს მოძალებული პრობლემებისთვის რომ ვერ გაეძლოთ, სკოლები მიეტოვებინათ და ხეობიდან წამოსულიყვნენ, აქაურობა დაიცლებოდა".**

კოდორის ხეობაში სამი საშუალო (აჟარის, ჩხალთის, გენწვისის) და ექვსი დაწყებითი (საკენის, ომარიშარის, გვანდრას, ხუტიას, მარჯვენა გენწვისის, პტიშის) სკოლაა. ამ სკოლებში სულ 330 მოსწავლე და 75 პედაგოგია. ბოლო წლების განმავლობაში ამ სკოლებს პრობლემები დაუგროვდათ, ინვენტარი დაუძველდათ, ყველა მათგანი შესაკეთებელი გახდა, ზოგიერთი სკოლის შენობას კედლები გაებზარა, ზოგსაც საძირკველი მოერყა. განსაკუთრებით მძიმე დღეში კი მაინც გენწვისის საშუალო სკოლის შენობა აღმოჩნდა. ყველაზე შემაშფოთებელი ის იყო, რომ მაშინ ხეობაში ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეცვლის იმედიც არ არსებობდა. ვერც ერთ კოდორელს ვერ წარმოედგინა, რომ უკვე მომავალ სასწავლო წელს მათი შვილები სწავლას გარემონტებულ, ან სულაც ახლადაშენებულ სკოლებში განაახლებდნენ.

ალექსანდრე აპლაკოვი: **"1936 წელს აშენებული გენწვისის საშუალო სკოლა საერთოდაც არ დაექვემდებარა შეკეთებას. ამიტომაც სწორედ ამ სკოლას გადაეცა აჭარის მთავრობის მიერ ნაჩუქარი ხის შენობის კონსტრუქცია, რომელიც შპს "ფონმა" დაამზადა. მადლიერების გრძნობით უნდა ითქვას, რომ ამ საწარმოს დირექტორი ანზორ ბოლქვაძე და მისი მოადგილე თემურ ბოლქვაძე თავად ხელმძღვანელობდნენ ამ კონსტრუქციის ჩამოტანას და აწყობას.**

**ევროპული სტანდარტების შესაბამისად შეკეთდა ჩხალთის სკოლის შენობა, რომლის ნაწილი აფხაზეთის მთავრობას დაეთმო. საქართველოს განათლების სამინისტრო "იაკობ გოგებაშვილის პროგრამის" თანახმად არემონტებს აჟარის სკოლას. ახალი სკოლები შენდება ომარიშარასა და პტიშში. მათ მუნიციპალური განვითარების ფონდი აშენებს. შეკეთდა ან შეკეთების პროცესშია ყველა სხვა სკოლაც. შესაბამისად, ისინი ახალი სასწავლო ინვენტარითაც აღიჭურვნენ. "ირმის ნახტომის" პროექტის ფარგლებში ხეობის საშუალო სკოლებს 10 კომპიუტერი გადაეცა.**

**გარდა ამისა, ჩხალთისა და აჟარის სკოლების გვერდით თბილისის მერიამ თანამედროვე ტიპის სპორტული მოედნები ააშენა. ხეობაში ატანილია კრივის რინგი და საჭიდაო ტატამი. საქართველოს კულტურის სამინისტრომ აქ უამრავი სპორტული ინვენტარი გააგზავნა.**

**წლების განმავლობაში ჩაკეტილი ხეობა, ბუნებრივია, მოწყვეტილი იყო ერთიან ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს და იქ მიმდინარე რეფორმებს. შესაბამისად, ამჟერად დღის წესრიგში დგას ხეობის პედაგოგთა სრული ინტეგრაციის საკითხი ამ სივრცეში. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ტრენინგების ჩატარება და ახალი სასწავლო პროგრამებითა და მეთოდური ლიტერატურით მომარაგება. მალე ხეობაში დაფუძნდება განათლებისა და კულტურის რესურს-ცენტრი, რომელიც კოდორის სკოლებში სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მართვასა და ორგანიზებას უზრუნველყოფს. ამ სკოლებში უნდა შემოვიღოთ აფხაზური ენის სწავლება. ამიტომაც მიმდინარეობს სათანადო სახელმძღვანელოების შედგენა.**

**სხვათა შორის, დღეს თბილისში ბევრი წარმოება-დაწესებულება გამოთქვამს სურვილს, ცოტათი მაინც წააშველოს ხელი ხეობას. სასიხარულოა, რომ ეს ერთსულოვნება გადამდები აღმოჩნდა. წლეულს ხეობიდან რამდენიმე აბიტურიენტი ჩაირიცხა თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ისინი გრანტებზე არიან წარდგენილნი. 10 მათგანის დაფინანსების სურვილი გამოთქვა "თიბისი-ბანკმა". ამ დღეებში აფხაზეთის მთავრობის, თბილისის მერიისა და "ტელე-იმედის" ინიციატივითა და მხარდაჭერით თბილისში 10 კოდორელი მოსწავლე ჩამოიყვანეს. მათი უმეტესობა პირველად იყო დედაქალაქში. მოსწავლეებმა თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერეს, გადაცემა "ეტალონში" მიიღეს მონაწილეობა და შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ შინ.**

**კოდორის ხეობაში ასევე უნდა აშენდეს კულტურის ცენტრი, იგეგმება სამხატვრო სტუდიის მოწყობა, საბავშვო ფოლკლორული ანსამბლის ჩამოყალიბება და უამრავი სხვა რამ.**

**ერთი სიტყვით, ზემო აფხაზეთში განუკითხაობისა და უკანონობის პერიოდი დასრულდა. აქ მიმდინარე პროცესები პირველი ნაბიჯია აფხაზეთის დასაბრუნებლად. ვამაყობ, რომ დღეს მეც აქ ვარ და მჯერა, ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით აფხაზეთის დაბრუნების მონაწილენი".**

# თბილისელი კონფლიქტოლოგი სეპარატისტების არჩევნებში მონაწილეობს

*თბილისში მცხოვრები მაია ჩიგოევა-ცაბოშვილი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში 12 ნოემბრისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს კენჭისყრას. სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილე თბილისელი კონფლიქტოლოგის მიზანია, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას ჩაენაცვლოს ახალი ხელისუფლება, რომელიც შექმნის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრეცედენტს.*

ვერიკო თევზაძე

როგორც მაია ჩიგოევა-ცაბოშვილმა გუშინ მასმედიას განუცხადა, თვითაღიარებული სამახრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მას სიტყვიერი თანხმობა განუცხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის თაობაზე: **"ცხინვალში მითხრეს, რომ რეგისტრაციისას ხელოვნურ ბარიერებს არ შემიქმნიან".**

ჩიგოევა-ცაბოშვილის თქმით, მან უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე სიტყვიერი გარანტიები არა მარტო ოსური მხარისგან, არამედ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდანაც კი მიიღო. მიუხედავად ამისა, იგი მიმართავს საერთაშორსო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსისი წარმომადგენლებს, უზრუნველყონ მისი უსაფრთხოება. **"უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში აუცილებელ გარანტორად ჩემი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა იქნება საერთაშორისო ორგანზაციების და საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურიობა და მზარდი ყურადღება კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენების მიმართ. მოვუწოდებ როგორც რუსულ მხარეს და ეუთო-ს, ასვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, აქტიურად ჩაერთონ მოვლენებში და ერთგვარი გარანტორის როლი შეასრულონ ჩემი კანდიდატურის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რეგისტრაციისა და წინასაარჩევნო კამპანიის დროს"**, - ნათქვამია მიმართვის ტქსტში.

მაია ჩიგოევა-ცაბოშვილი არის არასამთავრობო ორგანიზაცია "იბერ-ირონის" თავმჯდომარე. იგი დარწმუნებულია, რომ არჩვნებში გამარჯვების შანსი აქვს. ჩიგოევა-ცაბოშვილი ცხინვალში 6 ოქტომბრისთვის აპირებს გამგზავრებას.

დღეისთვის თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რეპუბლიკის პრეზიდენტობის ორი კანდიდატი არსებობს - ედუარდ კოკოითი და ოლეგ გაბოძე. გაბოძე ერთ დროს ექსპრეზიდენტ ლუდვიგ ჩიბიროვის ადმინისტრაციაში მუშაობდა.

# საქართველო-ევროკავშირი: პარტნიორობიდან ინტეგრაციისკენ

*ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაციისკენ სავალ გზაზე საქართველომ ბოლო პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა: 21 სექტემბერს ნიუ-იორკში გამართულ ნატო-ს ქვეყნების მინისტერიალზე დადებითად გადაწყდა "ინტენსიურ დიალოგზე" საქართველოს გადასვლის საკითხი, გუშინწინ კი თბილისში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ ე.წ. "ტროიკასთან" ხელი მოეწერა სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის.*

გიორგი ასანიშვილი

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, "24 საათთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ თუ აქამდე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები პარტნიორობით შემოიფარგლებოდა, ამიერიდან უკვე ინტეგრაციის სტადია იწყება.

**"ეს იმას არ ნიშნავს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყანა ვხდებით, მაგრამ სამეზობლო პოლიტიკა, პარტნიორობასთან შედარებით, შინაარსობრივად, თანამშრომლობის გაცილებით მაღალ დონეს გულისხმობს"**, - აცხადებს დავით ბაქრაძე.

მისივე თქმით, სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ძალიან ბევრ პრაქტიკულ ბერკეტს იძლევა იმისთვის, რომ თანდათანობით მოხდეს ევროკავშირში საქართველოს სრული ინტეგრაცია. დეპუტატი აგრეთვე შენიშნავს, რომ მომავალში საქართველო ევროკავშირთან მხოლოდ მეზობლობით არ შემოიფარგლება და აუცილებლად მივა იმ ეტაპამდე, როდესაც, ერთი მხრივ, ევროკავშირი შედარებით გახსნილი იქნება გაფართოებისთვის, მეორე მხრივ კი, თავად საქართველოც უკეთ იქნება ამისთვის მზად.

**"სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების შემდეგ საქართველო აქტიურად დააყენებს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს. დღევანდელ ეტაპზე ამის გაკეთება კონტრპროდუქტული იქნებოდა: გარკვეულ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტანდარტებს თავი რომ დავანებოთ, თავად ევროკავშირის შიგნით გაფართოების მიმართ გარკვეული სკეპტიციზმი შეინიშნება"**, - აცხადებს დავით ბაქრაძე.

ევროკავშირთან ურთიერთობების გააქტიურობა საქართველომ, შესაძლოა, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც გამოიყენოს. ყოველ შემთხვევაში, როგორც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა "24 საათს" განუცხადა, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან გუშინდელი შეხვედრის დროს, "ტროიკის" წარმომადგენლებმა თავად დააფიქსირეს ევროკავშირის სურვილი, რომ ამ ორგანიზაციამ სერიოზული მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

გარდა ამისა, ქართველ პოლიტიკოსებს იმედი აქვთ, რომ ევროკავშირი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგების საკითხშიც შეიტანს თავის წვლილს.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ევროკავშირში კარგად ხედავენ საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯებზე რუსეთის მხრიდან წამოსულ არაადეკვატურ რეაქციას და პოზიტიურად აფასებენ ჯაშუშებთან დაკავშირებით თბილისში მიღებულ გადაწყვეტილებას.

**"ამ ნაბიჯმა ჩვენი მეგობრები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ სურს სიტუაციის გამწვავება და პროვოცირება. ჩვენი მიზანია სახელმწიფოს ინტერესების დაცვა და მზად ვართ, გადავდგათ ნაბიჯები არათუ კრიზისის გასამწვავებლად, არამედ ამ კრიზისის მოსაგვარებლად,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ "ტროიკის" წევრებთან დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ.

აღნიშნულ შეხვედრას დავით ბაქრაძე და კოტე გაბაშვილიც ესწრებოდნენ. ამ უკანასკნელის თქმით, "ტროიკამ" მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობების პირობებში, თბილისმა რაციონალური გზა აირჩია.

**"თვალშისაცემი იყო აგრეთვე "ტროიკას" წუხილი რუსეთის მიერ წარმოებული აგრესიული პოლიტიკის გამო"**, - აღნიშნავს კოტე გაბაშვილი.

თავის მხრივ, დავით ბაქრაძეც ადასტურებს ევროკავშირის დელეგაციის წევრთა პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ **"საქართველოს ხელისუფლება კარგად მოიქცა, როდესაც რუსეთის კონფრონტაციულ ქმედებებს არ აჰყვა და ზომიერი განცხადებებით შემოიფარგლა".**

ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ კომენტარი "ტროიკის" წევრებმაც გააკეთეს. ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, - ფინეთის, - საგარეო საქმეთა მინისტრი ერკი ტუომიოია საჭიროდ მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად იდგეს იმისთვის, რათა დაწყებული რეფორმები გაგრძელდეს და ბოლომდე მივიდეს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო სტრუქტურების გაძლიერება და მათი დამოუკიდებლობის გაზრდა.

# ახალი ინტონაციები "ახალი მემარჯვენეების" რიტორიკაში

რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულმა აგრესიულმა ქმედებებმა ოპოზიციას ხელისუფლების კრიტიკაზე დროებით ხელი აალებინა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე ქვეყნის მმართველი ძალის მიმართ უჩვეულოდ ლოიალური იყო.

მისი თქმით, საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, ბუნებრივი ნაბიჯი გადადგა, როდესაც უცხო, არაკეთილმოსურნე სახელმწიფოს ჯაშუშები გამოავლინა და ისინი საერთასორისო ნორმების სრული დაცვით დააკავა.

**"რუსეთის აგენტების დაკავება და ეუთო-სთვის მათი გადაცემა ძალიან ღირსეული გამოსავალი იყო,"** - აცხადებს დავით გამყრელიძე.

"მემარჯვენეების" ხელმძღვანელის აზრით, ჯაშუშებთან დაკავშირებული სკანდალის ფონზე, თვალშისაცემი იყო "რუსეთის დაბნეული პრეზიდენტის ემოციური, მუქარისშემცველი გამოსვლა" საქართველოს მიმართ სხვადასხვა ხასიათის სანქციების დაწესებისა და ბლოკადის შემოღების თაობაზე.

**"ეს არის არაადეკვატური და რუსეთისთვის წამგებიანი ნაბიჯი, რომლითაც პუტინმა თვითილუსტრაცია მოახდინა და მთელი მსოფლიო საქართველოს პოზიციის სისწორეში დაარწმუნა. მოსკოვის მიერ შემოღებული ნებისმიერი სანქცია უშედეგო იქნება. მათ მხოლოდ მცირე ხნის განმავლობაში შეიძლება ჰქონდეთ ეფექტი და საქართველოს რაიმე სერიოზულ პრობლემას ვერ შეუქმნის,"** - მიიჩნევს გამყრელიძე.

იგი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ურჩევს, შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოს: რუს სამშვიდობოებს ცალმხრივად შეუწყვიტოს მოქმედების მანდატი და გააკეთოს ოფიციალური განცხადება დსთ-ს რიგებიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ.

**"ეს საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, სრულიად სხვა სიბრტყეში გადაიყვანს,"** - ვარაუდობს ოპოზიციონერი პარლამენტარი.

*24 საათი*

# საბოლოო რჩევები ცესკო-ს

*ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღე 5 ოქტომბერი უქმე დღედაა გამოცხადებული. ამის შესახებ ბრძანებულებას საქართველოს პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი. წლების განმავლობაში არჩევნები კვირა დღეს ტარდებოდა.*

ნათია მსხილაძე

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გურამ ჩალაგაშვილს საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადებული წინასაარჩევნო რეკომენდაციების პაკეტი გადასცა.

ნინო ბურჯანაძის და გურამ ჩალაგაშვილის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ნახევარი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. მედიისთვის კომენტარი შეხვედრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

ბურჯანაძის განცხადებით, წინასაარჩევნო მონიტორინგის მიზნით შექმნილი საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების ნაწილი ცესკო-ს უკვე შესრულებული აქვს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გასცა ზუსტი ინსტრუქცია არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცედურის შესახებ. **"გადაწყდა, რომ დევნილები ხმას მისცემენ როგორც პირადობის, ასევე დევნილობის საბუთით და მესამე რეკომენდაცია, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე გაითვალისწინა - სამხედროები ხმას მხოლოდ საკუთარი დისლოკაციის ადგილების მიხედვით მისცემენ. ყაზარმებში კი რეგისტრაციის პროცედურები დასრულებულია,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ნინო ბურჯანაძემ საოლქო და საუბნო კომისიების თავმჯდომარეებს და წევრებს მოუწოდა, რომ საკუთარი პროფესიული ვალი მაღალ დონეზე შეასრულონ და არ დაუშვან არც ერთი შეცდომა, რადგან ნებისმიერი რანგის პირის მიერ დაშვებული შეცდომა უმკაცრესი ფორმით დაისჯება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით საქართველომ მსოფლიო თანამეგობრობას უნდა დაუმტკიცოს, რომ არჩევნები გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდა.

# გაერო-ს ახალი გენერალური მდივანი, სავარაუდოდ, აზიიდან იქნება

*გაერო-ს გენერალური მდივნის ადგილის დასაკავებლად ჩატარებულ არაფორმალურ არჩევნებზე უპირატესობა სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბან კი მუნმა მოიპოვა. 62 წლის საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურა 9 ოქტომბერს დაგეგმილ ოფიციალურ არჩევნებზე იქნება წამოყენებული.*

თეა მაისურაძე

წინასწარი პროგნოზით, კოფი ანანს ბან კი მუნი შეცვლის. შეგახსენებთ, რომ გაერო-ს ამჟამინდელი გენერალური მდივანი უნივერსალურ ორგანიზაციას უკვე 10 წელია უდგას სათავეში და მას გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულების ვადა მიმდინარე წლის 31 დეკემბერს შეუწყდება. გამარჯვების შემთხვევაში, სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრი რიგით მერვე გაერო-ს გენერალური მდივანი გახდება.

ორშაბათს ჩატარებულ არაფორმალურ არჩევნებზე სამხრეთ კორეის კანდიდატმა 14 დადებითი ხმა მიიღო, მათ შორის უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და რუსეთი). ხმის მიცემა ფარულად მიმდინარეობდა, უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს ლურჯი, ხოლო დანარჩენ ათ ქვეყანას კი თეთრი ფერის საარჩევნო ბიულეტენები ჰქონდათ.

ბან კი მუნი სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე 2004 წელს დაინიშნა და ძალიან კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

კორეელი დიპლომატები აცხადებენ, რომ "მისტერ ბანი" ყველაზე პოპულარული ადამიანია ქვეყანაში, რომელიც აქტიურად არის ჩართული სამხრეთ კორეის საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში.

სამხრეთ კორეა ძალიან არის დამოკიდებული ექსპორტზე. სწორი და მიზანმიმართული ეკონომიკური რეფორმების გატარებით ოფიციალურმა სეულმა შესძლო 1950 წელს დანგრეული ეკონომიკის აღორძინება და დღესდღეობით ის აზიის მესამე ძლიერი სახელმწიფოა ეკონომიკური თვალსაზრისით.

**"დიდი პატივია, რომ გახდე გაერო-ს გენერალური მდივანი.... მე მისტერ ბანს წარმატებებს ვუსურვებ,"** - განაცხადა გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ საზოგადებრივი ინფორმაციის დარგში.

ჩინეთი პოზიტიურად არის განწყობილი მიმდინარე მოვლენების მიმართ. ოფიციალური პეკინის სურვილია, რომ გაერო-ს გენერალური მდივნის პოსტი აზიელმა კანდიდატმა დაიკავოს იმ ტრადიციის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს როტაციას გენარალური მდივნის პოსტზე რეგიონების მიხედვით. ბოლო აზიელი გენერალური მდივანი გაერო-ს სათავეში იყო ბურმას უ ტანტი, 1961-71 წლებში.

ჩინეთის პოზიციას იზიარებს რუსეთიც და მიიჩნევს, რომ როტაციის პრინციპის მიხედვით გენერალური მდივნის პოსტი ამჟამად აზიელმა კანდიდანტმა უნდა დაიკავოს. **"არჩევნების პროცესიც სწორედ ამ მიმართულებით მიდის,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა.

კამინინის თქმით, ოფიციალური მოსკოვი თავიდანვე უჭერდა მხარს სამხრეთ ოსეთის კანდიდატურას. რუსეთში მას მაღალკვალიფიცირებულ პროფესიონალად მიიჩნევენ, რომელსაც შეუძლია წარმატებით გაართვას თავი გაერო-ს გენერალური მდივნის მოვალეობას.

## მოკლედ

### შეხვედრა რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის დელეგაციასთან

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი შეხვდა საქართველოში 5 ოქტომბერს დაგეგმილი ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფალთა კონგრესის დელეგაციის წევრებს.

შეხვედრისას საუბრის ძირითადი თემა იყო ადგილობრივი არჩევნების მოსამზადებლად საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განვითარებისა და მათი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები. საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს არჩევნების მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩასატარებლად.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში დელეგაციას დაგეგმილი აქვს შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, პრემიერ-მინისტრთან, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან, დედაქალაქის მერთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. **მედიანიუსი**

### აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება თუ "დიდი რვიანი"?

რადიოსადგურ "გოლოს რასიამ" საქართველო-რუსეთს შორის გართულებული მდგომარეობის გამო პოლიტიკური ექსპერტები მოიწვია და არსებული ვითარების შეფასება და მოვლენების შესაძლო განვითარებაზე ანალიზის გაკეთება სთხოვა.

"შესაძლოა თუ არა უახლოეს მომავალში საქართველო რუსეთს შორის საომარი მოქმედებების დაწყება?" - ამ კითხვაზე დასავლელ ექსპერტთა უმრავლესობა უარყოფით პასუხს იძლევა. მაგრამ, მათივე აზრით, საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირებამ უკვე საკმაოდ დიდ მასშტაბს მიაღწია და მდგომარეობის ნორმალიზება ახლო მომავალში, ალბათ, შეუძლებელი იქნება.

საქართველოსა და რუსეთს შორის მდგომარეობის ნორმალიზებას, ექსპერტთა აზრით, პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა შეძლებდა. ეს მოსკოვსა და თბილისს შორის შექმნილ სიტუაციაში პოზიტივისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნებოდა.

"სამხედრო სცენარით მდგომარეობის გართულება ნაკლებსავარაუდოა და არა იმიტომ, რომ ამას დასავლეთის უარყოფითი რეაქცია მოჰყვება, არამედ იმიტომ, რომ ეკნომიკური სანქციები, რომელთა გამოყენება რუსეთს შეუძლია, საკმაოდ ეფექტური შეიძლება იყოს.

ყოველივე კი საქართველოში შიდა მდგომარეობას დაძაბავს და მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს", - მიიჩნევენ დასავლელი ექსპერტები.

ექსპერტები საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ შესაძლოა რუსეთმა ეს სიტუაცია მართლაც გამოიყენოს და ეს რესპუბლიკები აღიაროს.

"მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება გამორიცხული არ არის. მით უფრო, რომ ამისთვის საკმაოდ ხელსაყრელი მომენტია. მაგრამ შეუძლებელია, მოსკოვმა ამ ნაბიჯის შესაძლო განხორციელებისას აშშ-სა და დასავლეთის პოზიცია არ გაითვალისწინოს. თუ ეს ასე მოხდა, შესაძლოა, აშშ-მ და დასავლეთმა რუსეთის წევრობა "დიდ რვიანში" კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ", - ამბობენ დასავლელი ექსპერტები და დასძენენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ამ ნაბიჯის გადადგმამდე რუსეთი კარგად დაფიქრდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ლეიბორისტების" გასაიდუმლოებული შეხვედრა

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ადასტურებს ამერიკის ელჩთან ჯონ ტეფტთან შეხვედრის ფაქტს, თუმცა დეტალებს არ აკონკრეტებს.

როგორც ნათელაშვილმა "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, საუბრის თემისა და დეტალების გამხელას არ აპირებს, რადგან "საერთაშორისო სკანდალს ერიდება".

"დიპლომატიური პროტოკოლი მაიძულებს შეხვედრის შესახებ არ ვისაუბრო. არ ვაპირებ დეტალების გამოაშკარავებით საერთაშორისო სკანდალი გამოვიწვიო", - განაცხადა ნათელაშვილმა.

"ლეიბორისტთა" ლიდერის და ამერიკის ელჩის შეხვედრა გუშინ დილით შედგა. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფარუაშვილი (სპორტი).

რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ნაბიჯი საქართველოსკენ და ნატო-სკენ

პირველი გვერდიდან

ოპერაციებში მონაწილეობით შეიტანა საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში და ამით ალიანსს თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც დაუმტკიცა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ინტენსიური დიალოგი საქართველოს შემდგომი რეფორმებისთვის ახალ კრიტერიუმებს დააწესებს. ვინაიდან საქართველო ნატოში გაწევრიანების უფრო მაღალი საფეხურისკენ მიდის, კერძოდ, წევრობის სამოქმედო გეგმისკენ "MAP", სტანდარტები კიდევ უფრო გამკაცრდება, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიისთვის გარკვეული შეღავათები გათვალისწინებული იქნება.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ კი 21 სექტემბერს ნატო-ს მიერ გამოქვეყნებული პრეს-რელიზიც გამოდგება, რომლის თანახმად ""IPAP"-ით შენარჩუნდება თავდაცვის უმთავრესი პროგრამა და ინსტიტუციური რეფორმები საქართველოში, მაგრამ ნატო-ს წევრი ქვეყნები გააგრძელებენ საქართველოს დახმარებას ამ დოკუმენტით გათვალისწინებული უმთავრესი ამოცანების შესასრულებლად." სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ნატოში მიაჩნიათ, რომ საქართველომ "IPAP"-ით გათვალისიწნებული მოთხოვნები შეასრულა, თუმცა აღებული კურსის სიმყარის შემდგომი გამტკიცებისთვის ჯერ კიდევ საჭიროა მუშაობა.

თავდაცვის სფეროში ნატო საქართველოსგან *სტრატეგიული თავდაცვის შემოწმების* პროფესიულად დასრულებას ელის. ამ კუთხით კი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თავი მართლაც მაღალ დონეზე წარმოაჩინა მაისში, თბილისში ჩატარებული კონფერენციის შედეგებით. რაც შეეხება ქვეყნის დემოკრატიულ მართვას, დასავლელი მოკავშირეები სამართლებრივ და იურიდიულ რეფორმებში მნიშვნელოვან პროგრესს მოელიან საქართველოსგან.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ინტენსიური დიალოგის ხანგრძლივობა მაინც გაურკვეველია, რადგან უკრაინამ, რომელმაც იგი გასული წლის აპრილში დაიწყო, თავისი მაგალითით ზოგიერთი მინიშნება უკვე მოგვცა. საქართველო და ნატო დიალოგისთვის მუშაობას გააგრძელებენ. დიალოგის ჩარჩოებმა მსჯელობა კონკრეტულ მიზნებს უნდა დაუკავშიროს, რათა დამტკიცდეს, რომ ინტენსიური დიალოგი არ მიიღებს დაუსრულებელი დიალოგის ფორმებს. საქართველომ და ალიანსმა დიალოგში თავისი ნიშა უნდა დაიკავონ არაუმეტეს ერთი წლის ვადისა. ამის შემდეგ კი საქართველომ უნდა დაიწყოს მზადება "MAP"-ისთვის.

ინტენსიური დიალოგის ჩარჩოში მრავალი მიზნის შეთანხმება უკვე არსებული "IPAP"-ის ამოცანების შესრულებას უნდა ნიშნავდეს. თუ უკრაინის გამოცდილებას სახელმძღვანელოდ ავიღებთ, შეიძლება ითქვას, რომ ინტენსიური დიალოგით გათვალისწინებული რეფორმები უნდა იყოს ის საფუძველი, რასაც ალიანსი დაეყრდნობა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ინტენსიური დიალოგი არამარტო საქართველოსა და ალიანსს შორის ურთიერთობას გულისხმობს, არამედ საქართველოსადმი დანარჩენი 26 წევრის დამოკიდებულებასაც მოიცავს.

საქართველომ კარგად უნდა გაითავისოს იმ რეფორმების მნიშვნელობა, რომელთა ზედმიწევნით შესრულებაც მან უნდა შეძლოს. თუმცა, არსებობს კიდევ არეალი, სადაც ნატო-ს, თავის მხრივ, დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საქართველოსთვის. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი თავად ალიანსის წევრების დამოკიდებულებაა, ისინი გაგებით უნდა მოეკიდნონ არსებულ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს და ისინი საქართველოსთან ერთად გადაჭრან.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, **"ინტენსიური დიალოგი მნიშვნელოვანი სარკმელია უზარმაზარი პროგრესისთვის. ახლა საქართველოს, როგორც არასდროს, ერთიანობა და სტაბილურობა სჭირდება".** რუსეთის მწვავე რეაქცია კი იმ ფარულ გეგმებზე მიუთითებს, რომლითაც ოფიციალური მოსკოვი საქართველოს სტაბილურობისთვის ძირის გამოთხრას და ნატო-ში ინტეგრაციისთვის ხელის შეშლას აპირებს.

**"ამის მიმართ ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება კარგადაა ცნობილი, რადგან არატრანსფორმირებულ ნატო-ში საქართველოს შესვლა, თუ კი ეს გეგმა მართლაც განხორციელდა, რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ინტერესებს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს და კავკასიის მყიფე ვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. თითქოს შემთხვევით ნათქვამი "არატრანსფორმირებული ნატო" კი ალიანსისთვის უფრო მეტი გამოწვევაა, ვიდრე საქართველოსთვის. როგორც 19 სექტემბერს რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინიდან ინფორმაციული გაჟონვით მტკიცდება, აშშ და ნატო რუსეთის ორი უმთავრესი მტერია!

მიუხედავად იმისა, რომ კრემლის ასეთი მესიჯი მკვეთრზე უფრო მკვეთრია, იგი მაინც განსხვავებულად აღიქმება ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ.

ზოგიერთი მათგანი ნათლად ხედავს, რომ მოსკოვის სახიფათო რიტორიკა პირდაპირაა დაკავშირებული საქართველოს გეოპოლიტიკურ რეალობასთან, ზოგიერთი კი ფსონს მაინც მოსკოვის განცხადებებზე აკეთებს, საბჭოთა ტანკების გაფერმკრთალებული სურათებისა და უფრო თანამედროვე ინტერესების, კერძოდ, ენერგომატარებლებისა და აღქმითი სტაბილურობის შერწყმით.

სწორედ ეს უკანასკნელნი გამოდიოდნენ ინიციატივით, გადაევადებინათ საქართველოსთვის ინტენსიური დიალოგის შეთავაზება, ვიდრე გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილის მოხსენებას მოისმენდნენ. საბედნიეროდ, მცდელობა, ზეგავლენა მოეხდინათ რუსეთის სასარგებლოდ, უშედეგო აღმოჩნდა. ამ ქვეყნებისთვის კი 22 სექტემბერს მოსმენილი სააკაშვილის გამოსვლა "მწარე სიმართლის" მოსმენა იყო. **"აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერაა ანექსირებული. ტერიტორიული კონფლიქტებით უხეშად ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები. მემკვიდრეობით მიღებული სამშვიდობო ძალები და მოლაპარაკებების ფორმატი ვეღარ ფუნქციონირებს,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილის სიტყვის მოსმენის მიუხედავად, ნატო-ს ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ მაინც დაიწყო - "ჩვენ მოვიფიქრებთ.. ჩვენ ვითანამშრომლებთ. ჩვენი მიზანი მშვიდობის დამყარებაა მშვიდობიანი მეთოდებით". ეს ნატო-ს ზოგიერთ მოკავშირესა და სხვებს შორის პერცეფციული აღქმის ნაკლებობაზე მიუთითებს. ინტენსიური დიალოგის პროცესმა გეოპოლიტიკურ აღქმებში არსებული ეს უფსკრული უნდა ამოავსოს.

საქართველომ კარგად უნდა გაითავისოს ინტენსიური დიალოგის მოთხოვნები და მათი შესრულებით არსებული გეოპოლიტიკური ვითარება მომავალ მოკავშირეებთან თანამშრომლობით უნდა შეცვალოს. თუ ამას მკაცრი რეფორმების პროგრამას დავუმატებთ, ეს საქართველოსთვის საკმაოდ რთული გამოწვევაა, ამგრამ ამაზე რთულია ის გამოწვევა, რომლის წინაშეც ნატო-ს 26 წევრი ქვეყანა დგას, რომელთაც არა მარტო დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს რეფორმების განხორციელებაში, არამედ თავიც უნდა გაართვან სერიოზულ გეოპოლიტიკურ შეფასებებსაც რუსეთთან მათი ურთიერთობის "გაცივების" რისკის მიუხედავად.

ინტენსიური დიალოგის ოფიციალური ჩარჩო დოკუმენტი და მოლაპარაკებები ნატო-ს სპეციფიკურ მოლოდინებზე უნდა იყოს ორიენტირებული და საქართველომ მათ უნდა უპასუხოს. პარალელურად კი მოკავშირეებმა ინტენსიური დიალოგი საქართველოსთან უნდა გამოიყენონ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დემოკრატიული მოკავშირის ჩამოყალიბებისთვის. მათ უნდა აიძულონ მოსკოვი, გარკვევით თქვას, როგორ ემუქრება ნატო-ში საქართველოს ინტეგრაცია რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ინტერესებს. მათ მთელი ენერგია უნდა ჩადონ დიპლომატიურ პროცესში, რათა საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტები მშვიდობიანი გზით გადაწყდეს.

თუ ნატო ამას მომავალი წლის განმავლობაში მოახერხებს, ინტენსიური დიალოგი ისტორიული წარმატება იქნება საქართველოსთვის და არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ალიანსისთვის. "MAP"-ი საქართველოსთვის და მისი გაწევრიანება ალიანსში შორეული მომავლისთვის არ უნდა გადაიდოს.

# შეჩერდეს საქართველოზე შხამის ფრქვევის პოლიტიკა

პირველი გვერდიდან

ისტორია გვასწავლის, რომ ძალიან ხშირად ომები ისტერიით და ფსევდოპატრიოტული წამოძახილებით იწყება და ეს პოლიტიკოსებს შეშლილი ნაბიჯებისკენ და კომპრომიებზე უარისკენ უბიძგებენ.

საზიზღრობად მიგვაჩნია ბატონი რამოდანოვსკის (ტმუ-ს დირექტორი) მიერ დათვლილი პროცენტები, რომლებიც, თითქოსდა, საქართველოს მოსახლეობის "კრიმინალურობას" ასახავს. საზიზღრობად მიგვაჩნია სამხედრო დემაგოგიისა და შავი ზღვის ფლოტის ყოფილი სარდლის, ადმირალ ბალტინის მაგვარი სამხედროების საქართველოსთან მოპოვებული გამარჯვებებით ბაქიაობა; გოსდუმის ვიცესპიკერის, ჟირინოვსკის მოწოდებები "ნატო-ში შესვლამდე საქართველოს დაუთოებისა და ოკუპაციის შესახებ", ან "დავარტყათ თბილისს!"; დეპუტატ ალქსნისის მოწოდებები არალეგალი ქართველების "მასობრივი დეპორტაციის" შესახებ - ეს ყველაფერი დეპუტატის ხელშეუხებლობას ამოფარებული წაქეზებაა საერთაშორისო სამართლის დარღვევებისკენ. სხვა მაღალჩინოსანმა მოღვაწეებმა, პრეზიდენტ პუტინისა და ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მირონოვის ჩათვლით, შედარებით ფრთხილ ნაბიჯებს მიმართეს, მაგრამ მათ გამონათქვამებში სახელმწიფო ტერორიზმში და შეიარაღებულ კონფლიქტში დადანაშაულება შეინიშნებოდა. ამან კი, კრიზისს არაპროპორციული საომარი ხასიათი შესძინა.

გვინდა შეგახსენოთ, რომ საერთაშორისო პაქტით, რომელიც თვითგამორკვევის თავისუფლებას გარანტირებულს ხდის, მკაფიოდ აკრძალულია ორი სახის პროპაგანდა - ომისა და სიძულვილის (სტატია 20; 1. ომის ყოველგვარი პროპაგანდა კანონით უნდა იყოს აკრძალული; 2. ნაციონალური, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის წამქეზებელი ყოველგვარი გამოსვლა, რომელიც დისიკრიმინაციის, მტრობისა ან ძალადობისკენ არის მიმართული, კანონით უნდა იყოს აკრძალული). ეს ნორმები რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსშიც არის ასახული.

ამჟამინდელ ანტიქართულ კამპანიას ვაფასებთ, როგორც ბიძგს არა თავდაცვითი, არამედ აგრესიული ომისკენ. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორისგან მოვითხოვთ სამართლებრივ რეაქციას. რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებას მოვუწოდებთ მორალური ბოიკოტი გამოუცხადონ იმ მოღვაწეებს, რომლებიც საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი სიძულვილს თესენ; პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს მოვუწოდებთ ღიად გამოვიდნენ საქართველოს ბლოკადისა და ომისთვის მზადების წინააღმდეგ.

***ლუდმილა ალექსეევა*** *- მოსკოვის ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე;*
***ლევ პონომარიოვი, სვეტლანა ჩუვილოვა, ევგენი იხლოვი*** *- სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობა "ადამიანის უფლებებისთვის";*
***ელენა ბონერი*** *- უფლებათა დამცველი;*
***იური სამოდუროვი*** *- ა.დ. სახაროვის სახელობის მუზეუმისა და საზოგადოებრივი ცენტრის - "მშვიდობა, პროგრესი, ადამიანის უფლებები"-ს დირექტორი;*
***ვენედიქტ დოსტოვალოვი, ნადეჟდა დონოვსკაია*** *- "ვეჩე" (ფსკოვი);*
***ანდრეი პიონტკოვსკი*** *- პოლიტოლოგი;*
***ერნსტ ჩორნი*** *- "ეკოლოგია და ადამიანის უფლებები";*
***ალექსანდრ ვინნიკოვი*** *- მოძრაობა "რუსეთი რასიზმის გარეშე", სრულიად რუსეთის სამოქალაქო კონგრესის კომიტეტის წევრი (სანკ-პეტერბურგი);*
***ვადიმ ბელოცერკოვსკი*** *- მწერალი;*
***იგორ გ. იაკოვენკო*** *- კულტუროლოგი, უფლებათა დამცველი;*
***ლიდია რიბინა*** *- ტამბოვის უფლებების დაცვის ცენტრი.*

# ბლოკადა არ მოიხსნება

პირველი გვერდიდან

**"იმედი მაქვს, ჩვენ მიერ მიღებული ზომები მნიშვნელოვნად შეასუსტებს თანხების მოძრაობას ამ არხებით,"** - განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგაც გაილაშქრა და ღიად განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკის მიზანი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობიდან მესამე ქვეყნებისა და სტრუქტურების მოცილებაა. ლავროვის თქმით, რუსეთმა "მესამე ქვეყნების" და "სპონსორების" ყურადღება **"სააკაშვილის რეჟიმთან მათ სახიფათო თამაშზე"** არაერთხელ გაამახვილა.

**"რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მესამე ქვეყნების წვლილი იგრძნობა. ჩვენი ამოცანაა, რომ ეს პკე მოვიცილოთ. რა თქმა უნდა, თუ ქართულ მხარეს უნარი შესწევს გათავისუფლდეს ხელოვნური ფაქტორებისგან და ისეთი ქმედებებიგან, რომლებიც წამლავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს,"** - განაცხადა მინისტრმა. ლავროვმა ისიც აღნიშნა, რომ, ჯერჯერობით, საქართველოს სატრანსპორტო ბლოკადის მოხსნა არ იგეგმება.

ანონიმურმა წყარომ კრემლიდან გაზეთ "კომერსანტს" განუცხადა, რომ სანქციები საქართველოს წინააღმდეგ არის პასუხი არა იმდენად რუსი ოფიცრების დაკავებაზე, არამედ ზოგადად საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. **"თბილისის ბოლოდროინდელი რიტორიკა დასაშვების ზღვარს სცილდებოდა. ახლანდელი რეჟიმის დასავლელი თაყვანისმცემლებიც კი სირცხვილით თვალს გვარიდებდნენ, როდესაც საქართველოს ოფიციალური პირები განცხადებებს აკეთებდნენ. ახლა პასუხი აგონ იმათზე, ვინც გაიშინაურეს,"** - აცხადებს ანონიმი რესპონდენტი. კრემლის ინკოგნიტო წარმომადგენელს ეჭვი ეპარება, რომ საქართველოს მხრიდან დათმობების შემთხვევაშიც კი გაუქმდეს სანქციები.



*სატრანსპორტო შეზღუდვებს ლავროვი თავისებურად ხსნის.*

ანტიქართული ისტერია რუსეთში უარყოფითად მხოლოდ დამოუკიდებელი მედიის ნაწილმა და უფლებათადამცველი ორგანიზაციების წარმოადგენლებმა (მათ მიმართვას გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ) შეაფასეს.

დასავლური პრესა რუსულ-ქართულ დაპირისპირებას არაერთგვაროვნად აფასებს. "გარდიანის" სარედაქციო სტატიაში - "ისევ საბჭოთა კავშირიდან", ამჟამინდელ დაპირისპირებაში დამნაშავეებად ორივე მხარეა მიჩნეული. კერძოდ, ავტორების აზრით, რუსეთმა უნდა გააუქმოს საქართველოს წინააღმდეგ შემოღებული ყველა სანქცია. **"სააკაშვილი კი მოწინააღმდეგის არჩევაში ფრთხილად უნდა იყოს. დასავლელ დიპლომატებს შორის არსებობს ეჭვი, რომ იგი ახლანდელ კონფრონტაციას განგებ გეგმავდა, რათა რუსეთის ჩარევისთვის აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ყურადღება მიეპყრო. მაგრამ დაპირისპირება კონფლიქტში რომ გადაზრდილიყო, მას იმედგაცრუება ელოდა. აშშ-სგან იგი დახმარებას ვერ მიიღებდა, ვინაიდან საქართველო ჯერ ნატო-ს წევრი არ არის,"** - წერს "გარდიანი".

გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" ყურადღებას ამახვილებს პუტინის იმ განცხადებაზე, რომ აშშ-ს პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრისას ამ უკანასკნელს ურჩია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არ ჩარეულიყო.

**"ბუშმა ეს ქედმაღლური გაფრთხილება ყურად არ უნდა იღოს... შეერთებულ შტატებს არათუ ჩარევის უფლება აქვს, არამედ ვალდებულიცაა, მხარი დაუჭიროს საქართველოს დამოუკიდებლობას და სააკაშვილის სწრაფვას ლიბერალური დემოკრატიისკენ და ნატო-ში გაწევრიანებისკენ. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა სწორად აღნიშნა, დროა რუსეთს ვუთხრათ "კმარა!"** - წერს "ვაშინგტონ პოსტი.

რუსეთის ოფიციოზი აღარც მალავს, რომ მისი მთავარი მიზანი "სააკაშვილის რეჟიმის" დამხობაა. თუმცა, ძნელი სათქმელია, კრემლში ამის რამდენად სჯერათ. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებამ იმდენი იყვირა საკუთარ "დამცირებაზე" და "შელახულ ღირსებაზე", რომ ამჯერად საკუთარი საზოგადოების თვალში საქართველოს დემონტსრაციული დასჯის დემონტსრირება აუცილებლად სჭირდება.

ძალის დემონსტრირების პარალელურად რუსეთი იმის ღიად წარმოჩენასაც აღარ ერიდება, რომ საქართველოსთან კონფლიქტის მთავარი მიზეზი ქვეყნის დასავლური ორიენტაცია და ნატო-ში გაწევრიანების გეგმებია, რის დამტკიცებასაც საერთაშირისო არენაზე საქართველოს ხელისუფლება ამდენი ხანი ცდილობდა. ამჯერად კი ყველასთვის ნათელია როგორც კონფლიქტის არსებობა, ასევე მისი მიზეზებიც. ამ მხრივ მოსკოვმა თბილისს საქმეც კი გაუადვილა, თუმცა მთავარი ისაა, რამდენად შეძლებს დასავლეთი, დაეხმაროს საქართველოს ბლოკადის მოხსნაში ან მისი შედეგების შემსუბუქებაში.

# ჯაშუშობის თემაზე რუსეთი ახალ საერთაშორისო სკანდალში ეხვევა

მაშინ როდესაც, თითქმის ჩამქრალი სკანდალი - ისრაელის მიერ რუსეთის დადანაშაულება სირიის მეშვეობით ექსტრემისტული ორგანიზაცია "ჰამასის" შეიარაღების შესახებ, საბოლოოდ არ განელებულა, გაზეთი "ჰაარეცი" ახალ სკანდალურ განცხადებას აქვეყნებს.

გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლიბანში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს "ჰესბოლა" ინფორმაციების მისაღებად სირიის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის რადიოლოკაციურ სადგურებს იყენებდა. აღნიშნულ სადგურებს ერთობლივად ამოქმედებენ რუსეთი და სირია.

აღნიშნული ინფორმაციით, რუსეთის მონაწილეობა ლიბანის მეორე ომში არ შემოიფარგლება "ჰესბოლასათვის" მხოლოდ იარაღის მიწოდებით, რაზედაც ისრაელმა არაერთხელ განაცხადა. არამედ საქმე ეხება ექსტრემისტული ორგანიზაციისათვის რეალური დროის რეჟიმში დაზვერვითი ინფორმაციის მიწოდებას. ეს რუსეთისთვის ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მეორე საერთაშორისო სკანდალია, რომელიც მის ჯაშუშურ საქმიანობას ეხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# თავისუფალი სიტყვა

**ახალი მედია პროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანს. სტუდიის სტუმრები არიან პარლამენტარი კახა კუკავა და ექსპერტი მამუკა არეშიძე.**

**თამარ ჩიქოვანი:** საუბარია, რომ ლუსტრაციის შესახებ ახალი კანონპროექტი მზადდება, რამდენად ხართ საქმის კურსში?

**კახა კუკავა:** არ ვიცი. ყველა კანონი, რომელიც მიიღება პარლამენტში მეტ-ნაკლებად საქმის კურსში ვარ. მიკვირს, რა გახდა ლუსტრაციის შესახებ კანონი, რომლის შემუშავებაც სამი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა. მე ვიყავი ამ კანონის მიღების მომხრე და როდესაც ეს საკითხი პარლამენტში დავაყენეთ, კოტე გამაშვილი, მაია ნადირაძე და გიგა ბოკერია გამოვიდნენ საშინელი წინააღმდეგები ამ საკითხისა. მათი თქმით, ეს იქნებოდა დამღუპველი კანონი. მე მინდა დღეს ჯაშუშების შესახებ ატეხილ აჟიოტაჟაც გამოვეხმაურო. გაიჟღერა სიმონ კილაძის გვარმაც. მას ბრალი ედებოდა დაუდგენელი ქვეყნისთვის დაუდგენელი ინფორმაციის გადაცემაში. რამდენიმე დღის წინ შევიტყვე, რომ მას ერთწლიანი პატიმრობა შეუფარდეს და აქედან რამდენი თვე უკვე გასულია. იმის ფასად, რომ იგი წავიდა საპროცესო გარიგებაზე ოჯახის წევრები ამ გადაწყვეტილებას აღარ აპროტესტებენ, თორემ ეს თ მა მთლიანად კომიკურია. ჯერ ვის გაუგია ჯაშუშთან საპროცესო გარიგებაზე წასვლა და მერე ერთწლიანი სასჯელის მისჯა...

**თამარ ჩიქოვანი:** ყველა სახელმწიფოს ყავს თავისი დაზვერვა. ჩვენ ეტყობა კარგი აგენტები გვყავს, რადგან არ მახსოვს ჩვენი ჯაშუშები დაეკავებინოთ?

**მამუკა არეშიძე:** რამდენიმე წლის წინათ სოჭში დააკავეს სამი თანამშრომელი. ის ადამიანები, ვინც დააკავეს, დაზვერვაზე არ იყვნენ, რადგან ამ შემთხვევაში საბუთები არ ედებოდათ ჯიბეში. მათ გადმოცემას დიდი ამბავი დასჭირდა შედეგ. ეს ამბავი არ გახმაურებულა.

**თამარ ჩიქოვანი:** მე მაინტერესებს რა მიზანს ემსახურებოდა ექვსი სამხედრო პირის ასეთი ხმაურიანი დაკავება?

**კახა კუკავა:** გამოვრიცხავ, რომ ჩვენი ხელისუფლების მიზანი იყო რუსეთის დისკრედიტაცია მოეხდინა, რათა შემდეგ სამშვიდობო ძალებით ჩაენაცვლებინა. ყველა დასავლელი პარტნიორი აღნიშნავს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ კონფლიქტის ზონებში საკითხის მოგვარებას რუსეთთან ერთად, და არა მასთან დაპირისპირებით. მე არ მახსოვს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მკვეთრად გაეკრიტიკებინოთ რუსეთის ქმედება. არავინ რუსეთს ბრალს არ დასდებს და არც სანქციებს დააკისრებენ. მე ვფიქრობ, რომ მდგომარეობის დაძაბვისა და პიარის ნაცვლად, მეტი დიპლომატიური გზები უნდა ვეძებოთ. საგრძნობლად გაუარესდა ქართველი დიასპორის მდგომარეობა რუსეთში და შესაბამისად უამრავი ადამიანის საქართველოში.

**თამარ ჩიქოვანი:** ამ შემთხვევაში თითქმის ემთხვევა ერთმანეთს ოპოზიციისა და ხელისუფლების პოზიციები. ორივე ემხრობა დამოუკიდებლობას. როგორ შეიძლება დიპლომატიური გზებით პრობლემის მოგვარება და რატომ ვერ ვპოულობთ ამ გზებს?

**მამუკა არეშიძე:** არც ევროპა და არც ამერიკა არ იქნება წინააღმდეგი, თუკი რუსეთი დასუსტდება. რუსეთისთვის მიუღებელია ამ ტერიტორიებზე სხვა ძალების ყოფნა. ისინი თვლიან ამ ყველაფერს ამერიკის ადმინისტრაციის ნააზრევად.

# "გრუ" - "მფრინავი ღამურები" და ჯაშუშები

*როგორი გაგრძელებაც არ უნდა ჰპოვოს საქართველოში ატეხილმა ჯაშუშთა სკანდალმა, ფაქტია, რომ ამიერიდან 27 სექტემბერს საქართველოში გაიხსენებენ არა მხოლოდ, როგორც სოხუმის დაცემის ტრაგიკულ თარიღს, არამედ როგორც რუსეთის სამხედრო დაზვერვის სერიოზულ დისკრედიტაციას. სწორედ,. "გრუს," ანუ რუსეთის სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს მონაცემებით მარაგდებოდა კონფლიქტების დროს, აფხაზ და ოს სეპარატისტთა სამხედრო სარდლობა. სხვადასხვა დროს იგეგმებოდა და ხორციელდებოდა დივერსიები. თუმცა, ყველაზე დრამატულ წლებში საქართველოს ხელისუფლება, ე.წ. პოლიტკორექტულობის გამო, ზედმეტად ფრთხილად ეკიდებოდა რუსეთის სადაზვერვო სამსახურების მუშაობის სააშკარაოზე გამოტანის საკითხს.*

კობა ლიკლიკაძე
სპეციალურად "24 საათისთვის"

ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ერთმა ქართველმა მაღალჩინოსანმა, რომელსაც ბევრ სახელმწიფოებრივ ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი, კერძო საუბარში მწარედ იხუმრა: რუსეთის დაზვერვა ისეა მოდებული ყველაფერს, რომ მგონი რუსებმა საქართველოს "გრუზია" "გრუს" გამო შეარქვესო.

ამ ხუმრობაში გადაჭარბებული არაფერია. "გრუ"-ს, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან და რეგიონში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პოზიცია ეკავა. სადაზვერვო სამსახურს საქართველოში ინფორმაციის მიღების, გადამუშავებისა და გადაბირების ძლიერი სისტემა გააჩნდა. აი, როგორ ახასიათებს "გრუს" საქართველოს სამხედრო დაზვერვის დეპარატმენტის უფროსის ყოფილი მოადგილე, სამხედრო ექსპერტი ზვიად ჩხაიძე: **"მაგალითად, რომელიმე კომისარიატში, საბჭოთა დროის კომისარიატში, ჰყავთ ე.წ. "კასტო" ჯგუფი, რომლიდანაც არჩევენ ე.წ. აგენტურული რეზერვისათვის პირებს. შემდეგ ამ პირებს მიიზიდავენ სადაზვერვო სამსახურში, ამზადებენ მათ, ქმნიან მათი მეშევობით აგენტურულ ჯგუფებს, ან, შესაძლებელია, რეზიდენტურას. და როდესც საჭიროა რაღაც პერიოდში მათი გამოყენება, ხდება მათი შეკავშირება და გადასროლა ამა თუ იმ ტერიტორიაზე. უკვე წინასწარ, მომზადების პერიოდშივე, თითოეულმა მათგანმა იცის, რა აქვს გასაკეთებელი ამ ტერიტორიაზე."**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან "გრუ"-ს ხელწერას ხშირად ახსენებენ, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყებაზე, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დაპირისპირებაზე ჩამოვარდება საუბარი. მაგრამ რუსეთის დაზვერვის ძირგამომთხრელი მუშაობის დამადასტურებელი ფაქტები ძალიან ცოტაა. ერთ-ერთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს.

**"ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც გამომჟღავნდა, ეს იყო 1993 წელს, აფხაზეთის ომის დროს. სოხუმში დააკავეს ლეიტენანტი სიტნიკოვი. სოხუმში იდგა სადესანტო მოიერშე ბატალიონი და იგი ამ ბატალიონში იყო მივლინებული. დადიოდა ქალაქში და, როგორც ქართული სპეცსამსახურები ამბობდნენ, აგროვებდა ინფორმაციას. ეს დაკავებული სიტნიკოვი მერე გაცვალეს ერთ-ერთ ქართველ სუ-25-ის პილოტზე, რომელიც სოხუმთან ჩამოაგდეს,"** - იხსენებს სამხედრო ჟურნალ "არსენალის" რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი.

სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების გარდა, საქართველოში სეპარატისტული კონფლიქტების გასაღვივებლად "გრუ"-მ სამხედრო კომპონენტიც აამოქმედა, სეპცდანიშულების ქვედანაყოფის სახით. გადამდგარი გენერალი კობა კობალაძე ამბობს, რომ აღნიშნული სპეცდანაყოფი, რომელსაც "მფრინავი თაგვები" ეწოდებოდა, პირველად ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გამოჩნდა: **"რუსების "მფრინავი თაგვები" ისროდნენ აქეთა მხრიდანაც და იქითა მხრიდანაც. პირველადი შეხებები და მსხვერპლი უფრო ამ მესამე ძალის დამსახურება იყო, ვიდრე ერთმანეთის."**

თუმცა, საქართველოში უსაფრთხოების სისტემის გაძლიერების კვალობაზე რუსეთის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლები უფრო ხშირად ექცეოდნენ ქართული სპეცსამსახურების თავლთახედვის არეში. მაგრამ მათი ვინაობის სააშკარაოზე გამოტანა რამდენიმე მიზეზის გამო არ ხდებოდა. როგორც უშიშროების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა დავით ბაზღაძემ განაცხადა, პირველი მიზეზი პრობლემისადმი წმინდად პროფესიული მიდგომაა, რასაც სპეცსამსხურების ენაზე ჰქვია - "არ დააფრთხო ნადირი." **"როცა იცი, შენი მოწინააღმდეგე ვინ არის, როცა იცი კონკრეტულად რას აკეთებს, როცა იცი უშუალოდ ვისთან თანამშრომლობს და როგორ და რა ფორმებით, უფრო მნიშვნელოვანია, თუკი შეგიძილია ამ საქმიანობაზე კონტროლი. მანამ, სანამ შეგიძლია სრული კონტროლი გქონდეს, ჯაშუშის გამომჟღავნებას და გამოაშკარავებას აზრი არა აქვს,"** - ამბობს დავით ბაზღაძე.

27 სექტემბრის ჯაშუშურ სკანდალს სამხედრო ექსპერტი ზვიად ჩხაიძე სწორედ აუცილებლობით ნაკარნახევ პრევენციულ ზომას უწოდებს. თანაც ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მსგავსი მასშტაბისა და დიაპაზონის ჯაშუშური სკანდალი უპრეცედენტოა პოსტსაბჭოთა სივრცეზე აღმოცენებული დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთობაში.

## მოკლედ

### საკრებულოს თავმჯდომარემ მძღოლი გაძარცვა

მცხეთის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს დაბა ზაჰესის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოქალაქის გაძარცვის ფაქტზე. როგორც გამოძიებით დადგინდა, დაბა ზაჰესის საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა ობოლაძე და ჯერჯერობით გამოძიებისთვის უცნობი მისი მეგობარი, ვინმე კოტე, ცოტა ხნის წინ "მერსედესის" მარკის ავტომანქანით მოძრაობდნენ. მათ წინ მიმავალი ავტომანქანის მძღოლს, რომელიც გოჩა ბარისაშვილი აღმოჩნდა, გაურკვეველი მიზეზის გამო, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი აიძულეს მანქანა გაეჩერებინა. სიტყვიერი შეურაცხყოფა ჩხუბში გადაიზარდა და, საბოლოოდ, ბარისაშვილის ცემით დასრულდა. წასვლისას საკრებულოს თავმჯდომარემ და მისმა მეგობარმა მძღოლი გაძარცვეს, წაიღეს მობილური ტელეფონი, სიმბარათი, ვერცხლის ჯაჭვი და ჯვარი. ამის შემდეგ, ობოლაძე და მისი თანამზრახველი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გოჩა ბარისაშვილმა კი დახმარებისთვის სამართალდამცველებს მიმართა. გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ობოლაძე დააკავეს. აღნიშნული ქმედებისთვის დაბა ზაჰესის საკრებულოს უკვე ყოფილ თავმჯდომარეს ბრალი წარედგინა სსკ-ის 178-ე მუხლის - ძარცვის მუხლით, ხოლო მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გოჩა ბარისაშვილის მეგობარზე, კოტეზე კი გამოცხადებულია ძებნა.

*24 საათი*

### დეპორტაცია მესამე ქვეყნის გავლით

მოსკოვში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია, შესაძლოა, მესამე სახელმწიფოს გავლით განხორციელდეს.

როგორც რუსეთში საქართველოს კონსული ზურაბ პატარიძე აცხადებს, რუსეთის მიერ საქართველოსთან სატრანსპორტო კავშირის შეწყვეტის გამო, საქართველოს მოქალაქეების ჩამოყვანა მესამე ქვეყნის გავლით გახდება საჭირო, რაზეც, ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს.

რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც დაკავებისას დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდათ, პატარიძის თქმით, ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ. ასეთი 4 მოქალქეა.

კონსულის თქმითვე, რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეების შემოწმების პროცესი გრძელდება და ქართული დიპლომატიური კორპუსი მაქსიმალურად ოპერატიულად ცდილობს შექმნილი სირთულეების გადაჭრას.

*ინტერპრესნიუსი*

### რუსული მხარის დეზინფორმაცია

რუსეთის მხარემ საქართველოს ინტერპოლის ხელმძღვანელის საკუთარ ტერიტორიაზე არშეშვებასთან დაკავშირებით დეზინფორმაცია გაავრცელა.

რუსეთის მედიის ცნობით, საქართველოს ინტერპოლის ხელმძღვანელი არ შეუშვეს კრასნოდარის მხარეში, ქალაქ გელენჯიკში, სადაც დსთ-ს ინტერპოლის ცენტრალური ნაციონალური ბიუროს სხდომა მიმდინარეობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ შეხვედრას მხოლოდ საქართველოს ინტერპოლის ხელმძღვანელი იმ მიზეზით არ დაესწრო, რომ ვიზის მიღებაზე უარი მიიღო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ორ ქვეყანას შორის შექმნილი დაძაბული ურთიერთობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიზა, გამონაკლისის გარეშე გაიცეს.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, საქართველოს ინტერპოლის შეფი ლაშა გიორგაძე აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით ინფორმირებული არ იყო და მასში მონაწილეობის მიღებას არც აპირებდა. შესაბამისად, ვიზა არ მოუთხოვია და ამჟამად თბილისში იმყოფება.

*ინტერპრესნიუსი*

### ყაჩაღური თავდასხმა სოლოლაკში

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა N7 მკვლელობა მოხდა. გვიან ღამით "მინიმარკეტში" შეჭრილმა ორმა შეიარაღებულმა თავდამსხმელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გამყიდველი მოკლა. თვითმხილველების ინფორმაციით, "მინიმარკეტიდან" თავდამსხმელები გადავიდნენ ზუბალაშვილების ქუჩაზე და სცადეს გამვლელი ტაქსის მძღოლის დაყაჩაღება. თვადამსხმელმა ყაჩაღებმა ტაქსის მძღოლი მძიმედ დაჭრეს და მიიმალნენ. დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე, სავარაუდოდ, განზრახ მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლებით აღიძვრება.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, დანაშაულში ეჭვმიტანილები სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე, ზუბალაშვილების ქუჩაზე დააკავეს.

*ინტერპრესნიუსი*

### ფინანსური პოლიციის ოპერაცია

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ ცეცხლსასროლი იარაღისა და უაქციზო სიგარეტის უკანონო შენახვის ბრალდებით დიმიტრი ხვედელიძე დააკავა. წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილზე მდებარე დიმიტრი ხვედელიძის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკეს.

ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 2 000 კოლოფი რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტი. ამასთანავე, ხვედელიძის საძინებელში ნაპოვნია გერმანული წარმოების პისტოლეტი, რომელსაც ბრალდებული უკანონოდ ინახავდა. იარაღი ამჟამად ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. ხვედელიძე კი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ძებნილი დააკავეს

რეგიონულ სამმართველო "ბოლნისში" სასაზღვრო პოლიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი პირი დააკავა. მესაზღვრეებმა ძებნილი სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სადახლოზე", სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს დააკავეს. იგი სომხეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას ცდილობდა. აღნიშნული პირი შემდგომი რეაგირებისთვის შსს-ს სადახლოს პოლიციაშია გადაყვანილი.

რეგიონულ სამმართველო "ბათუმში" მესაზღვრეებმა თურქეთის მოქალაქე დააკავეს. როგორც სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, თურქეთის მოქალაქე სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" საპასპორტო კონტროლის გავლის დროს დააკავეს. მათივე განმარტებით, დაკავებულს მანქანით უკანონოდ გადაჰყავდა ყირგიზეთის მოქალაქე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ორივე პირს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

*ინტერპრესნიუსი*

### ბოროტმოქმედმა ოთხი მოსწავლე მოკლა

აშშ-ის პენსილვანიის შტატში შეიარაღებული ბოროტმოქმედი სკოლაში შეიჭრა. თავდასხმის შედეგად მან ოთხი მოსწავლე მოკლა და სულ მცირე შვიდი დაჭრა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

შემთხვევა სოფელ პერედაიზის პატარა სკოლაში მოხდა, სადაც მხოლოდ ერთი კლასი არსებობს. სასწავლებელში 14 წლამდე ასაკის 30 ბავშვი სწავლობს.

შეიარაღებული მამაკაცი სკოლაში შეიჭრა და ბიჭებსა და უფროსებს, რომელთაგან ერთი ფეხმძიმე ქალი იყო, შენობის დატოვება მოსთხოვა, თავად კი მძევლად რამდენიმე გოგონა აიყვანა.

პოლიცია შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდა. სამართალდამცველებმა ბოროტმოქმედთან დიალოგის დაწყება სცადეს, თუმცა მან ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. პოლიციამ სკოლის შენობა შტურმით აიღო. თუმცა, 4 მოზარდის გადარჩენა ვერ მოხერხდა

როგორც გაირკვა, ბოროტმოქმედი 32 წლის ჩარლზ კარლ რობერტსია. ის სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა და სხვა დანაშაულებში ეჭვმიტანილი არ ყოფილა.

უცნობია რობერტსის მოთხოვნები. მან მეუღლეს სკოლის შენობიდან დაურეკა და უთხრა, რომ არ შეუძლია ისე ცხოვრება, როგორც ადრე ცხოვრობდა. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია რამდენიმე წერილი, სადაც რობერტსი თვითმკვლელობაზე საუბრობს.

*ინტერპრესნიუსი*

# ყალბი ფულის გრძელი გზა

პირველი გვერდიდან

იგი დამზადებულია კუსტარულად, ფერადი გასამრავლებელი ტექნიკის გამოყენებით.

მიუხედავად ამისა, ლეილა კუსრაშვილი დუმილის უფლებით სარგებლობდა. სწორედ ამ დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული ფინანსური პოლიციის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა - ასლარიანი ყალბი კუპირა კი ერთ-ერთი მებაჟის "გასაფუჭებლად" იყო გამოყენებული, მაგრამ ამ ინფორმაციამ გაჟონა და მებაჟეებმა ფინანსურ პოლიციას დაასწრეს. კუსრაშვილი კი, დუმილის უფლებას სასამართლომდე იმიტომ იყენებდა, რომ მას ფინანსური პოლიციის იმედი ჰქონდა, მაგრამ ამაოდ.

მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესზე ადვოკატმა ნატო ჩიხრაძემ განაცხადა, რომ პროკურორისგან საპროცესო შეთანხმებაზე უარი მიიღო, კუსრაშვილმა მოსამართლე ნანა ჩალათაშვილს სასამართლოსთვის ჩვენების მიცემის ნებართვა სთხოვა. ლეილა კუსრაშვილმა დამნაშავედ ლაგოდეხის სახალხო ბანკის ფილიალის თანამშრომელი ლია ნოზაძე და თანამონაწილედ მისი მეუღლე, ბანკის მმართველი დავით გოგოლაძე დაასახელა.

**"ვაღიარებ, რომ ლაგოდეხის საბაჟოზე საწვავის ბიზნესით ვიყავი დაკავებული და ჩემი ნაცნობი სულიკო ლოლაშვილი მეხმარებოდა. ეს უკანასკნელი საწვავის შესაძენად, სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უნდა გასულიყო. ავტომანქანის დაზღვევისთვის 120 ლარი იყო საჭირო. ფულის სესხებას საბაჟოს ტერიტორიაზევე შევეცადე და იქ მდებარე ბანკის ფილიალში, რომლის თანამშრომლებს - ლიას და ქეთინოს კარგად ვიცნობდი, დახმარება ვთხოვე. ქეთინომ 20 ლარი მასესხა. ლიამ კი ამიხსნა, რომ ბანკიდან ფულს ვერ აიღებდა. თუმცა, მან მალევე თავის მეუღლეს დათოს დაურეკა და თანხა სთხოვა. მან 100 ლარი მოუტანა, რომელიც ლიამ მე გადმომცა და ვალის დროულად დაბრუნებაც მთხოვა. აღნიშნული ფული მანქანის დაზღვევისთვის აღარ დაგვჭირდა, ამიტომ მეორე დღეს ლერი მღებრიშვილისგან 100-ლარიანი კუპიურით ორი ცალი 10-ლარიანი მონო შევიძინე. როგორც ლერი მღებრიშვილმა მოგვიანებით მითხრა, ფული ყალბი იყო. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მონოების გამყიდველი მატყუებდა. უბრალოდ, არ მეგონა, თუ ბანკის თანამშრომელს ყალბი ფულის მოცემა და მოტყუება შეეძლო. ლერი მღებრიშვილის წასვლის შემდეგ, ლია ნოზაძეს მაინც დავურეკე და ვითარება ავუხსენი. ლიამ მთხოვა მისი სახელი არ მეხსენებინა, სანაცვლოდ კი თანხის გადახდას დამპირდა. მომხდარის შესახებ ლერი მღებრიშვილმა პოლიციას აცნობა, რის შემდეგაც, დამაპატიმრეს. პატიმრობაში ყოფნისას ჩემი დაქალის დახმარებით, ლია ნოზაძეს დანაპირები რამდენჯერმე შევახსენე. ის ბოლომდე მარწმუნებდა, რომ თანხას გადაიხდიდა და საპროცესო შეთანხმების შემდეგ, თავისუფალი ვიქნებოდი. თუმცა, საბოლოოდ მოტყუებული აღმოვჩნდი. სწორედ ამიტომ აღარ ვაპირებ სასამართლოს მისი ქმედების შესახებ დავუმალო,"** - განაცხადა ლეილა კუსრაშვილმა და სასამართლოზე ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთან მირიან ჭუმბურიძესთან მეგობრობაც აღიარა.

სასამართლომ განსასჯელი ლეილა კუსრაშვილის ჩვენება პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მცდელობად მიიჩნია და, ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, ჩვენების დროს დასახელებული პირების დაკითხვა საჭიროდ აღარ ჩათვალა.

სასამართლომ ლეილა კუსრაშვილი საქართველოს სს კოდექსის 212 მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი საბანკო ბილეთის შეძენა, შენახვა რეალიზაცია) დამნაშავედ ცნო. გაითვალისწინა ასევე ლეილა კუსრაშვილის წარსულში სს კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე (ქურდობისათვის) დანიშნული სასჯელი და, საბოლოოდ, მას 5 წლით და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

გარდა ამისა, ლეილა კუსრაშვილს დაზარალებულ ლერი მღებრიშვილის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა დაეკისრა.

# გასაიდუმლოებული ინფორმაცია და გამოძიების ინტერესები

**"საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, საქართველოს სახელმწიფო უწყებებიდან, უარს ძირითადად ძალოვანი სტრუქტურები აცხადებენ. ინფორმაციის დაფარვის მიზეზად, ამ სტრუქტურების მხრიდან, გამოძიების ინტერესები სახელდება,"** - ასეთია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ მომზადებული კვლევის შედეგი. ასოციაციამ კვლევა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განახორციელა. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი თემა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიკვდილია.

ასოციაციის წევრის თამარ ხიდაშელის მიერ მომზადებულ კვლევასთან ("ინფორმაციის თავისუფლება და გამოძიების ინტერესები") დაკავშირებით "მრგვალი მაგიდა" გაიმართა, რომელსაც, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და კვლევის ავტორის კრიტიკას, სახელმწიფო უწყებებს შორის სამართალდამცველი ორგანოები იმსახურებენ.

**"საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის შემთხვევაში, უნდა იყოს დასაბუთებული, რატომ შეუშლის ხელს ამა თუ იმ სახის ინფორმაციის გავრცელება გამოძიების ინტერესებს, რაც საქართველოში ფაქტობრივად არ ხდება"**, - აცხადებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე. მისივე თქმით, ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზი არგუმენტირებული უნდა იყოს, რადგან არც ერთ სახელმწიფო უწყებას, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, საჯარო ინფორმაციის დაფარვის უფლება არ აქვს.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრის თამარ ხიდაშელის განცხადებით, მისმა ორგანიზაციამ კვლევა განახორციელა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ საქმეზე.

**"ვინაიდან ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება საკმაოდ ბევრ ეჭვს იწვევს, ამასთან დაკავშირებით ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია, თუმცა, გენერალური პროკურატურა ნებისმიერი სახის ინფორმაციის გაცემაზე დაუსრულებლად უარს გვიცხადებს. წელიწადნახევარზე მეტი გავიდა ზურაბ ჟვანიას საიდუმლოებით მოცული სიკვდილიდან. ეს გარდაცვალება დღემდე უამრავ შეკითხვას ბადებს. ჩვენი მიზანი არამც და არამც არ არის ამ ბურუსით მოცული სიკვდილის გამოძიება, მაგრამ ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოებას ამომწურავად უპასუხოს ლეგიტიმურად გაჩენილ არა ერთ შეკითხვაზე"**, - აცხადებს თამარ ხიდაშელი.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრების განმარტებით, წლების განმავლობაში მაღალი რანგის ჩინოვნიკებისა და მათი უახლოესი თანამებრძოლების დანაშაულებრივი მოქმედებების დასაფარავად ხელისუფლება საზოგადოებისაგან მალულად აყალბებდა მტკიცებულებებს, სისხლის სამართლებრივ საქმეებს. ირღვეოდა ასევე საქმის სამართლიანი განხილვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება. გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწეების მკვლელობები "უბედური შემთხვევებითა" და "თვითმკვლელობებით" ინიღბებოდა.

**"ვარდების რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლების გამჭვირვალობის თვალსაზრისით ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რეჟიმის ცვლილებასთან ერთად ხელისუფალთა ცდუნება, იმუშაონ მაქსიმალური დახურულობის რეჟიმში და დაუმალონ საზოგადოებას სიმართლე, ავტომატურად არ ქრება"**, - ასეთია ანა დოლიძისა და მისი ასოციაციის წევრების პოზიცია.



*ხელისუფლების გამჭვირვალობის თვალსაზრისით ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა, - აცხადებს ანა დოლიძე.*

*24 საათი*

# სახიფათო ცვლილება კანონში

ემზარ დიასამიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაციის" ხელმძღვანელის ემზარ პაქსაძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტი ისე განიხილა და მიიღო, რომ ამის შესახებ საზოგადოებამ დღემდე არაფერი იცის. კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დღეს იურიდიული პირების მიმართაც შეიძლება დადგეს.

იურიდიულ პირებში სამეწარმეო და არასამეწარმეო, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები - ფონდები, ასოციაციები, კავშირები შედის.

**"იურიდიულ პირებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება იურიდიული ნორმა არ იყო, ახლა კი ეს ნორმა მათ წინააღმდეგაც გამოიყენება. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულ პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, გამოიყენება შემდეგი სახის სასჯელები: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა ან ქონების ჩამორთმევა. ჯარიმის მინიმალური ოდენობა 100 ათასი ლარია, რაც, ნებისმიერი იურიდიული პირისათვის სერიოზულ თანხას წარმოადგენს,"** - აცხადებს პაქსაძე.

იურიდიულ პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მთელი რიგი დანაშაულებრივი საქმიანობის შემთხვევაში. მათ შორისაა: ფულის გათეთრება, სამართალწარმოებაზე ხელის შეშლა, კომერციული მოსყიდვა, რეკეტული დაჯგუფების შექმნა, ტერორისტული აქტი ან მომზადების მცდელობა, ტექნოლოგიური ტერორი, პოლიტიკურ პირზე თავდასხმა, ზეგავლენით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, ქრთამის მიცემა, ბირთვული ნივთიერების დაუფლების მუქარა, არასრულწლოვანთა ჩართვა პორნოგრაფიაში, ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ დამზადება, წარმოება, შენახვა და ა.შ.

აღნიშნული კანონის მიღების შესახებ ინფორმაცია ჩვენგან გაიგო ექსპერტმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ვახტანგ ხმალაძემ. მისი განცხადებით, ახალი კანონის ამოქმედება იურიდიულ პირებს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

**"ბევრი მუხლი ბადებს ეჭვს, რომ კანონი არამართლზომიერად იქნება გამოყენებული. წარმოვიდგინოთ, იურიდიული პირის თანამფლობელმა ან სხვა ვინმემ ტერიტორიაზე შეიტანა ნარკოტიკი და ამის თაობაზე ხელმძღვანელობამ არაფერი იცის. ამ შემთხვევაში იურიდიული პირის დანაშაული სახეზე არ არის, მაგრამ არის ნორმა, რომელიც ქმნის იურიდიული პირის ინკრიმინირების საფრთხეს. არ არის გამორიცხული ე.წ. ნარკოტიკის ჩადებაც, რაც ჩვენში საკმაოდაა დამკვიდრებული. კანონით, დანაშაული აღიარებულია, როცა ის უტყუარი მტკიცებულებებითაა დადასტურებული. პრაქტიკა კი ისეთია, თუ ნარკოტიკი თქვენთან აღმოაჩინეს, გიწევთ მტკიცება, რომ ეს თქვენი არ არის. ფინალი - სასამართლო თქვენს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას გამოიტანს"**, - აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

თუკი იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის საჭიროა დამტკიცდეს, რომ მისი ძირითადი საქმიანობა დანაშაულის ჩადენაა, ჯარიმის დაკისრებისათვის გაცილებით მარტივი ალიბი არსებობს: **"იურიდიულ პირს ჯარიმა მაშინაც ეკისრება, თუ იურიდიული პირის ოფისში აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება, ხოლო დანაშაულის ჩამდენი პირი ვერ გამოვლინდა. იმ შემთხვევაში კი, თუ ჯარიმას ვერ გადაიხდის, ავტომატურად დგება იურუდიული პირის ლიკვიდაციის საკითხი"**, - აცხადებს ხმალაძე.

ექსპერტი კანონის არამართლზომიერად გამოყენების საშიშროებასაც ხედავს: **"იარაღისა თუ ნარკოტიკის ჩაგდება დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც ხდება. ამის საშიშროება ყოველთვის არსებობს, მით უმეტეს - ჩვენთან, როდესაც არ არის ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და არსებობს პოლიტიკური თუ პირადი ანგარიშსწორების პრაქტიკა. ასეთი საკანონმდებლო ნორმების მიღება ძალიან სახიფათოა"**.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## ყველაფერი დამოკიდებული იქნება მოვლენების შემდგომ განვითარებაზე

ზაზა ფაჩუაშვილი

*ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" კავკასიის რეგიონის დირექტორი ჯონ კოენი საქართველოში მორიგი ვიზიტით ჩამოვიდა. თბილისის შემდეგ ის, ტრადიციულად, სოხუმშიც იმყოფებოდა. ჯონ კოენთან დღევანდელი საუბარი შეეხება კოდორის პრობლემას და აფხაზეთში მასზე რეაქციას.*

**ჯონ კოენი:** ჩემი აზრით, კოდორის მოვლენებს სხვადასხვანაირად შეიძლება შეხედო. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებისთვის ძალიან კარგია, რომ კოდორის ხეობაში დამყარდა წესრიგი და აღდგა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი; მაგრამ მეორე საკითხია, როგორ გაკეთდა ეს. როგორც ამის შესახებ გაეროს ერთ-ერთმა დამკვირვებელმა განაცხადა, დაირღვა 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულება. როგორი შეიძლება იყოს შედეგები? - ჯერჯერობით, ამის თქმა ძნელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები.

საქართველოს ხელისუფლებას სურს სამშვიდობო ფორმატის შეცვლა, რომელიც მას არ აკმაყოფილებს, რისთვისაც, ჩემი აზრით, საკმაოდ სარისკო ნაბიჯებს დგამს. საქართველოს ხელისუფლებისთვის იდეა ფიქსად იქცა ის, რომ ყველაზე მთავარი პრობლემა რუსეთია. რა თქმა უნდა, რუსეთი ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში წარმოშობილ კონფლიქტებთან დაკავშირებით ძალიან მძიმე როლს თამაშობს, რაც საქართველოსთვის მართლაც ამწვავებს ვითარებას და ართულებს კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობებს, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავადაც არ ვფიქრობ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ვითარების გამწვავება საქმეს წაადგება. არ მგონია, რუსეთი იყოს ის ქვეყანა, რომელიც ასეთ საკითხებში დათმობებზე წავა.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

მეორეს მხრივ, რუსეთი დღეს ევროპისა და აშშ-სთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. ამიტომ საჭირო ხდება ბალანსის გათვალისწინება - რამდენად შეძლებს საქართველო ასეთ ვითარებაში დაიცვას თავისი ინტერესები.

**- დაეხმარება თუ არა საკუთარი ინტერესების დაცვაში საქართველოს ნატო-სთან დაახლოება?**

- საქართველოს ძალიან დიდი საქმე ექნება გასაკეთებელი. ინტენსიური დიალოგი გულისხმობს საქართველოს შესაძლებლობების მრავალმხრივ შესწავლას ნატო-ს ექსპერტების მიერ. ეს ძალიან მკაცრი პროცესია და ამ პროცესში წარმატება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმისათვის, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობები გამოასწოროს. ამიტომ, ჩემი აზრით, ნატოსთან დაახლოების გზაზე არ ღირს რუსეთთან ურთიერთობების გამწვავება.

**- როგორი შეიძლება იყოს ურთიერთობები ქართველებსა და აფხაზებს შორის?**

- არ მიმაჩნია სწორად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მუდამ რუსეთზე საუბარი და აფხაზური მხარის იგნორირება. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ აფხაზურ მხარესთან ილაპარაკოს. ქართულ მხარეს ჰგონია, რომ თუ რუსეთთან ურთიერთობებს მოაგვარებს, აფხაზეთის კოფლიქტის პრობლემასაც გადაწყვეტს. იმის თქმა, რომ აფხაზები საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ზეწოლის გამო ეწინააღმდეგებიან, არასწორია. აფხაზებმა ძალიან კარგად იციან, რომ რუსეთი მათ იყენებს, როგორც ბერკეტს საქართველოს წინააღმდეგ. მათ ეს არ მოსწონთ. მაგრამ ისიც იციან, რომ რუსეთი მათთვის ერთადერთი დასაყრდენია.

**- დღეს აფხაზებთან პირდაპირი დიალოგი შესაძლებელია?**

- რამდენადაც მე ვიცი, აფხაზური მხარე მზად არის ქართულ მხარესთან დიალოგისთვის ყველა დონეზე.

**- რა უნდათ აფხაზებს - დამოუკიდებლობა თუ რუსეთთან მიერთება?**

- ჩემი დაკვირვებით, აფხაზებს დამოუკიდებლობა სურთ. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ეს მიუღებელია. პირადად მე თავისუფლებისკენ სწრაფვას პატივს ვცემ, მაგრამ საკითხავია - რამდენად და რა მეთოდებით არის ეს შესაძლებელი?. ამიტომ საჭიროა დიალოგი. რა თქმა უნდა, რუსეთი შეეცდება, ჩაშალოს ეს პროცესი, მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ რუსეთს ამის საშუალებას თავისი მოქმედებით საქართველოც აძლევს.

**- თქვენ ახლახან დაბრუნდით სოხუმიდან. რა ხდება იქ კოდორთან დაკავშირებით?**

- იქაც არის აზრთა სხვადასხვაობა. იქაც არიან ე.წ. "შევარდნები" და "მტრედები", მაგრამ ყოველი მათგანი ფიქრობს, რომ საქართველოსთან საომარ ვითარებაში ცხოვრობს. ეს დიდი ხანია, ასეა და კოდორის მოვლენებს აფხაზების ქმედებაში მაინცდამაინც დიდი ცვლილებები არ გამოუწვევია. აფხაზებს ჰყავთ შეიარაღებული ძალები, აქვთ იარაღი, მეზობელი ქვეყნის იმედი, და ამას ყველაფერს გათვალისწინება უნდა.

**- მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, როგორ განვითარდება მოვლენები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით?**

- ახლა ძნელი სათქმელია, რამდენად შეცვლის ეს სიტუაციას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ნატო-ში შესვლა ნიშნავს დემოკრატიულ კონტროლს შეიარაღებულ ძალებზე. დემოკრატიის ხარისხის ზრდას მთლიანად ქვეყანაში. ამიტომ ნატო-სკენ სწრაფვა ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია. ეს ნიშნავს, რომ საქართველო დემოკრატიისაკენ მიისწრაფვის. ნატო კი საქართველოსგან კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტას მოითხოვს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელთ არსებული დადასტურებული ინფორმაციით, ქ. სოჭის მე-5 საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის "ყუბანი - 2006" გახსნის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის ლიდერები.

აღნიშნულ ფორუმში სეპარატისტების ლიდერთა მონაწილეობა მით უფრო საგანგაშო და აღმაშფოთებელია, რომ ამ ღონისძიების ორგანიზატორები არიან რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების ორგანოები - საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, აგრეთვე, სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

ქართული მხარის არაერთ განცხადებასა თუ მოწოდებას რუსეთისადმი, თავი შეეკავებინა სეპარატიზმის გამაღვივებელი ქმედებებისგან, საპირისპირო რეაქცია მოჰყვა. სხვადასხვა დონეზე კიდევ უფრო გააქტიურდა ურთიერთობა კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ იმ რეჟიმებთან, რომლებმაც თავის დროზე ქართველი მოსახლეობის მასიური ეთნიკური წმენდით "გამოიჩინეს თავი".

სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლება არათუ ცალსახად კრძალავს რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კონტაქტებს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან, არამედ უმაღლეს დონეზე მართავს შეხვედრებს სეპარატისტული რეჟიმების ლიდერებთან. ამგვარად, სახეზეა სეპარატისტების დესტრუქციული საქმიანობის პირდაპირი წაქეზება.

შედეგმაც არ დააყოვნა - გათამამებული სეპარატისტები "გადავიდნენ შეტევაზე" და განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმა უკვე ზუგდიდის რაიონში, სხვათა შორის, რუსეთის "მშვიდობისმყოფელთა" მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების ზონაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის მხარის ქმედებები წარმოადგენს საქართველოს შიდა საქმეებში უხეში ჩარევის და "მცოცავი ანექსიის" პოლიტიკის გაგრძელების მორიგ მაგალითს.

რუსეთის მხრიდან სეპარატიზმის მსგავსი დემონსტრატიული მხარდაჭერა კვლავ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესში რუსეთის ფედერაცია არ არის და ვერ იქნება ნეიტრალური და მიუკერძოებელი შუამავალი. ეს კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს არსებული მოლაპარაკებათა ფორმატის და სამშვიდობო ოპერაციის დაუყოვნებლივი შეცვლის აუცილებლობას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო საზოგადოება ადეკვატურად შეაფასებს რუსეთის მხარის ქმედებებს და მოუწოდებს მას, თავი შეიკავოს ისეთი მიუღებელი ნაბიჯებისაგან, რომლებიც მხოლოდ ისედაც დაძაბული სიტუაციის შემდგომ ესკალაციას უწყობს ხელს.

www.mfa.gov.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში

გაგრძელება

ზურაბ პაპასქირი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე

### მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება და მისი ვერაგული დარღვევა სეპარატისტების მიერ. გაგრის ტრაგედია

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა განაგრძობდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზების ძიებას. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზაციის გარეშე მშვიდობის დამყარება აფხაზეთში შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, აფხაზეთში განვითარებული მოვლენებიდან რუსეთის ჩამოცილება უნდა მომხდარიყო ისე, რომ მისი როგორც ზესახელმწიფოს ამბიციები არ შელახულიყო. ამიტომაც თბილისი აქტიურად მოუწოდებდა კრემლს, თავად გამოსულიყო სამშვიდობო ინიციატივით. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელიც იმ პერიოდში საკმაოდ კონსტრუქციულად იყო განწყობილი, გამოეხმაურა ქართული მხარის მოწოდებას და 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში მოიწვია საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. მართალია, ოფიციალურად ეს იყო ორი ქვეყნის ლიდერის შეხვედრა, მაგრამ მისი ფორმატი მაინც განსხვავებული იყო. ფაქტობრივად, ეს იყო მოლაპარაკებები ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტი მთავარი არბიტრის როლში გამოდიოდა. გარდა ამისა, შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელებიც. საქართველოს სამთავრობო დელეგაციას წარმოადგენდნენ: პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. რუსეთის ფედერაციას: საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი. საკუთრივ აფხაზეთი წარმოდგენილი იყო, ადგილობრივი ხელისუფლების როგორც აფხაზი ისე ქართველი ხელმძღვანელებით (ვლადისლავ არძინბა, თამაზ ნადარეიშვილი, კონსტანტინე ოზგანი).

დაწყებული 1992 წლის 3 სექტემბრიდან დღემდე, პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ვერ თანხმდებიან ე.წ. "მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის" შეფასების საკითხში. ერთნი მას თვლიან ქართული მხარის დიპლომატიურ მარცხად, თუმცა თავიანთი ნეგატიური პოზიციის დაფიქსირებისას, ისინი გამოდიან არა თვით დოკუმენტის შინაარსიდან, არამედ იქიდან, რომ მოსკოვმა არაფერი იღონა მისი პირობების რეალიზაციისათვის. სხვების აზრით კი 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრა და იქ მიღებული დოკუმენტი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დიპლომატიური წარმატება იყო. მართლაც, თუ გამოვალთ თვით "შემაჯამებელი დოკუმენტის" შინაარსიდან, რაც ჩვენი აზრით ერთადერთი სწორი მიდგომაა, მასში ძალზე ძნელია იპოვო ისეთი რამ, რაც შელახავდეს საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც დოკუმენტის შესავალი ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ "რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რომლებმაც განიხილეს აფხაზეთის, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, აფხაზეთში შექმნილი ვითარება... შეთანხმდნენ შემდეგზე" (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ /1989-2001/. პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე. თბ., 2002, გვ. 80, ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.). ე.ი. მოლაპარაკებების მთავარი სუბიექტები იყვნენ ორი მეზობელი სახელმწიფოს ლიდერები. სწორედ ისინი იხილავდნენ აფხაზეთის პრობლემას და ისინი შეუთანხმდნენ ერთმანეთს. საკუთრივ აფხაზეთი (მით უფრო მისი აფხაზი ლიდერი) არ ყოფილა მოლაპარაკების დამოუკიდებელი მესამე მხარე. ის ფიგურირებდა როგორც საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი. კერძოდ, ამის შესახებ პირდაპირ იყო ნათქვამი "შემაჯამებელი დოკუმენტის" I მუხლში, იქ სადაც ლაპარაკი იყო კონტროლისა და ინსპექციის კომისიის შექმნაზე. ამ კომისიის წევრები უნდა დაენიშნა "საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის და რუსეთის" ხელისუფლების ორგანოებს (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 80). ანალოგიური ჩანაწერი გვხვდება მე-9 მუხლშიც, სადაც აღნიშნული იყო, რომ "რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შინაურ კონფლიქტებში" (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 81, ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.). ამავე მუხლის თანახმად "სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანო საქართველოს რესპუბლიკაში, მათ შორის აფხაზეთში" კისრულობდა ვალდებულებას, პატივი ეცა იქ დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის და აღეკვეთა "მართლსაწინააღმდეგო მოქმედება სამხედრო მოსამსახურეების, მათი ოჯახებისა და სამხედრო ქონების მიმართ" (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 81, ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.)

ქართული დიპლომატიის ნამდვილი გამარჯვება იყო ჩანაწერი "სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ყოველგვარი ხელყოფის" დაუშვებლობის შესახებ (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 80, ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.). არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ "შემაჯამებელი დოკუმენტი" ითვალისწინებდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის (იმდენის რამდენიც საჭირო იყო "ამ შეთანხმების მიზნების /რკინიგზებისა სხვა გარკვეული ობიექტების დაცვა/ მისაღწევად") დატოვებას აფხაზეთის ტერიტორიაზე (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 80). ამით, რუსული მხარე ფაქტობრივად ადასტურებდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილების აფხაზეთში შეყვანის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას.

მუხლი აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სამხედრო კონტინგენტის დატოვების შესახებ დამატებით იდეოლოგიურ დატვირთვას იძენდა სხვა ჩანაწერის ფონზე, რომლის მიხედვითაც კონტროლისა და ინსპექციის კომისიას ევალებოდა "უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და ჯგუფების" განიარაღება და დაშლა, მათი არდაშვება აფხაზეთში, აგრეთვე "კონფლიქტის ზონის მთელ პერიმეტრზე" მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 80, ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.). ამასთან უშუალოდ კავშირში იყო "შემაჯამებელი დოკუმენტი"-ს მე-11 მუხლი, რომელიც ავალდებულებდა "რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელისუფლებისა და მმართველობის" ორგანოებს, მიეღოთ ეფექტური ზომები, რათა აღეკვეთათ და არ დაეშვათ "მათი ტერიტორიებიდან ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების შესრულებას და მშვიდობის დამყარებას რეგიონში". გარდა ამისა, მათ ევალებოდათ აგრეთვე სათანადო ახსნა-განმარტებითი სამუშაოს ჩატარება "მოსახლეობაში ამ შეთანხმების დებულებათა გასამართავად" (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 80).

და ბოლოს, "შემაჯამებელი დოკუმენტი" სახელმწიფოთაშორისი საერთაშორის-სამართლებრივი აქტი იყო, რომელსაც ოფიციალურად ხელს აწერდნენ შესაბამის სუვერენულ სახელმწიფოთა - რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პირები: ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე. რაც შეეხება შეხვედრის სხვა მონაწილეებს, ისინი თავიანთი ხელმოწერებით მხოლოდ ამოწმებდნენ მიღწეულ შეთანხმებას და ამით იღებდნენ პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე.

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, მოსკოვში 1992 წლის 3 სექტემბრს მიღწეული შეთანხმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს ეროვნული ინტერესების შემლახველ დოკუმენტად. პირიქით, ის, იმ ეტაპზე, უდავოდ ქართული დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. მაგრამ ერთია რა დაიწერება ქაღალდზე და მეორე თუ როგორ შესრულდება ის. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოავლინა ჩვეული დიპლომატიური ვერაგობა და თითიც არ განძრია "შემაჯამებელი დოკუმენტი"-ს პირობების შესასრულებლად. უფრო მეტიც, მოსკოვის აშკარად წაქეზებით, ვ. არძინბა თითქმის მაშინათვე შეუდგა 3 სექტემბრის შეთანხმების რევიზიას.

1992 წლის 16 სექტემბერს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ხელი მოაწერა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, რომელშიც სრულიად უცერემონიოდ იყო გაცხადებული, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს - "საქართველოს ჯარის შეჭრის დღეს აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტს წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში, - ასკვნიდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აფხაზი წევრები, - საქართველოს სახელმწიფო ჯარების შეჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე, გაეროს განსაზღვრებით, აგრესიის აქტად გვევლინება" (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 81, ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.). ვ. არძინბა ამასაც არ დასჯერდა და იმავე 16 სექტემბერს ხელი მოაწერა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კიდევ ერთ დადგენილებას, რომელშიც, არც მეტი არც ნაკლები, "საქართველოს სახელმწიფო ჯარების მიერ აფხაზეთის რესპუბლიკაში" ვითომ "განხორციელებული მასობრივი ტერორი, ხალხის ფიზიკური განადგურება, ტყვეებისა და მძევლების წამება ... აფხაზი ერის გენოციდის აქტად" გამოაცხადა (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 82).

სრულიად ნათელია, რომ ეს ორი დოკუმენტი 3 სექტემბრის შეთანხმების ვალდებულებებზე უარის თქმის ერთგვარი იდეოლოგიური სამზადისი იყო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ "აფხაზი ერის გენოციდის" ფაქტებს, რომელთაც თითქოს ახორციელებდა საქართველოს "სახელმწიფო საბჭოს ჯარები ... ოკუპირებულ ტერიტორიებზე", იმავე დადგენილების მიხედვით, თურმე ადგილი ჰქონია 1992 წლის 3 სექტემბრამდე, თუმცა ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ვ. არძინბასთვის, ოფიციალურად ეცნო აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად, დათანხმებოდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების დატოვებას აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალებისა და სხვა ობიექტების დასაცავად და აელო ვალდებულება, განეიარაღებინა და გაეყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან "უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ჯგუფები".

ასევე ნათელი იყო, რომ რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ყველას არ მოსწონდა 3 სექტემბრის კონსტრუქციული გადაწყვეტილებები. უდავოა ისიც, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ზემოთნახსენები დადგენილებები სწორედ მოსკოვიდან იყო ინიცირებული. მაგრამ გარეგნულად იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტ ბ. ელცინის გუნდს ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის მხრიდან მოსკოვის შეხვედრის "შემაჯამებელი დოკუმენტი"-ს რევიზიასთან არაფერი ჰქონდა საერთო და ყოველივე ეს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პროკომუნისტური ძალების აქტიური მხარდაჭერით ხდებოდა. მართლაც, 1992 წლის 25 სექტემბერს რუსეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, თავისი იმპერიული განწყობილებებით ცნობილი დეპუტატის, სერგეი ბაბურინის ინიციატივით მიიღო დადგენილება, რომელიც მთლიანად ემიჯნებოდა მოსკოვის შეხვედრის "შემაჯამებელი დოკუმენტი"-ს არსსა და სულისკვეთებას.

ამ დადგენილებაში რუსეთის უმაღლესი საბჭო გადაჭრით გმობდა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქმედებას, რომელიც ცდილობდა, ძალადობის გზით გადაეწყვიტა "რთული ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პრობლემები" და თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა ქართული მხარისაგან საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და აფხაზეთის ტერიტორიიდან სამხედრო შენაერთების გამოყვანას. უფრო მეტიც, ქვეყნის პრეზიდენტს და მთავრობას ისინი ავალდებულებდნენ, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებამდე, შეეჩერებინათ საქართველოს რესპუბლიკისათვის "რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ნაწილებისა და შენაერთების შეიარაღების, საომარი ტექნიკის, ტყვია-წამლის გადაცემა," შეეწყვიტათ "ადრე დადებული კონტრაქტებით შეიარაღების, საომარი ტექნიკის, საბრძოლო მასალის, აგრეთვე, მაკომპლექტებელი მასალებისა და ნედლეულის მიწოდება საწარმოებისათვის, რომლებიც შეიარაღებას, საომარ ტექნიკასა და საბრძოლო მასალას" ამზადებდნენ და ამიერიდან თავი შეეკავებინათ "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებამდე საქართველოსთან ეკონომიკური შეთანხმების დადებისაგან" (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 82-83).

საქართველოს ხელისუფლება უმალ გამოეხმაურა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას და სავსებით სამართლიანად შეაფასა ის სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა საქართველოს მტრები. უკვე 27 სექტემბერს რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" პრეზიდენტი მუსა შანიბოვი. იმავე დღეს, ვ. არძინბამ ოფიციალურად განაცხადა "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" შეიარაღებული ფორმირებების აფხაზეთიდან გაყვანის პროცესის შეჩერების შესახებ (აფხაზეთის ლაბირინთი. ავტორები: ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, თ. ჭახრაკია.. თბ., 1999, გვ. 131). ერთი სიტყვით, სრულიად ცხადი იყო, რომ სეპარატისტები მოსკოვის წაქეზებითა და აქტიური მხარდაჭერით ამზადებდნენ ახალ დიდ პროვოკაციას საქართველოს წინააღმდეგ.

ასეთ კრიტიკულ მომენტში გამწვავდა სიტუაცია სამეგრელოს რეგიონში, სადაც დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული ეროვნული გვარდიის ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე და 1 ოქტომბერს აიღეს ხობი. ამით უმალ ისარგებლეს სეპარატისტებმა, რომლებმაც ვერაგულად დაარღვიეს მოსკოვის შეთანხმება და 2 ოქტომბერს წამოიწყეს შეტევა გაგრაზე. ამ დროისათვის გაგრაში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილები საკმაოდ შეთხელებული იყო, რადგან ქართულმა მხარემ 3 სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად გამოიყვანა სამხედრო ფორმირებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაგრის ზონიდან. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზ სეპარატისტებს და მათ ჩრდილოეთ კავკასიელი "ბოევიკებისა" და რუსეთის რეგულარული ნაწილების აქტიური მხარდაჭერით გაგრა დაიკავეს. გაგრის აღებისას გამოყენებულ იქნა უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკა, ტანკები, ავიაცია; რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა მოახდინეს ზღვის აკვატორიის ბლოკირება. მთელ ამ ოპერაციას, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი გ. კოლესნიკოვი (აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 131-132).

გაგრის დატოვების შემდეგ ქართულმა ნაწილებმა განთიადი-ლესელიძისკენ დაიხიეს და შეეცადნენ, არ გაეშვათ მოწინააღმდეგე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრისკენ. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელები. სოხუმიდან ე. შევარდნაძე გაფრინდა ლესელიძეში. გზაში სახელმწიფოს მეთაურის ვერტმფრენზე თავდასხმა მოაწყო რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენმა აპარატმა და კინაღამ ჩამოაგდო ის. მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მეთაურის ამ ვოიაჟმა შედეგი ვერ გამოიღო. აფხაზური მხარე განაგრძობდა წინსვლას.

4 ოქტომბერს სოხუმში, ქალაქის ცენტრალურ (ყოფილი ლენინის) მოედანზე, მთავრობის სახლის წინ, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ინიციატივით, გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ: გენო კალანდია, დიმიტრი ჯაიანი, ჯანო ჯანელიძე, შალვა წულეისკირი, გია გვაზავა, ზურაბ პაპასქირი და სხვ. მომიტინგეებს მიმართეს და ვ. არძინბას დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლისკენ მოუწოდეს ცნობილმა აფხაზმა მოღვაწემ რაულ ეშბამ და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა დავითმა. მიტინგზე გამოვიდა ე. შევარდნაძეც. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს სეპარატისტთა ვერაგული ქმედებები და მოუწოდეს ქვეყნის ხელმძღვანელობას, გაეცა ბრძანება შეიარაღებული ძალებისადმი, გუდაუთის მიმართულებით შეტევაზე დაუყოვნებლივ გადასვლის თაობაზე.

მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი სეპარატისტების შეტევის შესაჩერებლად. მათ შეუფერხებლად განაგრძეს წინსვლა, აიღეს განთიადი და ლესელიძე და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი მდ. ფსოუს გასწვრივ. სეპარატისტებისა და კონფედერატების წინსვლას თან ახლდა ქართული მოსახლეობის აყრა მშობლიური ადგილებიდან. სეპარატისტებმა და მათმა გადამთიელმა მოკავშირეებმა გაგრაში, განთიადსა და ლესელიძეში ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს. დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, არ ინდობდნენ ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს. გაგრის ტრაგედია იყო აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდისა და გენოციდის დასაწყისი, რომელმაც შემდგომ გაგრძელება ჰპოვა აფხაზეთის სხვა რაიონებში.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების ელექტროსაქონლის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ცხრა ლოტად სხვადასხვა დასახელების ელექტრო საქონლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

*ლოტი №1*

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფაიფურის იზოლატორები | საკიდი ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორი მარკით პფ-70დ გოსტი-12670-99 ნომინალური ძაბვა–3,3 კვ; თეფშის დიამეტრი–255 მმ; იზოლატორის სიმაღლე -146 მმ; ღეროს დიამეტრი-16 მმ; მრღვევი ძალა -70 კნ; მასა -4,6 კგ | ც | 140 |
| | | საკიდი ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორი მარკით სფ-70ა გოსტი-12670-99 ; ნომინალური ძაბვა -3,3 კვ; თეფშის დიამეტრი - 255 მმ; იზოლატორის სიმაღლე -188 მმ ღეროს დიამეტრი-16 მმ; მრღვევი ძალა -70 კნ; მასა -4,7 კგ | ც | 140 |
| | | საკიდი ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორი მარკით ფფ-40ა გოსტი-12670-99 ნომინალური ძაბვა -3,3 კვ თეფშის დიამეტრი-255 მმ; იზოლატორის სიმაღლე -214 მმ; მრღვევი ძალა-40 კნ; მასა -4,7 კგ; | ც | 160 |
| | | კონსოლური იზოლატორი მარკით იკსუ-27 გოსტი 12670-70; იზოლატორის სომაღლე – 565 მმ; თეფშის დიამეტრი – 195 მმ; მრღვევის ძალა - 70 კნ; მასა – 16 კგ; ნომინალური ძაბვა – 27,5 კვ | ც | 70 |
| 2 | რკინაბეტონის ანძები | საკონტაქტო ქსელის რკინა-ბეტონის ანძა სამაგრი დეტალებით მარკა-სს-136.6-3 დენის სახეობა მუდმივი. ნორმატიული მღუნავი მომენტი 79კნ/მ ანძის სიგრძე 13600 მმ. ანძის დიამეტრი 492 მმ. კედლის სისქე 60 მმ. მასა 2,1 ტნ. ბეტონის მარკა მ-500 | ც | 75 |
| 3 | რკინის ნაკეთობები | შველერი №6,5 გოსტი 8240-89 კვეთის ფართო – 7,51 სმ.კვ. სიგანე – 65 მმ; სიმაღლე – 36 მმ; სიგრძე არანაკლებ– 5 მ, 10 მ; სისქე– 4,4 მმ; მასა ერთი გრძივ მეტრის - 5,9 კვ; | ტ | 5 |
| | | კუთხოვანი რკინა №5 50X50X5 გოსტი 8509-86 კვეთის ფართო– 4,8 სმ; სიმაღლე – 50 მმ; სისქე – 5 მმ; მასა ერთი გრძივი მეტრის – 3,77 კვ | ტ | 0.4 |
| | | კუთხოვანი რკინა №6,3 63X63X6 გოსტი 8509-86 კვეთის ფართო – 7,28 სმ; სიმაღლე – 63 მმ; სისქე– 6 მმ; მასა ერთი გრძივი მეტრის– 7,28 კვ; | ტ | 1.5 |
| | | ზოლოვანი რკინა ზომით 60X5 გოსტი 103-57 სიგანე - 60 მმ; სისქე - 5 მმ მასა ერთი გრძივ მეტრის - 1,97 კგ | ტ | 0 |
| | | მრგვალი რკინა დ – 8; გოსტი 2590-71; კვეთის ფართო–0,78 სმ დიამეტრი– 10 მმ; მასა ერთი გრძივი მეტრის - 0,62 კგ | ტ | 1 |
| | | მრგვალი რკინა დ – 16 გოსტი 2590-71 კვეთის ფართო– 1,504 სმ; დიამეტრი– 16 მმ; მასა ერთი გრძივი მეტრის- 1,58 კგ | ტ | 0.5 |
| | | მრგვალი რკინა დ – 22; გოსტი 2590-71; კვეთის ფართო– 3,8 სმ; დიამეტრი– 22 მმ; მასა ერთი გრძივი მეტრის- 2,98 კგ | ტ | 0.3 |
| | | მრგვალი რკინა დ–36; გოსტი 2590-71; კვეთის ფართო– 10,18 სმ დიამეტრი – 36 მმ; მასა ერთი გრძივი მეტრის - 7,99 კგ | ტ | 0.1 |
| | | მილი ლითონის დ -- 50 მმ. დიამეტრი-- 50 მმ. მასა ერთი გრძივი მეტრის -- 4,88 კგ. | მ/კგ | 18/60 |
| 4 | სხვადასხვა სახის გვარლები და ბიმეტალური მავთულები | სპილენძის მოქნილი გვარლი მარკით მგ-95; ნომინალური კვეთის ფართო -- 95მმ; კვეთის ფართო--- 94,01მმ; მავთულის დიამეტრი-- 0,68მმ; გამტარის დიამეტრი -- 14,28; მავთულის რაოდენობა -- 259; ხაზური სიმკვრივე -- 0,861 კგ/მ ხაზური ელექტრული წინაღობა -- 0,193 კმ/ომ | ტ | 0.3 |
| | | მოთუთიებული ფოლადის გვარლი მარკა ს-70 გოსტი 3063-36 კვეთი-- 72,56 სმ.კვ. მავთულის რაოდენობა--19 გვარლის დიამეტრი -- 11,0 მმ. Xაზური სიმკვრივე-- 0,623 კგ/მ მღრვევი ძალა არანაკლებ-- 89,61 კნ. | ტ | 0.4 |
| | | ბიმეტალური არაიზოლირებული ფოლად-სპილენძის მავთული მარკით ბმ-4; გოსტი-3822-79 ნომინალური კვეთი-- 4,0 მმ სპილენძის გარსაცმის მინიმალური სისქე 0,2მმ ხაზური სიმკვრივე -- 0,104 კგ/მ | ტ | 0.7 |
| | | ბიმეტალური არაიზოლირებული ფოლად-სპილენძის მავთული მარკით ბმ-6 ; გოსტი-3822-79 ნომინალური კვეთი-- 6,0 მმ სპილენძის გარსაცმის მინიმალური სისქე 0,2მმ ხაზური სიმკვრივე -- 0,236 კგ | ტ | 0.7 |
| 5 | საკონტაქტო ქსელის დეტალები | საკონტაქტო ქსელის დეტალები მარკა კს, გოსტი -- 12393-77: | | |
| | | კოუში ჩანგლისებური საყურისათვის კს-006 | ც | 18 |
| | | უნაგირა ცალმაგი ყურიანი კს-008 | ც | 56 |
| | | უნაგირა ორმაგი ყურიანი კს-010 | ც | 18 |
| | | სოლიანი მომჭერი კს-035 | ც | 90 |
| | | სოლი (დიდი) კს-035-1 | ც | 90 |
| | | საკომპენსატორო ბლოკი კს-041 | ც | 54 |
| | | სასიმე მომჭერი კს-046 | ც | 700 |
| | | მომჭერი შუა დაანკერების გვარლისათვის კს-048 | ც | 36 |
| | | საფიქსატორო მომჭერი კს-049 | ც | 500 |
| | | მომჭერი შუა დაანკერების საკოტაქტო გამტარისათვის კს-051 | ც | 18 |
| | | საკონტაქტო გამტარის მკვებავი მომჭერი კს-053 | ც | 128 |
| | | შემაერთებელი მომჭერი კს-054 | ც | 64 |
| | | შემაერთებელი მომჭერი კს-055 | ც | 20 |
| | | შემარეთებელი გამტარები (ოვალური) კს-062-1 | ც | 18 |
| | | ჩანგლისებური კოუშის სადენები კს-068 | ც | 18 |
| | | ბუგელი ფირფიტოვანი კს-093 | ც | 90 |
| | | დამატებითი ფიქსატორი კს-109 | ც | 90 |
| | | ტრავერსი კონუსური საყრდენებისათვის კს-112 | ც | 32 |
| | | პირდაპირი ფიქსატორის საყრდენი კს-115 | ც | 36 |
| | | შებრუნებული ფიქსატორის საყრდენი კს-116 | ც | 136 |
| | | საფიქსატორო იზოლატორის შემაერთებელი კს-128 | ც | 62 |
| | | ტროსის ჩამოსაკიდი უღელი კს-132 | ც | 18 |
| | | ფიქსატორის სამაგრი კვანძი ლეზ-41 | ც | 130 |
| | | სამაგრი კავი გვარლისათვის კს-162 | ც | 18 |
| | | შტანგი ყური - ხრახნილი ლ-6000 მმ კს-168 | ც | 18 |
| | | შტანგი ყურიანი კს-172 | ც | 18 |
| | | შტანგი პესტიკი-ორმაგი ყურით კს-175 | ც | 18 |
| | | მომჭიმავი ბ-1 | კომპ. | 2 |
| | | ბიმეტალური სიმები ბს-1600 | ც | 180 |
| 6 | თოკი | პოლისპასტის თოკი; დიამეტრით 14-:-16 მმ | მ | 3000 |
| 7 | დისტილატორი | მარკით დე - 10-:-24 | ც | 15 |
| 8 | ბურღი | ბურღი 6-:-30 მმ | ც | 30 |
| 9 | მავთული | მავთული იზოლირებული ელ. გაყვანილობის 2,5 მმ | მ | 600 |
| | დამცველი | ელექტრო დამცველი 45 ამპ | ც | 50 |
| | ლენტა | საიზოლაციო ლენტა ელექტრო იზოლაციისათვის | ც | 20 |
| | ლამპა | ელექტრო ლამპა დასამუხტი (გადასატანით) | ც | 10 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;

4. მოწოდების სასურველი ვადა - **IV** კვარტალი;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **26 ოქტომბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში **დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე;**

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ცეცხლმქრობების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად ცეცხლმქრობების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

*ლოტი №1*

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი | ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი კომპლექტში, ცეცხლმქრობით და ინვენტარით | ც | 41 |
| | ცეცხლმქრობები | ცეცხლმქრობი ოვპ-8 | ც | 102 |
| | | ცეცხლმქრობი ოვპ-5 | ც | 66 |
| | | ცეცხლმქრობი ოუ-5 | ც | 410 |
| | | ცეცხლმქრობი ოუ-8 | ც | 40 |
| | | ცეცხლმქრობი ოპ-8 | ც | 18 |
| | | ცეცხლმქრობი ოპუ-5 | ც | 150 |
| | | ცეცხლმქრობი ოხპ-10 | ც | 10 |
| | | ცეცხლმქრობი ჯპ-6 კგ | ც | 296 |
| | სახანძრო გამშვები სახელური | სახანძრო გამშვები სახელური 20 მეტრიანი | ც | 50 |
| | სახელურის ლულა | სახანძრო გამშვები სახელურის ლულა | ც | 50 |
| | ქანჩი | ბოგდანოვის ტიპის ქანჩი | ც | 25 |
| | ვინტილი | ვინტილი 50 მმ. დიამეტრის | ც | 30 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;

4. მოწოდების სასურველი ვადა - **IV** კვარტალი;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **26 ოქტომბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში **(დღგ) გარეშე- ლარში;**

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის წყალი", იურიდიული მისამართით: თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33 აცხადებს ღია ტენდერს **ქ. თბილისში ნიშნიანიძის ქუჩაზე (ნიშნიანიძის I შესახვევიდან ჩახრუხაძის ქუჩამდე) წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასყიდად.**

2. შესყიდვის ობიექტებია:

**ქ. თბილისში ნიშნიანიძის ქუჩაზე (ნიშნიანიძის I შესახვევიდან ჩახრუხაძის ქუჩამდე) წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის სამუშაოები**

პროექტი ითვალისწინებს წყალსადენ-კანალიზაციის მაგისტრალური ქსელის და განშტოებების შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილების დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). ახალი ქსელი სრულდაბა პოლიეთილენის მილებით,.

3. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **ერთი თვე.**

4. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა (წყალსადენის მოქმედი ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოები) და მოცულობის სამუშაოების შესრულების, გამოცდილება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **24 ოქტომბრის** 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები:
შპს "თბილწყალკანალი";
ს/კოდი: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

7. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **25 ოქტომბრის** 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

8.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

8.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

**ქეთევან კაციტაძე,**
ტელ: **99 67 82;**
ელ. ფოსტა: **kkatsitadze@ Tbilisiwater.com**

**სატენდერო კომისია**

# თბილისში კინოფესტივალი იწყება

სოფო კილასონია

სულ მალე დადგება მონატრებული ხუთი დღე თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალთან ერთად. ამის სათქმელად გუშინ, ლიტერატურულ კაფეში, ეროვნულმა კინოცენტრმა პრესკონფერენცია გამართა. ორგანიზატორების გვერდით იყვნენ მათი პარტნიორები და სპონსორები. თბილისის ეს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურად პროფესიულ დონეზე განხორციელებული ფესტივალი, სხვა, ამ ბოლო დროს მომრავლებულ ფესტივალებს შორის, ყველა ასპექტში წარმატებული და გამორჩეული მოვლენაა. ის, რომ უწინ "პრომეთედ" წოდებული ფესტივალი მთელი ერთი კვირის განმავლობაში, აგერ უკვე შვიდი წელია სიტყვა "ფესტივალის" ზუსტ მნიშვნელობას ამართლებს, ამაში ეჭვი აღარავის შეაქვს, ვისაც კინო უყვარს და ვინც აქტუალური სახელოვნებო მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება. თუმცა, რა თქმა უნდა, ყოფილან გამონაკლისნიც, როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ეს გამონაკლისი თბილისის მერიის კულტურის სამსახური აღმოჩნდა, რომელსაც ფესტივალთან არა თუ პარტნიორობის სურვილი გამოუთქვამს, არამედ ეროვნული კინოცენტრის შეტყობინებებზე პასუხის გაცემაც არ მოუსურვებია. ყველაზე საინტერესო, დამსწრე საზოგადოებისთვის, მერიის კულტურის სამსახურის პოზიცია არ გამხდარა. ნიშანდობლივი სწორედ ის არის, რომ მათი უინტერესობა იმისადმი, რაც სულ მალე ჩვენი ქალაქის ყველაზე მთავარ სახელოვნებო მოვლენად იქცევა, არც არავის გაკვირვებია. მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენელს რომ შევხვედროდით გუშინ სალამოს, მას ნამდვილად ექნებოდა სათქმელი, რაიმე საპასუხო მიზეზი, თუმცა ამგვარი შეხვედრა გუშინ არ შემდგარა. გუშინდელი თავყრილობა მედია-საზოგადოებისა არა კულტურის სამსახურის მუშაობის შედეგებისა და მისი მთავარი ამოცანების მიმოხილვას ეძღვნებოდა, არამედ ამჟამად ყველაზე აქტუალურ ამბავს, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს, რომელიც 10 ოქტომბერს დაახლოებით 15 ქვეყნიდან ჩამოტანილი კინონამუშევრისა და არაერთი შემოქმედებით ჯგუფისთვის გაიხსნება. თბილისელი მაყურებელი კი ხუთი დღის განმავლობაში სამოცდაათამდე მხატვრულ, დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმს იხილავს. ამ ყოველივესთან ერთად იგი არაერთი საინტერესო ინფორმაციის ადრესატიც გახდება. რა და როგორ მოხდება, მის შესახებ აჯობებს დაწვრილებით გიამბოთ.

წელს პირველი შემთხვევაა, როცა ფესტივალი, სახელმწიფო, ანუ ამ შემთხვევაში კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილ ფინანსებზე ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული. ამჯერად მისი თითქმის სრული სპონსორობა რამდენიმე მსხვილმა ბიზნეს-კომპანიამ გაინაწილა. ესენი არიან: გენერალური სპონსორი - მაგთი, პარტნიორი და სპონსორი - GRDC კინოქალაქი, არიან კიდევ სხვა მხარდამჭერებიც, რომელთა სია ბევრად ვრცელია: ბანკი "ტაო", Ernst and Young, DLA Piper, "ინსტა", "ვისოლი", M Group, "საქართველოს ტელეკომი", სტუდია "სანგუკო", კინოკომპანია "მედეა", X form, საქართველოს კინომატოგრაფისტთა კავშირი, "ბორჯომი", "ლავაცა", DHL, "ვიდეოსკოპი", ბრიტანეთის საბჭო, საფრანგეთის საელჩო, დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრი, გოეთეს ინსტიტუტი, შვეიცარიის საელჩო, ჰოლანდიის საელჩო, პოლონეთის საელჩო, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ბუდაპეშტი). უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ ფესტივალზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი საფრანგეთის, გერმანიისა და ბრიტანეთის კინონამუშევრები, რაშიც ალბათ მათი საქართველოში არსებული საელჩოებისა და კულტურის ცენტრების წვლილიც უნდა დავინახოთ.




ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება კინოთეატრ "ამირანში", ეს უკანასკნელი ფესტივალის მთავარი მასპინძელია. გახსნაზე, რომელსაც მოწვეული მაყურებელი დაესწრება, ნაჩვენები იქნება ოთარ იოსელიანის "შემოდგომის ბაღები" (პრემიერა). ფესტივალი ასევე საზეიმოდ დაიხურება 15 ოქტომბერს, კინოთეატრ "ამირანში" დიტო ცინცაძის ფილმის პრემიერით "კაცი საელჩოდან". ყველაფერი მართლაც ასე მოხდება, თუ, რა თქმა უნდა, ამას რუსეთთან გართულებულმა მისვლამ და ურთიერთობამ არ დაუშავა რაიმე. ორივე ნამუშევარი სწორედ მოსკოვიდან უნდა ჩამოვიდეს ავტორთა სამშობლოში. ფესტივალის საზეიმო დახურვაზე საერთაშორისო ჟიური კონკურსში მონაწილე ფილმებს გადასცემს შემდეგ პრიზებს - ოქროს "პრომეთე", საუკეთესო ფილმისთვის და ვერცხლის "პრომეთე" საუკეთესო რეჟისურისთვის.

პრიზებს გადასცემს აგრეთვე ფარაჯანოვის და FIPRESC ჟიური, კომპანია "ვიდეოსკოპი" - ქართულ ვიდეოფილმს. ამ უკანასკნელი ჯილდოს მისალებად რეჟისორებს უნიკალურ ციფრულ კამერას შვიდი დღით ათხოვებენ და სწორედ ერთ კვირაში გადაღებულ ფილმებს შორის აარჩევენ საუკეთესოს. არის კიდევ ერთი სიახლე, კიდევ ერთი ჟიური - ჟურნალი "კინო" მის მიერ რჩეულ ქართველ კინორეჟისორს სპეციალური ჯილდოთი გამოარჩევს. ფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეულნი არიან: საფრანგეთის კულტურული სატელევიზიო არხის ARTE-ს დირექტორი ჟერომ კლემონი, Eurimages აღმასრულებელი მდივანი იან ვანდიერენდონქი, ცნობილი ინგლისელი კინორეჟისორი ჰიუ ჰადსონი და მსახიობი მარიამ დ`აბო.

რაც შეეხება ყველაზე მთავარ პერსონაჟებს. წლევანდელ ფესტივალს ტრადიციისამებრ ეყოლება სამი ჟიური: საერთაშორისო, რომელსაც წამოადგენენ: ჰიუ ჰადსონი - თავმჯდომარე, კინორეჟისორი (ინგლისი); ნინო კირთაძე - კინორეჟისორი (საქართველო); ლუჩანო გლორი - პროდიუსერი (შვეიცარია); ელენა ჯიოფრიდა- რტიესტი (იტალია). ფარაჯანოვის სახელობის ჟიური: ჯეიმს სტეფენი - კინომცოდნე (აშშ); მიშა კალატოზიშვილი - კინორეჟისორი (საქართველო); ერიკა გრეგორი - კინომცოდნე (გერმანია) და კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის (FIPRESCI) ჟიური: მაია ლინე (ლატვია); იულია ბლაგა (რუმინეთი); ანდრეი ვერნერი (პოლონეთი).

ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნება 10 საკონკურსო ფილმი, რომელთა შორის არ არის არც ერთი ქართული ნამუშევარი. სამაგიეროდ ფესტივალის ორგანიზატორები გვთავაზობენ ქართული ფილმის პანორამას, სადაც არაერთ დოკუმენტური კინონამუშევარს ვიხილავთ. ამ პანორამას, ფესტივალთან ერთად საბოლოოდ დიტო ცინცაძის მხატვრული ფილმი დაასრულებს. თუმცა მანამდე, სანამ ყველაფერი დასრულდება კინოხელოვნებით გატაცებულთათვის და კინოკრიტიკოსებისთვის ტარდება არაერთი მასტერკლასი, რომლის პროგრამა ერთობ საინტერესოდ გვეჩვენება. კინომცოდნე ჯეიმს სტეფენი ვიზუალური კულტურის შესახებ სასაუბროდ შეგვხვდება 11 ოქტომბერს. ულრიხ გრეგორი, ასევე კინომცოდნეს, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე "კინომატოგრაფიული ავანგარდი" აინტერესებს. კინორეჟისორი ჰიუ ჰადსონი ოსკაროსანი ფილმის "ცეცხლოვანი ეტლების" ჩვენებას და აუდიტორიასთან შეხვედრას გამართავს. იქნება კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა WELLA თრენინგ ცენტრთან. ეს უკანასკნელი ვორკშოპს გვთავაზობს თემაზე "კინო-ტელეგრიმი, მაკიაჟი, და ვარცხნილობა 2006" და ბოლოს, იან ვანდიერენდონქი (Eurimages აღმასრულებელი მდივანი) - Eurimages ფონდის პრეზენტაციას მოახდენს. კონკურსისა და კინოპანარამის პარალელურად გაიმართება საკამოდ მრავალფეროვანი პროგრამით დატვირთული კინოფორუმი და მის ფარგლებში გამართული სპეციალური ჩვენებები. მათგან ყველაზე აღსანიშნავი ალბათ თემურ და გელა ბაბლუანების ფილმის "მემკვიდრეობის" პრემიერა იქნება. ამ ყველაფერთან ერთად იგეგმება კიდევ არაერთი საინტერესო ღონისძიება, მაგალითად კინოსტუდია "მედეა" გერმანული ფილმების პროგრამას გვთავაზობს, მოეწყობა ლევან ზაქარეიშვილისადმი მიძღვნილი კინოჩვენება, ასევე წარმოადგენილი იქნება დოკუმენტური ფილმების პროგრამას: Entry to the Open World, ფესტივალის ფარგლებში საქართველოს ხელოვანთა კავშირი "სესილი" წარმოადგენს სესილია თაყაიშვილის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას და ფოტოალბომს, რეზო ჩხეიძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ნაჩვენები იქნება მხატვრული ფილმი "მაგდანას ლურჯა" და ა.შ.

დასასრულს კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რასაც ორგანიზატორი, კინოხელოვნების საერთაშორისო ცენტრ "პრომეთეს" წევრები საგანგებოდ აღნიშნავენ. წელს მათ ფესტივალის ერთგული მაყურებლისთვის და მათთვის, ვინც მას აქამდე თვალს ვერ ადევნებდა, სააბონიმენტო სისტემა შეიმუშავეს. სწორედ მისი წყალობით თბილისის საერთაშიორისო კინოფესტივალის მასპინძელ კინოთეატრთა კარებები ფართო საზოგადოებისთვის გაიღება.

---

## შპს "წყნეთის ცენტრალური ზონა" აცხადებს აუქციონს

**ადმინისტრაციული კორპუსის, მასთან დაკავშირებული ქონების და მასზე არსებული წესით დამაგრებული 10625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეალიზების მიზნით**

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**მისამართი:** დაბა წყნეთი, დავით აღმაშენებლის ქ. N59.
**ობიექტის გაშენების ფართობი:** 2112 კვ.მ.
**ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 10625 კვ.მ.
**საწყისი გასაყიდი ფასი:** 500D000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
**ობიექტის დახასიათება:** ობიექტი წარმოადგენს ორსართულიან შენობას, აგებულია აგურითა და ბლოკით. ობიექტთან დაკავშირებული ქონება: მისასვლელი გზა, ელ.გაყვანილობა, გარე კანალიზაცია, თბოქსელი, სადრენაჟო ხაზი, წყალგამტარი ხაზი, რკ.ბეტონის საყრდენი კედელი, რკ.ბეტონის მიწისქვესა არხი, ავტოსადგომი, წყალგაყვანილობა.

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 18 ოქტომბერს დღის 12 საათზე.**

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 30.09.06წ N39 (484), (ჭანტურიას ქ. N12, VIII სართული).

**შ.პ.ს. "წყნეთის ცენტრალური ზონა"**
**მისამართი:** დაბა წყნეთი, დავით აღმაშენებლის ქ. N59.
**საკონტაქტო ტელეფონი:** (877) 413090.

---

## განცხადება

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ 2006 წლის 28 ივლისის N168 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ტენდერში ვიდეომიქშერის შესყიდვაზე გამოვლინდა გამარჯვებული შპს "გურამექსი" და გაფორმდა ხელშეკრულებები: N133-3

---

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო გაცნობებთ, რომ 2006 წლის საგაზაფხულო სასერტიფიკაციო სესიაზე სერტიფიცირებული ექიმებისათვის სახელმწიფო სერტიფიკატების გაცემა დაიწყება მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან, ყოველდღე, 11-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.**

**მისამართი:**
**თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N23.**

---

**ა.წ. 26 სექტემბრის გაზეთ "24 საათის" 212-ე ნომერში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში - დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში შენობა-ნაგებობების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ, მე-3 და მე-8 პუნქტებში გაიპარა უზუსტობა: 15 ოქტომბრის ნაცვლად უნდა იყოს 16 ოქტომბერი.**

---

**ა.წ. 26 სექტემბრის გაზეთ "24 საათის" 212-ე ნომერში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში - გაგრისა და გალის რაიონების ორთოფოტოგეგმების დამზადების ამ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების ობიექტების დიგიტალიზაციის უძრავი ქონების აღრიცხვისა და გეომონაცემთა ბაზის ფორმირების სამუშაოების შესყიდვის შესახებ მე-3 და მე-9 პუნქტებში გაიპარა უზუსტობა: 15 ოქტომბრის ნაცვლად უნდა იყოს 16 ოქტომბერი.**

---

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
## განცხადება

ცესკო

**2006 წლის 5 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებზე ამომრჩეველს, რომელსაც პირადობის დამადასტურებელ ან რეგისტრაციის მოწმობაში აღნიშნული არ აქვს მისამართი, ხმის მიცემის უფლება აქვს შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიებში**

N1 მთაწმინდის საარჩევნო ოლქი
N23 საარჩევნო უბანი, მის. რუსთაველის გამზირი N6 მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე

N2 ვაკის საარჩევნო ოლქი
N52 საარჩევნო უბანი, მის. ფიზიკის ინსტიტუტი

N3 საბურთალოს საარჩევნო ოლქი
N55 საარჩევნო უბანი, მის. გამსახურდიას გამზ. 34, მართვის სისტემების ინსტიტუტი

N4 კრწანისის საარჩევნო ოლქი
N11 საარჩევნო უბანი - მის. ავტოსადგური, გ. გულუას ქ. N1

N5 ისნის საარჩევნო ოლქი
N9 საარჩევნო უბანი, მის. წინანდლის ქ. N9, I კლინიკური საავადმყოფო

N6 სამგორის საარჩევნო ოლქი
N12 საარჩევნო უბანი, მის. ვარკეთილის IV მ/რ., 45-ე ბაგა-ბაღის შენობა.

N7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქი
N26 საარჩევნო უბანი, მის. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების სასახლე, ხეთაგუროვის ქ. N28

N8 დიდუბე საარჩევნო ოლქი
N39 საარჩევნო უბანი, მის. ბავშვთა მე-2 საავადმყოფო

N9 ნაძალადევი საარჩევნო ოლქი
N53 საარჩევნო უბანი, მის. ც. დადიანის გამზ. N189 მე-10 საჯარო სკოლა

N10 გლდანის საარჩევნო ოლქი
N70 საარჩევნო უბანი, მის. სავაჭრო ცენტრი "მარიამი"

*დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:*
*ტელ: 98-70-12, 98-70-13.*

---

## განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ხელახალ ტენდერს ზანდუკელის ქ.N16-ში უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების (საქვაბის მიშენებით) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

ლოტი N1 - ძირითადი შენობისა და ფლიგელის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები (საქვაბის მიშენებით).

ლოტი N2 - ლიფტების მონტაჟი.

კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების განხორციელების ვადებია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 30 აპრილი, შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხის გარანტიით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ 23 ოქტომბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ..N1 თსუ-ს I-ლი კორპუსი, I სართული, საფინანსო სამსახურის შესყიდვების განყოფილება, ოთახი N228. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ “რესპუბლიკა", ანგ.ანგ.N73408000056 ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 24 ოქტომბრის 10.00 საათიდან 25 ოქტომბრის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე:... ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, I სართული, საფინანსო სამსახურის შესყიდვების განყოფილება, ოთახი N228. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 25 ოქტომბრის 14 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

**1.** ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
**2.** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

2. სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილებას რეგისტრაციის შესახებ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

მე-2 ლოტში გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტექნიკური უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი დაწესებულებიდან.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობაა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% -ი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს: ინგა მერკვილიშვილი, ტელ: 25 15 49, 893 73 42 14. ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, I სართული, საფინანსო სამსახურის შესყიდვების განყოფილება, ოთახი N228.

**სატენდერო კომისია**

---

## თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის
## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირი აცხადებს ტენდერს პროფკავშირის წევრების** უმუშევრობისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ სადაზღვევო კომპანიას.

**დაზღვევის მიღების მსურველთა ოდენობა შეადგენს 100-დან 1500 წევრამდე.**

**დაფინანსების წყარო:** დაზღვევის მოსარგებლე პროფკავშირის წევრის ხელფასი.

1. მომსახურება გაწეულ უნდა იქნას ქ. თბილისში ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში.

2. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (ანგარიშის 1793608, გქბ დიდუბის ფილიალი №3/4, კოდი 220101665, საიდ. კოდი: 202887929), 2006 წლის 4 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის 16 საათამდე. მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირი, ტელ: 933295; ფაქსი: 356349.

3. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო წინადადება ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს 2006 წლის 24 ოქტომბრის 10 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მონაცემებს:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი - იურიდიული და ფაქტობრივი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება, (ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ასლი.

4. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ასევე დასაშვებია ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების შერჩევას განახორციელებს თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობის მიერ დამტკიცებული სატენდერო კომისია.

6. პრეტენდენტს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

7. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის ტენდერში გამოყენებული იქნება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების პირობები.

9. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, ტელ: ტელ: 933295; ფაქსი: 356349; შიდა ტელ: 9011; 9012, **თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირი.**

სატენდერო კომისია
4 ოქტომბერი 2006 წელი

### მოკლედ

## ევროპის 2007 ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მსაჯები

საქართველოს დედაქალაქი 13-18 ოქტომბერს 17 წლამდელ ფეხბურთელთა შორის ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის მე-5 შესარჩევი ჯგუფის თამაშებს უმასპინძლებს: თბილისში ქართველ ჭაბუკებთან ერთად გერმანელი, რუსი და მაკედონიელი ყმაწვილები ითამაშებენ.

ევროპის ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის საშეჯიბრო კომიტეტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცნობა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც თბილისურ თამაშებს მოემსახურებიან:

**13 ოქტომბერი, გერმანია - მაკედონია**
**მთავარი მსაჯი:** შაბა საპი (უნგრეთი)
**თანამსაჯები:** ა.ალბერტი (უნგრეთი), ზ.მენთეშაშვილი (საქართველო)
**მეოთხე მსაჯი:** გ.ვადაჭკორია (საქართველო)
**13 ოქტომბერი საქართველო - რუსეთი**
**მთავარი მსაჯი:** იოანის ცახლიდისი (საბერძნეთი)
**თანამსაჯები:** ს.პანოუ (საბერძნეთი), მ.მალმბერგი (დანია)
**მეოთხე მსაჯი:** ტ.ვეილგაარდი (დანია)
**15 ოქტომბერი, საქართველო - გერმანია**
**მთავარი მსაჯი:** იოანის ცახლიდისი (საბერძნეთი)
**თანამსაჯები:** ს.პანოუ (საბერძნეთი), ა.ალბერტი (უნგრეთი)
**მეოთხე მსაჯი:** შ.საპი (უნგრეთი)
**15 ოქტომბერი რუსეთი - მაკედონია**
**მთავარი მსაჯი:** ტომას ვეილგაარდი (დანია)
**თანამსაჯები:** მ.მალმბერგი (დანია), ზ.მენთეშაშვილი (საქართველო)
**მეოთხე მსაჯი:** გ.ვადაჭკორია (საქართველო)
**18 ოქტომბერი, რუსეთი - გერმანია**
**მთავარი მსაჯი:** ტომას ვეილგაარდი (დანია)
**თანამსაჯები:** მ.მალმბერგი (დანია), ზ.მენთეშაშვილი (საქართველო)
**მეოთხე მსაჯი:** გ.ვადაჭკორია (საქართველო)
**18 ოქტომბერი საქართველო - მაკედონია**
**მთავარი მსაჯი:** შაბა საპი (უნგრეთი)
**თანამსაჯები:** ს.პანოუ (საბერძნეთი), ა.ალბერტი (უნგრეთი)
**მეოთხე მსაჯი:** ი.ცახლიდისი (საბერძნეთი)

## უეფაში წილი იყარა

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში, შედგა 2006-07 წლების უეფას თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის წილისყრა. 8 ჯგუფში გუნდები ასე გადანაწილდნენ.

**A ჯგუფი:** ოსერი (საფრანგეთი), რეინჯერსი (შოტლანდია), პარტიზანი (სერბეთი), ლივორნო (იტალია), მაქაბი (ისრაელი)

**B ჯგუფი:** ბაიერი (გერმანია), ბრიუგე (ბელგია), ბეშიქთაში (თურქეთი), დინამო (რუმინეთი), ტოტენჰემი (ინგლისი)

**C ჯგუფი:** სევილია (ესპანეთი), ალკმაარი (ჰოლანდია), სლოვანი (ჩეხეთი), გრასჰოპერი (შვეიცარია), ბრაგა (პორტუგალია)

**D ჯგუფი:** პარმა (იტალია), ლანსი (საფრანგეთი), ჰერენვენი (ჰოლანდია), ოსასუნა (ესპანეთი), ოდენსე (დანია)

**E ჯგუფი:** ფეიენოორდი (ჰოლანდია), ბაზელი (შვეიცარია), ვისლა (პოლონეთი), ბლექბერნი (ინგლისი), ნანსი (საფრანგეთი)

**F ჯგუფი:** აიაქსი (ჰოლანდია), სპარტა (ჩეხეთი), ესპანიოლი (ესპანეთი), აუსტრია (ავსტრია), ვარეგემი (ბელგია)

**G ჯგუფი:** პანათინაიკოსი (საბერძნეთი), პსჟ (საფრანგეთი), რაპიდი (რუმინეთი), ჰაპოელი (ისრაელი), მლადა (ჩეხეთი)

**H ჯგუფი:** ნიუკასლი (ინგლისი), სელტა (ესპანეთი), პალერმო (იტალია), ფენერბახჩე (თურქეთი), აინტრახტი (გერმანია)

მატჩები გაიმართება 18 ოქტომბერს, 2 ნოემბერს, 23 ნოემბერს, 29-30 ნოემბერს, 13-14 დეკემბერს.

## კაპელომ ბოდიში მოიხადა

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ესპანური გაზეთების ფურცლებზე ნამდვილი ომი მიმდინარეობდა ფაბიო კაპელოსა და მადრიდის "ატელტიკის" ფორვარდს ფერნანდო ტორესს შორის. სიტყვიერი პაექრობა კაპელომ წამოიწყო, როდესაც "ატლეტიკოს" ფორვარდს აფერისტი უწოდა. ეტყობა, ამ უაზრო დავიდარაბის დასრულება თავად კაპელომ გადაწყვიტა და გუშინ ფეხბურთელს ოფიციალურად მოუბოდიშა. "არ მიყვარს სხვებზე საუბარი. თუ უნებლიეთ შეურაცხყოფა მივაყენე ტორესს, მინდა ბოდიში მოვუხადო", - განაცხადა ფაბიო კაპელომ.

## დიდა "მილანს" დატოვებს

"მილანის" მეკარე დიდამ განაცხადა, რომ მისთვის სანაკრებო კარიერა დასრულდა. ამიტომ უკვე კლუბის შეცვლაზე ფიქრობს. მეტიც: დიდა შესაძლოა საერთოდ დაემშვიდობოს ფეხბურთს. 33 წლის მეკარეს 2007 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი "მილანთან". ამ კონტრაქტის გაგრძელებას დიდა არ აპირებს და ალბათ 2007 წლის დადგომასთან ერთად იტალიური გრანდიდანაც წავა.

## კლინსმანს მექსიკაში იწვევენ

გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი შესაძლოა მექსიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს.

"ჩვენ მოლაპარაკებას ვმართავთ არაერთ ცნობილ სპეციალისტთან. მათ შორის არიან ფაბიო კაპელო, მარჩელო ლიპი და იურგენ კლინსმანი. შეთანხმება ჯერაც არ არის მიღწეული. თუმცა იმედია, რომელიმეს დავითანხმებთ და ის მექსიკის ნაკრების მთვარ მწვრთნელად დაინიშნება", - ნათქვამია მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ოფიციალურ განცხადებაში. იმის გათვალისწინებით, რომ კაპელო "რეალში" მუშაობს, ლიპიმ კი დაახლოებით ერთწლიანი შვებულება აიღო, მექსიკელები სწორედ კლინსმანზე აკეთებენ აქცენტს.

## ეტოოს ნაცვლად მაკაი

სამუელ ეტოოს გადაბირებას კვლავ ცდილობენ ევროპული გრანდები. გამორიცხული არ არის, რომ კამერუნელმა ზამთარში "ბარსელონა" დატოვოს. ეტოოს შესაძლო მომავალ კლუბებად "მილანი" და "ჩელსი" სახელდება.

იმ შემთხვევაში, თუ კამერუნელმა მართლაც დატოვა "ბარსელონა", კატალონიური კლუბი მის ნაცვლად მიუნხენის "ბაიერნის" ჰოლანდიელ ფორვარდს როი მაკაის იყიდის.

# დუშან უგრინი: "კარგი მწვრთნელობა "დინამოშიც" უნდა დავამტკიცო"

პირველი გვერდიდან

დანამდვილებით შეიძლება ითქვას - ასეთი დონის, ავტორიტეტისა და კვალიფიკაციის, ასეთი რეგალიების მფლობელ მწვრთნელს არათუ თბილისის "დინამოში", არამედ ქართულ ფეხბურთში ჯერ არ უმუშავია.

ერთი თვეც არ არის გასული, რაც დუშან უგრინი "დინამოს" ჩაუდგა სათავეში და ამის მიუხედავად, თავისი ხელი უკვე დაატყო გუნდს. სეზონის ბოლომდე ჯერ ძალიან შორია და ძნელია იმის განჭვრეტა, რამდენად სერიოზული პროგრესი ელის უგრინის მიერ "დაქოქილ" "დინამოს". თუმცა, უკვე არსებული შედეგები იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ პროგრესი იქნება, თანაც საკმაოდ საგრძნობი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერის, "ოლიმპის" კარში სათასო მატჩში გატანილი სამი უპასუხო გოლი ამაზე მეტყველებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ "დინამოსთან" შეხვედრამდე "ოლიმპს" შვიდ მატჩში არც ერთი გოლი არ ჰქონდა გაშვებული.

"24 საათის" სტუმარია დუშან უგრინი.

**- რა ინფორმაციას ფლობდით აქ ჩამოსვლამდე "დინამოსა" და ქართულ ფეხბურთზე?**

- პირველი ინფორმაცია საელჩოში მომცეს. ჩეხეთიდან დავრეკე აქაურ საელჩოში. შემდეგ, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, სამი დღე დავყავი თბილისში და შევეცადე, ქართულ ფეხბურთზე მაქსიმალური ინფორმაცია მიმეღო. არ დავმალავ - ძალზე მწირი წარმოდგენა მქონდა "დინამოზეც" და ქართულ ფეხბურთზეც, კონკრეტულად "დინამოსთან" დაკავშირებით ვიცოდი, რომ გუნდში ირიცხებოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების რვა ფეხბურთელი. თავადაც დავესწარი საქართველოს და სერბეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრას, სადაც ხუთი დინამოელის თამაში ვნახე.

**- რამ მიგიზიდათ, რატომ დათანხმდით "დინამოში" მუშაობას?**

- პირველ რიგში იმის გამო, რომ უკლუბოდ ვიყავი და მუშაობა მინდოდა. როცა თბილისში ჩამოვედი, ისე თბილად შემხვდნენ, მაშინვე მოვიხიბლე. ამას გარდა, დავინახე, რომ "დინამოს" აქვს პოტენციალი, რომლის ამოქმედების შემთხვევაში სერიოზული მიზნების დასახვა და ამ მიზნების მიღწევა შეიძლება. ამიტომ გამოწვევა მივიღე და "დინამოში" მუშაობას დავთანხმდი.

**- თბილისში ჩამოსვლის შემდეგ პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, რომ "დინამოს" ანგარიშგასაწევ კლუბად აქცევთ. რის საფუძველზე გააკეთეთ ეს განცხადება?**

- არ ვიცი, რამდენად სწორად გაიგეს ჩემი ნათქვამი. მე არ ვგულისხმობდი, რომ "დინამოს" "ბარსელონას" ან "ბენფიკას" დონის კლუბად ვაქცევ. რაც შემიძლია, მაქსიმუმს გავაკეთებ. მთავარია წინსვლა, თორემ, მოგეხსენებათ - ეს ფეხბურთია, სადაც აღმასვლას დაღამსვლა მოსდევს. ერთ თამაშს რომ მოიგებ, მეორეს წააგებ. ჩემი მიზანი არ არის კარგი ფეხბურთელების აღზრდა. მე მინდა კარგი გუნდის შექმნა. ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელიც კარგად ითამაშებს.

**- ერთ დროს ქართველი გულშემატკივარი ძალზე მომთხოვნი იყო და "დინამოც" ხან "ლივერპულს" ამარცხებდა, ხან - "ფეიენოორდს". თასების მფლობელთა თასიც გვაქვს მოპოვებული. დრო შეიცვალა და ბოლო დროს იმასაც ვეღარ ვახერხებთ, რომ ევროპული საკლუბო სეზონი საქართველოში სექტემბრის ჩათვლით მაინც გახანგრძლივდეს. ახლო მომავალში რამდენად შესაძლებელია იმის მიღწევა, რომ "დინამომ" თუნდაც უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში რეგულარულად შეძლოს მოხვედრა?**

- "დინამოს" მთავარი პრობლემა ის არის, რომ ძალზე ახალგაზრდული გუნდია. ძირითადი შემადგენლობის 11 ფეხბურთელიდან მხოლოდ ორი-სამია 24-25 წლის, რაც, ცოტა არ იყოს, პრობლემაა, რადგან ასეთი გუნდი ყოველთვის არასტაბილურია.

**- რა გვაკლია ამისთვის - გამოცდილება, კვალიფიციური ფეხბურთელები თუ სხვა რამ?**

- ხელმძღვანელობას ვესაუბრე ამის შეხახებ. მინდა გუნდში მოვიწვიო ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელი, რომელთა მეშვეობით დინამოელი ახალგაზრდები ბევრს ისწავლიან და დიდ გამოცდილებას მიიღებენ. ჩემი აზრით, საჭირო არ არის ორ-სამ გამოცდილ ფეხბურთელზე მეტის შეძენა.

**- ახლა თუ მუშაობთ ამ საკითხზე?**

- რა თქმა უნდა. ვეძებთ ასეთი დონის მოთამაშეებს.

**- იცით თუ არა, რომ უცხოელი ფეხბურთელების განაცხადში აყვანა საქართველოს ჩემპიონატში ნებისმიერ დროს შეიძლება?**

- არა, ეს პირველად თქვენგან გავიგე. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ კვალიფიციური ფეხბურთელები შუა სეზონში არ დატოვებენ გუნდს და აქ არ ჩამოვლენ. სხვა საქმეა, როცა იანვარში ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება. მაშინ ამ მიმართულებით გაცილებით ინტენსიურად ვიმუშავებთ. თუმცა, შესაძლოა გამოჩნდნენ ისეთი მოთამაშეებიც, რომლებიც ჩამოსვლას ახლავე შეძლებენ. მაგალითად, სამხრეთ ამერიკიდან, თუმცა ამ საკითხზე დღეს კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ.

**- ჩეხურ და ქართულ ფეხბურთს შორის რა განსხვავება აღმოაჩინეთ?**

- განსხვავება ძირითადად სისწრაფეშია. ტექნიკურად, ჩემი აზრით, სხვაობა თითქმის არ არის. ჩეხი ფეხბურთელები ტაქტიკურადაც უფრო განსწავლულები არიან.

**- ორი წლის წინ თბილისის "დინამოში" მუშაობდა ხორვატი სპეციალისტი ივო შუშაკი. მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებამდე კლუბის პრეზიდენტთან ბადრი პატარკაციშვილთან შეხვედრისას მან პირდაპირ წააყენა მოთხოვნები როგორც ფინანსური, ისე ფეხბურთელების მოწვევასთან დაკავშირებით. შუშაკს ჰქონდა სამწლიანი გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში ის იძლეოდა გარანტიას, რომ "დინამო" ევროპული მასშტაბით ანგარიშგასაწევი გუნდი გახდებოდა. თქვენ თუ გაქვთ მსგავსი მოთხოვნები, რომლის განხორციელება მოგვცემს შედეგს?**

- პრეზიდენტს პირადად არ შევხვედრივარ. მხოლოდ გიორგი ტყავაძეს ("დინამოს" მმართველი დირექტორი, - რედ.) ვესაუბრე ფეხბურთელების შეძენის თაობაზე. როგორც ნებისმიერ ცივილიზებულ კლუბში, "დინამოშიც" არსებობს განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. ამ გეგმების კარგად გაცნობა და ჩემი მოსაზრებების გამოთქმა ჯერ ვერ მოვასწარი, რადგან ამ ეტაპზე სხვა - რუტინული სამუშაოები გვაქვს ჩასატარებელი. სამწუხაროდ, გუნდის წინასასეზონო სამზადისში მონაწილეობა არ მიმიღია. ისე არ გამიგოთ, თითქოს დინამოელებს მომზადების დონეს ვუწუნებდე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ნებისმიერი სპეციალისტი თავის ყაიდაზე, ასე ვთქვათ, თავის გემოზე და გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით ამზადებს გუნდს. ამიტომ ჩემი იდეებისა და კონცეფციის დანერგვა არა მოსამზადებელ პერიოდში, არამედ სეზონის მსვლელობაში, გახურებული ჩემპიონატის დროს მიწევს. ძალიან კარგია, რომ ამ დროს ჩემპიონატში სანაკრებო თამაშებით გამოწვეული გრძელვადიანი შესვენებაა, რასაც სათანადოდ გამოვიყენებთ.

**- თქვენს იდეებს თუ ექნება ფინანსური მხარდაჭერა?**

- როგორც ბატონმა გიორგი ტყავაძემ მითხრა, ამ საკითხებზე დაახლოებით ორ-სამ კვირაში შევხვდები კლუბის პრეზიდენტს და დეტალებზე მაშინ ვისაუბრებთ.

**- რამდენად საკმარისია დღეს არსებული კლუბის ბიუჯეტი ამ გეგმების განსახორციელებლად?**

- ამის თაობაზე ინფორმაციას არ ვფლობ. კლუბის ბიუჯეტი ჩემი საქმე არ არის. "დინამოს" ძალიან კარგი პირობები აქვს შექმნილი როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სპორტული თვალსაზრისით. ამით მეც კმაყოფილი ვარ და ფეხბურთელებიც. ჩემი ძირითადი საზრუნავი კლუბის წარმატება და ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებაა. ამისთვის კი დრო გვჭირდება. წინ ბევრი თამაში გველის, რომელიც უნდა მოვიგოთ.

**- უკვე სამი კვირაა საქართველოში ხართ, რამდენიმე თამაშიც ნახეთ. მთავარ პრობლემას რას ხედავთ ქართულ ფეხბურთში?**

- ქართული ფეხბურთის პრობლემებს ჯერ კარგად არ ვიცნობ. ჩემი აზრით, საფეხბურთო თვალსაზრისით მოთამაშეები ნაკლებად განსწავლულები არიან. კარგი იქნება, თუ საქმეს უფრო პროფესიულად მიუდგებიან. პრობლემაც სწორედ ეს არის - დაბალი პროფესიონალიზმი.

**- "დინამომ" თქვენი ხელმძღვანელობით უკვე რამდენიმე თამაში ჩაატარა... მართალია, მცირე პერიოდია და შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა არ შეიძლება, მაგრამ, თქვენი აზრით, პროგრესი თუ არის?**

- ამის თქმა მართლა ნაადრევია. მხოლოდ უკანასკნელ თამაშს გამოვყოფ, რომელშიც აშკარად გამოჩნდა, რომ "დინამო" ტაქტიკურად უფრო კარგად გამოიყურებოდა. იმ მატჩში უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე "კახეთთან".

**- ტაქტიკური თვალსაზრისით რამდენად განსწავლულები არიან "დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელები და იოლად იგებენ თუ არა თქვენს დავალებებს?**

- ვფიქრობ, საკმაოდ კარგად ითვისებენ ჩემს ნათქვამს. ეს ჩემპიონატის ბოლოს, "ზესტაფონთან" წაგებულ მატჩშიც კი გამოჩნდა. პირველ ტაიმში დინამოელებმა ზუსტად შეასრულეს ჩემი დავალება. პრობლემა ის არის, რომ ზოგჯერ ფეხბურთელები კონცენტრაციას კარგავენ, რაც შეხვედრის მეორე ნახევარში გამოჩნდა, როცა გოლი გავუშვით. მაგრამ ვფიქრობ, ამ პრობლემას მოვაგვარებთ.

**- რა მიზნებს ისახავს წელს "დინამო"?**

- ვერ შეგპირდებით, რომ აუცილებლად ჩემპიონები გავხდებით ან მეორე ადგილზე გავალთ. ჩემი მხრივ, მინდა, რომ დინამოელებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ. იმედი მაქვს, ორ-სამ თვეში პროგრესს მივაღწევთ. წინ დიდი სამუშაო გვაქვს. ჩემი მთავარი მიზანი ჩემპიონობა კი არა, კარგი გუნდის შექმნაა. "სპარტასთან" ერთად დიდ წარმატებებს რომ მივაღწიე, ეს უკვე ისტორიაა. ის, რომ წარსულში კარგი მწვრთნელი ვიყავი, ეს ახლა "დინამოში" უნდა დავამტკიცო.




## განცხადება

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**ქართველური ენების განყოფილება :** უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - ორი 0,5 საშტატო ერთეული.

**იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განყოფილება :** უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - ორი 0,5 საშტატო ერთეული.

**თეორიული და კომუნიკაციური ენათმეცნიერების განყოფილება :** უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - ორი 0,5 საშტატო ერთეული.

**ლექსიკოლოგიის განყოფილება :** მეცნიერი თანამშრომელი - ოთხი 0,5 საშტატო ერთეული.

**სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება:** მეცნიერი თანამშრომელი - ორი 0,5 საშტატო ერთეული.

**მეტყველების კულტურის განყოფილება -** მეცნიერი თანამშრომელი : ორი 0,5 საშტატო ერთეული.

**ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება :** მეცნიერი თანამშრომელი - ორი 0,5 საშტატო ერთეული.

**2.** საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დროებითი წესდებითა და ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 29 აგვისტოს N 195 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის დებულების შესაბამისად.

**3.** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 ოქტომბერი.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 06 ნოემბერს.

**5.** ინფორმაცია კონკურსის ჩატარების პირობებისა და წარსადგენი საბუთების შესახებ იხილეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში: ქ. თბილისი, ინგოროყვას N8, ოთახი N307 ან:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე www.acnet.ge/l.

**6.** საბუთები მიიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში: ქ. თბილისი, ინგოროყვას N8, ოთახი N307. საბუთების ელექტრონული ვერსია მოგვაწოდეთ დრეკადი დისკით ან გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე: E-mail:ike@gv.acnet.ge.

პასუხისმგებელი პირი: კადრების საქმეთა მმართველი ნათელა კახაძე
(ტელ: 93 46 78; 93 29 21).



## განცხადება ტენდერის შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0179, კოსტავას ქ. N41, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს ბალანსზე რიცხული, მარშალ გელოვანის გამზ. N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო (სარემონტო-სარეკონსტრუქციო) სამუშაოების შესყიდვაზე სამ ლოტად:

I ლოტი - I კორპუსის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

II ლოტი - II კორპუსის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

III ლოტი - II კორპუსის გათბობის სისტემის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები.

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 31 დეკემბრამდე. სატენდერო წინადადების წარმოდგენა დასაშვებია როგორც ერთ, ასევე რამოდენიმე ლოტზე. გამარჯვებული გამოვლენილი იქნება თითოეულ ლოტზე ცალცალკე. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა მითიტებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, (იურიდიული პირის შემთხვევაში);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ინფორმაცია მონაწილე პირის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ;

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტსა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 5 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სოფლის მეურნოების სამინისტრო, ს/კ 203843010, ან.N200122900, სახაზინო კოდი 302003000.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414. ტელ: (995 32) 99-92-40

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**

(24) საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## ევროპის საუკეთესო ბიზნეს-ქალაქები

კონსალტინგურმა სააგენტომ Cashman & Wakefield-მა გამოაქვეყნა "ევროპის ქალაქების მონიტორინგის" შედეგები, რომლის მიზანი ბებერ კონტინენტზე ბიზნესის წარმოებისათვის საკუთესო ქალაქების გამოვლენა გახლდათ. სააგენტოს გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის 507 კომპანიის ბიზნესმენებმა.

მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ პარამეტრებს, როგორებიცაა: ბაზარზე გასვლის სიიოლე, კვალიფიციური პერსონალის არსებობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ტელეკომუნიკაციების განვითარება, მუშახელის სიძვირე, საინვესტიციო კლიმატი, საოფისე უძრავი ქონების ხელმისაწვდომობა, მცხოვრებთა ლინგვისტური მომზადება, ცხოვრების დონე და ეკოლოგია. ისევე, როგორც გასულ წელს, ბიზნეს-დედაქალაქის იდეალთან მიახლოების მხრივ პირველობა არავის დაუთმო ლონდონმა, რომელმაც 12 პარამეტრიდან 8-ში გაიმარჯვა. ბრიტანეთის დედაქალაქი საუკეთესო არ აღმოჩნდა საინვესტიციო კლიმატის (გაიმარჯვა დუბლინმა), საოფისე ფართის ფასის (ვარშავა), ცხოვრების დონის (ბარსელონა) და ეკოლოგიის (სტოკჰოლმი) მხრივ.

ევროპის საუკეთესო ბიზნეს-ქალაქების პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: 1. ლონდონი, 2. პარიზი, 3. ფრანkფურტი, 4. ბარსელონა, 5. ბრიუსელი, 6. ამსტერდამი, 7. მადრიდი, 8. ბერლინი, 9. მიუნხენი, 10. ციურიხი.

აღმოსავლეთ ევროპის ქალაქთაგან საუკეთესო მაჩვენებელი პრაღას აქვს, რომელმაც მეცამეტე ადგილი დაიკავა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ქალაქებიდან კი მოსკოვი ლიდერობს, რომელიც საერთო რეიტინგში 31-ეა.

# მშვიდობით, "მშვიდობით, იარაღო"!

რევაზ საყევარიშვილი

*საქართველო მსოფლიოში პირველია შეიარაღებაზე გაწეული ხარჯების ზრდის თვალსაზრისით - ეს დასკვნა მშვიდობის პრობლემათა შემსწავლელმა სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტმა (SIPRI) ჯერ კიდევ ზაფხულში გამოაქვეყნა. მართლაც, ბოლო სამწლიანი ციკლი ამის ნათელი დასტურია: 2005 წელს 2004 წელთან შედარებით შეიარაღებულ ძალებზე გაწეული ხარჯები 143%-ით გაიზარდა და 367 მილიონ ლარს (205 მილიონი დოლარი) მიაღწია. ეს ტენდენცია 2006 წელსაც შეუქცევადია: წინა წელთან შედარებით ზრდა აქაც შთამბეჭდავია - ქართული შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი კიდევ 65%-ით გაიზარდა და ახალ ისტორიულ მაქსიმუმს - 605 მილიონ ლარს (დღევანდელი კურსით 350 მილიონი დოლარი) მიაღწია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჩამონათვალში მხოლოდ სოციალურ საჭიროებებზე გაწეულ დანახარჯებს ჩამოუვარდება.*

- **დედამიწის სახელმწიფოთა ჯამურმა სამხედრო ხარჯებმა წლეულს ცივი ომის დროინდელი რეკორდი დაამხო და აბსოლუტურ ისტორიულ მაქსიმუმს - 1,1 ტრილიონ დოლარს მიაღწია.**
- **მთავარია, ქვეყნის ეკონომიკა იყოს იმდენად მდგრადი, რომ შეძლოს მუდმივად მზარდი თავდაცვითი საჭიროებების მომსახურება სხვა სფეროების გამოხშირვის გარეშე.**



B4

## ჯი-არ-დი-სი ლისის ტბას საქართველოში პირველ სატელიტ კურორტად აქცევს



B2

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2921 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9816 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4725 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7355 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8104 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1248 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2949 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3029 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1992 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4060 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3338 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1471 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1468 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2447 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1885 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2475 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4036 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5468 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1383 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3754 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3108 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2655 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5541 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5830 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0648 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0935 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4549 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5128 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4119 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4693 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8041 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0019 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1365 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4423 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2373 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3881 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0779 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2195 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2228 |




# Made in Moscow

## სატრანსპორტო ბლოკადა - დღე II

დიანა ჩაჩუა

*"გაუქმებულია" - რუსეთში გასამგზავრებლად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მისულ მგზავრებს საინფორმაციო ტაბლოზე ეს მრავალმნიშვნელოვანი განცხადება დახვდათ. გუშინ რუსეთის მხრიდან გატარებული სანქციების გამო 500-მდე მგზავრის გადაადგილება ვერ მოხერხდა. ქართული მხარე ზარალის დათვლას იწყებს. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, თავის მხრივ, რუსეთის ავიაკომპანიებისთვის აკრძალვების დაწესებას არ აპირებს.*

თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გუშინ მოსკოვის მიმართულებით სამი, ხოლო პეტერბურგის მიმართულებით ერთი რეისი არ შესრულდა. რუსეთის დედაქალაქის მიმართულებით ფრენები ორ ქართულ ავიაკომპანიას - "ნაციონალურ ავიახაზებს" და "ჯორჯიან ეარვეისს" უნდა შეესრულებინა, ერთი არშემდგარი რეისი კი რუსულ ავიაკომპანია "აეროფლოტს" ეკუთვნის. ასევე არ შედგა რეისი პეტერბურგის მიმართულებით, რომელიც ავიაკომპანიას "პულკოვოს ავიახაზებს" უნდა განეხორციელებინა.

რუსეთის ბლოკადის შედეგად დაზარალებულ მგზავრებს, სურვილის შემთხვევაში, ბილეთის ღირებულების უკან დაბრუნება შეუძლიათ. თუმცა არსებობს ალტერნატიული ვარიანტებიც:

რუსეთიდან საქართველოში მოხვედრა აზერბაიჯანის, სომხეთისა და უკრაინის გზითაა შესაძლებელი. თბილისის აეროპორტის ცნობით, აზერბაიჯანული ავიახაზები თბილისი-ბაქოს რეისს ყოველდღიურად ასრულებენ. რაც შეეხება კიევს, უკრაინის დედაქალაქის მიმართულებით კვირაში შვიდი რეისი სრულდება, დონეცკის მიმართულებით კი - ორი. აქვე ერთი დეტალი: კიევში გაფრენა, სამშაბათის გარდა, ყოველდღეა შესაძლებელი.

კერძოდ, შაბათს კიევში მოხვედრა ქართული კომპანია "თბილავიამშენის" თვითმფრინავით შეგიძლიათ. თუ ეს დღე ხელს არ გაძლევთ, ხუთშაბათს და კვირას კომპანია "ნაციონალური ავიახაზები" მოგემსახურებათ. თბილისი-დონეცკის რეისებს კი "თბილავიამშენი" და უკრაინული "დონავია" ოთხშაბათსა და შაბათს ახორციელებენ. ამავე ავიახაზებით ხარკოვში, ოდესაში, სიმფეროპოლსა და დნეპროპეტროვსკშიც შესაძლებელია მოხვედრა. ამასთან, სამშაბათობით თბილისი-მინსკის, ხუთშაბათობით - თბილისი-აქტაუს რეისებიც სრულდება.

გაგრძელება B4 გვერდზე

B4

# "ლენდ როვერი" გაყიდვების რეკორდს ამყარებს

მერაბ ლორთქიფანიძე

*პარიზის ავტოსალონზე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე "ლენდ როვერის" დირექტორმა ფილ პოფემმა გამოაცხადა, რომ კომპანია გლობალურ გაყიდვებში წელსაც განაახლებს თავისივე რეკორდს, რისი წყალობითაც კომპანიის ბიზნესი კვლავ მომგებიანი დარჩება.*

*შარშან, წინა წელთან შედარებით, "ლენდ როვერის" გაყიდვების მოცულობა 14 პროცენტით გაიზარდა და 185 120 ცალ ავტომობილს მიაღწია. ეს კი სარეკორდო მაჩვენებელია ამ მარკის ისტორიაში. ახლა კი პოფემი იმედოვნებს, რომ არც ესაა მაქსიმუმი და თუ გაყიდვების ტემპი არ შემცირდება, მაშინ კომპანია ახალ რეკორდს დაამყარებს.*




B3

# "მეტრომედია" ქართულ აქტივებს ყიდის

## ამ აქტივებით ბადრი პატარკაციშვილი დაინტერესდა



ნინო ნატროშვილი

ამერიკულმა კორპორაციამ Metromedia International Group, Inc. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომპანიის კუთვნილი ტელესაკომუნიკაციო აქტივების გაყიდვის შესახებ წინასწარ შეთანხმებას მიაღწია. წინასწარი მონაცემებით, კომპანიის ქართულ სატელეკომუნიკაციო აქტივებს 480 მილიონ აშშ დოლარად შეიძენს საერთაშორისო კონსორციუმი, რომელშიც ორი საინვესტიციო კომპანია და ერთი კომერციული ბანკი არიან გაერთიანებულნი.

კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან საინვესტიციო კომპანია "Istithmar" (არაბთა გაერთიანებული საემიროების რეზიდენტი), ოფშორული საინვესტიციო კომპანია Salford Capital Partners Inc. (ამ ბიზნეს-სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი აქვს ბადრი პატარკაციშვილს), კომერციული ბანკი Emergent Telecom Ventures (რომელიც საინვესტიციო ფონდის Gramercy Communications Partners თანამფლობელს მუჰამედ ამერსს ეკუთვნის). "მეტრომედია ინტერნეიშენალ გრუპ"-ის ძირითადი აქტივები მოიცავს: შპს "მაგთის" - წამყვან სატელეფონო ოპერატორს საქართველოში; "საქართველოს ტელეკომს" - ძლიერი პოზიციების მქონე საქალაქთაშორისო სატელეფონო ოპერატორს და "ტელენეტს" - ინტერნეტის, მონაცემთა და ხმოვანი გადაცემების და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების ოპერატორს საქართველოში.

აღნიშნული ოპერაციის შედეგად Metromedia კონსორციუმს "მაგთის" 50,1%-ს, Telecom Georgia-ს 21%-ს და ინტერნეტპროვაიდერის Telenet-ის 26%-ს გადაცემს.

ხელშეკრულების საბოლოო გაფორმება და ფლობის უფლების გადაცემა, სავარაუდოდ, 2006 წლის დეკემბერში განხორციელდება. "24 საათი" ამ გარიგების შესახებ საკუთარი ინფორმაციის მოპოვებას შეეცადა. გაზეთი ამომწურავ ინფორმაციას და ინტერვიუს "მეტრომედიის" წარმომადგენელთან მარკ ჰაუფთან ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ. საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ინფორმაცით კი, კერძო ინვესტიციების კომპანია "სელფორდ საქართველომ" "მეტრომედია ინტერნეიშენალ გრუპ"-ს საქართველოში სატელეკომუნიკაციო აქტივების გამოსყიდვა შესთავაზა.

როგორც სააგენტოს "სელფორდ საქართველო"-დან აცნობეს, კონსორციუმი, რომელსაც აღნიშნული კომპანია წარმოადგენს, მზად არის, "მეტრომედია ინტერნეიშენალ გრუპ"-ის აქტივები საქართველოში 480 მილიონ აშშ დოლარად შეიძინოს. ამასთან დაკავშირებით წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. შეთანხმებაში "სელფორდ საქართველო", აგრეთვე, ბადრი პატარკაციშვილის ინტერესებსაც წარმოადგენს.

კონსორციუმი შემდეგი კომპანიებისგან შედგება: "სელფორდ საქართველო" (Salford Georgia), "ისტისმარი" (Istithmar) - დუბაის წამყვანი ალტერნატიული საინვესტიციო ჯგუფი, "ემერჯენთ ტელეკომ ვენჩურსი" (Emergent Telecom Ventures) - სატელეკომუნიკაციო კომერციული ბანკი (ერთად - შემსყიდველი კონსორციუმი). მხარეთა შორის მიღწეული წინასწარი შეთანხმების თანახმად, "მეტრომედია ინტერნეიშენალ გრუპი" შემსყიდველ კონსორციუმს აძლევს ექსკლუზიურ უფლებას, 60 დღის განმავლობაში შეისწავლოს "მეტრომედია ინტერნეიშენალ გრუპ"-ის სატელეკომუნკაციო აქტივები საქართველოში. პარალელურად, შემსყიდველი კონსორციუმი ექსკლუზიურ მოლაპარაკებას გამართავს "მეტრომედია ინტერნეიშენალ გრუპ"-თან საბოლოო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დეტალებზე, რომლის ხელმოწერა 60-დღიანი პერიოდის ამოწურვისთანავე, მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში იგეგმება.

"სელფორდ საქართველო" არის კერძო ინვესტიციების კომპანია "სელფორდ კაპიტალ პარტნერსის" (Salford Capital Partners Inc.) საქართველოს წარმომადგენლობა. "სელფორდ კაპიტალ პარტნერსი" ახორციელებს ინვესტიციებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. კომპანიას გააჩნია ოფისები თბილისში, მოსკოვსა და ბელგრადში.

## ყოფილ საჯარო მოხელეთა ბიზნესპროექტებს დააფინანსებენ

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" ყოფილ საჯარო მოხელეთა ბიზნესპროექტებს კომერციულ ბანკებთან ერთად დააფინანსებს. ბიზნესპროექტების განხილვა თბილისში, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში დღეს გაიმართა.

როგორც "მედიანიუსს" "ღია საზოგადოება - საქართველოს" ეკონომიკური განვითარების პროგრამის კოორდინატორმა მიხეილ კერვალიშვილმა უთხრა, ეს პროექტები "ყოფილ საჯარო მოხელეთა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში დაფინანსდება.

ლაპარაკია იმ საჯარო მოხელეებზე, რომლებიც სამსახურიდან საჯარო სექტორში 2003-2004 წლებში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ დაითხოვეს.

"პროგრამის განხორციელება 2006 წლის თებერვალში დაიწყო. ჩვენი პარტნიორები არიან თბილისის ევროპული მართვის სკოლა და ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი. საინფორმაციო მხარდაჭერას გვიწევს "საზოგადოებრივი მაუწყებელი". პროექტში 100 ყოფილი საჯარო მოხელე ჩაერთო, რომლებიც კონკურსის შედეგად შევარჩიეთ და გადავამზადეთ. ისინი ძალოვანი სტრუქტურებისა და მაკონტროლებელი ძალოვანი სტრუქტურებისა და მაკონტროლებელი ორგანოების ყოფილი თანამშრომლები არიან. მათი ასაკი 28-დან 50 წლამდე მერყეობს. 50 მათგანი ბიზნეს-, 50 კი არასამთავრობო სექტორში დასასაქმებლად გადამზადდა. შესაბამისად, ყოფილმა საჯარო მოხელეებმა თავად მოამზადეს ბიზნეს- და არასამთავრობო პროექტები. ბიზნესპროექტებში აღნიშნულია, თუ როგორ დაიწყებენ ისინი საკუთარ ბიზნეს-საქმიანობას, ენჯეოპროექტებში კი - როგორ იმუშავებენ არასამთავრობო სექტორში," - განაცხადა მიხეილ კერვალიშვილმა.

მისივე თქმით, საუკეთესო ბიზნესპროექტები ორი კვირის განმავლობაში გამოვლინდება. ოქტომბრის ბოლომდე დასახელდება გამარჯვებული ენჯეოპროექტებიც. მათ "საქართველოს ბანკი" და "თი ბი სი ბანკი" "ღია საზოგადოება - საქართველოს" გარანტიით დააფინანსებენ **მედიანიუსი**

# ჯი-არ-დი-სი ლისის ტბას საქართველოში პირველ სატელიტ კურორტად აქცევს

## უნიკალურ ტყე-პარკს ვერსალის სამეფო ბაღის ერთ-ერთი ნაწილის დირექტორი დააგეგმარებს

ეკა ქევანიშვილი

*ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის უნიკალურ კურორტად ქცევის გრანდიოზული პროექტის საბოლოოდ განსახილველად, რომელსაც საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია (ჯი-არ-დი-სი) ახორციელებს, შაბათს რამდენიმედღიანი "ვორქშოფი" იწყება. სამუშაო შეხვედრას ამერიკელი, ფრანგი, დანიელი, ბრიტანელი პროფესიონალი არქიტექტორები, ლანდშაფტის დიზაინერები და საკურორტო სფეროს ექსპერტები დაესწრებიან. ამ შეხვედრამ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ აიღებს სტარტს 7-წლიანი პროექტი, რომელ ეტაპზე რა სამუშაო შესრულდება იმისათვის, რომ 2014 წელს თბილისიდან 15 წუთის სავალზე თანამედროვე სტანდარტების, ბალნეო-კლიმატო-პელოიდური კურორტი აშენდეს, ადგილი, სადაც ყველა თბილისელს ექნება დასვენების შესაძლებლობა.*





იმ პროექტებს შორის, რომელზეც დღეს ჯი-არ-დი-სი მუშაობს, ლისის ტბის პროექტი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზულია. ამ პროექტს, სხვანაირად, მერიის პროექტიც შეიძლება ეწოდოს, რადგან მან ქალაქის მერი მეტად დააინტერესა და ჯერ კიდევ თებერვალში, მერიისვე ინიციატივით, ეს პროექტი მთავრობის სხდომაზეც განიხილეს. ნახევრად დამშრალი და ვიზუალურად მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის აყვავების პროექტი მაშინ მთავრობამ მოიწონა.

დღეს კი უკვე ცნობილია: რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი, 7 წელი პროექტის დასასრულებლად, უცხოელი და ქართველი პროფესიონალების ერთობლივი შრომა და - ლისის ტბაზე მოუვლელი და აუთვისებელი ადგილები არ იარსებებს.

ჯი-არ-დი-სის ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის, სააქციო საზოგადოება "ლისის ტბის" დირექტორი რუსუდან ფანცულაია ამბობს, რომ ეს მომხიბვლელი იდეა, თითქმის ორი წელია, არსებობს. იდეა კი იმ მდიდარმა ბუნებრივმა რესურსებმა გააჩინა, რომლებიც ლისის ტბის ირგვლივ არსებობს: ტბა, ტყე და თერმული წყლები.

შარშან იანვარში, საქართველოს კურორტების აღდგენის და განვითარების ასოციაციამ, ჯი-არ-დი-სის დაკვეთით, დეტალურად შეისწავლა ეს ტერიტორია და დაასკვნა, რომ იქ მართლაც მშვენიერი პირობებია სატელიტი კურორტის გასაშენებლად.

პირობებში, როგორც რუსუდან ფანცულაია აღნიშნავს, პირველ რიგში კლიმატი იგულისხმება, რომელიც დედაქალაქის კლიმატისგან 4-5 გრადუსით განსხვავდება.

"ამას გარდა, ეს ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ადგილია თბილისის შემოგარენში, მდიდარია თერმული წყლებით. იქვე ახლოს არსებობს მეორე, მლაშე ტბა, რომლის ტალახიც, დამუშავების შემთხვევაში, სამკურნალო თვისებებს შეიძენს. რა შეიძლება იყოს ამაზე კარგი - ჩვენ გვექნება კურორტი ქალაქში. ჩვენ ამისათვის იქ გვაქვს 330 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც უზარმაზარი სამუშაოა ჩასატარებელი."

თავად კურორტების აღდგენისა და განვითარების ასოციაციის კონსულტანტი, ექიმი-კურორტოლოგი მანანა ტაბიძე აღნიშნავს, რომ ლისის ტბა ზღვის დონიდან 800 მეტრზე მდებარეობს და ის დაბალი მთის კურორტებს მიეკუთვნება - იქ ყველაფერია ამ ტიპის კურორტის გასაშენებლად, პირველ რიგში კი, კლიმატი, მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახი. საუბარია დიდი რაოდენობით გოგირდ-წყალბადიან მინერალურ წყალზე, რომლის ბუნებრივი ტემპერატურა 50-60 გრადუსია.

ჩვენმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ეს არის ეკოლოგიურად სუფთა გარემო, არ არის მავნე შენარევები არც ჰაერში, არც წყალში. ერთი წლის მანძილზე ჩვენ ვატარებდით გეოფიზიკურ და ჰიდროლოგიურ დაკვირვებებს, სხვა სპეციფიკურ დაკვირვებებს, რომელთა საფუძველზეც ასეთი დასკვნა გავაკეთეთ," - აღნიშნავს მანანა ტაბიძე.

რადგან დასკვნა დაიდო, საქმის დაწყებაც უკვე შესაძლებელი გახდა. რუსუდან ფანცულაია განმარტავს, რომ პირველი რიგის ამოცანა მაინც ლისის ტბის რეაბილიტაციაა. ბაქტერიოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ ტბის წყალი სუფთაა. შეჩერებულია ტბის დაშრობის პროცესიც და დღეს წყლის ზედაპირი პირვანდელ მოცულობას უბრუნდება. ზემო ლისიდან და ნუცუბიძის პლატოდან გამომავალი გრუნტის წყლებით ტბა დღესაც მარაგდება.

მოსაწესრიგებელია ვიზუალური მხარე, განსაკუთრებით მისახედია მომრავლებული წყლის მცენარეები, რასაც შეკრეჭა და ფორმის მიცემა სჭირდება.

როგორც ირკვევა, ლისის ტბის ღირსებებზე საუბრისას, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იმის დასტურად, რომ ეს ეკოლოგიურად მეტად მნიშვნელოვანი ზონაა. ლისის ტბა წარმოადგენს ფრინველების გადაფრენის მნიშვნელოვან ტრასას, რომელიც SITES-ს კონვენციითაა დაცული. ამას გარდა, ეს არის ადგილი, სადაც ფრინველების და რეპტილიების ენდემური (მარტო საქართველოსათვის დამახასიათებელი) სახეობები ბინადრობენ. საუბარია წითელ წიგნში შეტანილ სახეობებზე.

წინასწარ სამუშაოებს რაც შეეხება, დღეს ტბის გარშემო მდებარე ტყეში 20-კაციანი ჯგუფი მუშაობს და ტყეს "მკურნალობს". ეს ტყე, რომელიც თავის დროზე ხელოვნურად გაშენდა, უკვე წლებია, უპატრონოდ არის მიტოვებული. დღეს მიმდინარეობს ტყის სანიტარული დამუშავება, დაავადებული ხეების მოჭრა და ხმელი ტოტებისგან ხეების გათავისუფლება,

ლისის ტბის მიმდებარე ხრიოკი ტერიტორიაც მალე სერიოზულ ტყე-პარკად უნდა გადაიქცეს, ამაზე კი ჯი-არ-დი-სისთან ერთად კომპანიის მიერ მოწვეული, ვერსალის სამეფო ტყე-პარკის ერთ-ერთი ნაწილის დირექტორი მანუელ პლივინეჟი ზრუნავს. პროექტი ზემოთ ნახსენები მეორე, შედარებით პატარა, მლაშე ტბის აღდგენასაც ისახავს მიზნად, ეს ტბა მხოლოდ გაზაფხულზე ივსება წყლით, ხოლო ზაფხულში, მაღალი აორთქლების გამო შრება ხოლმე.

მომავალ ვორქშოფზე უფრო კონკრეტულად გადაწყდება, დაგეგმილი სამი ეტაპიდან რა იქნება პირველად გასაკეთებელი. თუმცა ზოგადად, რაც ლისის ტბაზე უნდა გაკეთდეს, ამის შესახებ რუსუდან ფანცულაია დღეს საუბრობს:

"დაგეგმილია დღის დამსვენებელთა ზონის მოწყობა - პლაჟი მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, წყლის ველოსიპედები, ნავები, სერფინგი; სპორტული მოედნები, როგორც ჩოგბურთის, ისე ფეხბურთის; რესტორნები, კაფე-ბარები, საბავშვო მოედნები, საცხენოსნო კომპლექსი...

აშენდება სასტუმრო თავისი საკონფერენციო დარბაზით, ცხადია, ყველა პირობით, სადაც ადამიანი თან იმუშავებს, თან დაისვენებს. და ამის შესაძლებლობა ყველა მსურველს ექნება ქალაქიდან 15-20 წუთის სავალ მანძილზე.

იქნება კოტეჯებიც, შაბათ-კვირას ოჯახს ან წყვილს, ან ვისაც მოესურვება, შეეძლება ამოვიდეს და დაისვენოს.

ამ კურორტის ერთ-ერთი მთავარი კოზირი ის იქნება, რომ ეს გამაჯანსაღებელი კომპლექსი დაფუძნებული იქნება თერმულ წყალზე, გვექნება ღია და დახურული აუზები, ფიტნეს-ცენტრი, ერთიც პატარა, მაგრამ ექსკლუზიური სასტუმრო - სპა კურორტი, სადაც ასევე წყლით გაჯანსაღებაზე გაკეთდება აქცენტი."

ვინც მანქანით ვერ მივა, მათ შესაძლებლობა ექნებათ, საბაგირო გზით ისარგებლონ. მოლაპარაკება საბაგირო გზის მშენებელ ორ წამყვან კომპანიასთან წარმოებს - ავსტრიულ "დოპელმეიერთან" და იტალიურ "ლეიტნერთან".

და როგორც პროექტის ავტორები აღნიშნავენ, ეს იქნება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, "უელნესის" ტიპის, ზოგად გაჯანსაღებაზე ორიენტირებული კურორტი. აქვე იმის დამატებაც შეიძლება, რომ დღეს თბილისში ერთ სულ მოსახლეზე საჭირო 22 კვადრატული მეტრი მწვანე ნარგავის ნაცვლად 4-6 კვ. მეტრი მწვანე ნარგავი მოდის და თუ შაბათ-კვირას მაინც მაინც შეიცვლიან თბილისელები კლიმატს, ეს მცირე კომპენსაცია მაინც იქნება.

რაც შეეხება დაგეგმილ სამუშაო შეხვედრას, რომლის ერთი დღეც, კერძოდ - ორშაბათი, 9 ოქტომბერი პრესისთვის ღია იქნება, იქ საბოლოოდ უნდა შეჯერდნენ, თუ როგორ სახეს მიიღებს ლისის ტბის შემოგარენი. ჯი-არ-დი-სის დიზაინის განვითარების დირექტორი ჯონათან კოჰენ-ლიტანტი ამბობს, რომ ამ შეხვედრას დაესწრებიან ადამიანები, რომლებიც უკვე წლებია, ამ სფეროში მუშაობენ. მისი მთავარი მოლოდინი კი ამ ვორქშოფიდან - ინფორმაციის გაცვლაა, იდეების ერთგვარი ბრეინშტორმინგი, სადაც აზრთა გაცვლა-გამოცვლა საუკეთესო გადაწყვეტილებებამდე მიიყვანს პროექტის ავტორებს.




### ევროკავშირი ზედმეტი რძის წარმოების გამო სანქციებს მიმართავს

2005-2006 წლებში დაწესებული რძის წარმოების ეროვნული კვოტების გადაჭარბებისათვის ევროკავშირმა სამი ქვეყნის დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, აღნიშნულ სექტორში არსებული ევროპული შეთანხმების დარღვევისათვის დაისაჯნენ იტალია, გერმანია და პოლონეთი. პირველი 189 მილიონი ევროთი დაჯარიმდა, მეორე 62 მილიონით, მესამე კი 91 მილიონი ევროთი.

### საქართველოს საბანკო ბაზარზე ყაზახური "ალიანს ბანკი" შემოდის

უახლოეს მომავალში საქართველოს საბანკო ბაზარზე ყაზახური "ალიანს ბანკი" შემოვა. არსებული ინფორმაციით, ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკში უკვე წარადგინა განაცხადი საქართველოში ფილიალის გახსნის შესახებ და შესაბამისი თანხმობა მიიღო.

"ალიანს ბანკი" "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკისა" და ფრანგული "შოციეტე ჯენერალე"-ს შემდეგ მესამე უცხოური ბანკია, რომელმაც საქართველოში შემოსვლის გადაწყვეტილება მიიღო.

"აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკმა" უკვე მიიღო თანხმობა საქართველოში შვილობილი კომერციული ბანკის გახსნის შესახებ. რაც შეეხება "შოციეტე ჯენერალე"-ს, მან ქართული "ბანკი რესპუბლიკას" აქციათა 60% შეიძინა და ამ დროისათვის შესაბამისი დოკუმენტების გაფორმების პროცესს ამთავრებს.

"ალიანს ბანკი" თავისი აქტივების მოხედვით ყაზახეთის ბანკების ოთხეულში შედის და მისი აქტივები, 2006 წლის 1 მაისის მონაცემებით, 3 მილიარდ 500 მილიონი აშშ დოლარია, კაპიტალი კი - 31,8 მილიარდი აშშ დოლარი, მოგება 1 - მილიარდი აშშ დოლარი.

გასულ წელს "ალიანს ბანკი" ჟურნალ "თჰე ბანკერ"-ს მიერ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 377 ბანკს შორის ყველაზე სწრაფად განვითარებად ბანკად დასახელდა.

ყაზახეთის 27 ქალაქში "ალიანს ბანკის" 19 ფილიალი და 114 განყოფილება ფუნქციონირებს.

"აზებაიჯანის საერთაშორისო ბანკის" აქციების 50%-ზე მეტს სახელმწიფო ფლობს და ქვეყნის ყველაზე მსხვილ ბანკს წარმოადგენს. 2005 წელს მისმა წილმა შეადგინა აქტივების 50,9% (1 მილიარდ 257 მილიონ 900 ათასი აშშ დოლარი), საკრედიტო პორტფელის - 53,48%, დეპოზიტების - 61,91%, აზერბაიჯანის საბანკო სექტორის სააქციო კაპიტალის - 24, 58%.

ბანკს 36 ფილიალი და 121 განყოფილება გააჩნია.

"შოციეტე ჯენერალე" დაფუძნებულია 1864 წელს და ევროზონაში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ბანკად ითვლება. 2006 წლის ივნისის მონაცემებით, მისმა აქტივებმა 1 მილიარდ 516 მილიონი ევრო შეადგინა. ბანკი მსოფლიოს 80 ქვეყანაში 20 მილიონამდე კლიენტს ემსახურება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში 18 კომერციული ბანკი, მათ შორის, ორი უცხოური ბანკის ფილიალი ფუნქციონირებს.

საქართველოს საბანკო სისტემის აქტივები 2006 წლის 1 სექტემბრისთვის 2 მილიარდ აშშ დოლარს (3,519 მილიარდ ლარს) შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სამშენებლო სფეროში საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობა ღრმავდება

თურქეთში საქართველოს ელჩის გრიგოლ მგალობლიშვილის განცხადებით, საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობა სამშენებლო სფეროში უფრო გაღრმავდება. მისივე თქმით, ანკარაში საქართველოს საელჩოს მშენებლობა, რომელსაც თურქული მხარე ახორციელებს, სულ მალე დასრულდება.

რაც შეეხება საქართველოში თურქული ინვესტიციების განხორციელებას, მგალობლიშვილი აცხადებს, რომ ინვესტიციები, ძირითადად, საქართველოში ინფრასტრუქტურის მშენებლობაში ჩაიდება.

"შემოდის მსხვილი ჰოლდინგი ტურიზმის სფეროში. აჭარაში დაგეგმილია 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა. სავარაუდოდ, ეს სასტუმრო ბათუმში აშენდება. ასევე, ბათუმშია დაგეგმილი გასართობი კომპლექსის აშენება," - აცხადებს გრიგოლ მგალობლიშვილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დიზელისძრავიანი ავტომობილების პოპულარობა იზრდება

მერაბ ლორთქიფანიძე



მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ეკოლოგიური კანონები სულ უფრო მკაცრ რეჟიმს უწესებს დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავებს, რაც პროდუქციის გაძვირებას იწვევს, ძველ კონტინენტზე ასეთი ძრავებით აღჭურვილი ავტომობილების გაყიდვები სულ უფრო იზრდება.

გარდა ამისა, პარიზის ავტოსალონზე ჩატარებულ პრესკონფერენციებზე, ავტომწარმოებლების ხელმძღვანელების გამოსვლის დროს დადასტურდა ის ფაქტიც, რომ ევროპის გარდა, დიზელისძრავიან ავტომობილებზე მოთხოვნა მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებშიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

"დიზელის ძრავების ტექნოლოგიები სულ უფრო ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ევროპული მკაცრი ეკოლოგიური მოთხოვნები. ამის შედეგი წარმოების გაძვირებაა, თუმცა ეს სულაც არ აისახება გაყიდვებზე. პირიქით, იმის გამო, რომ დიზელის ძრავი ბენზინისაზე გაცილებით ეკონომიურია, მასზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება," - განაცხადა "ჯენერალ მოტორსის" ევროპული შტოს ძრავების განყოფილების ვიცე-პრეზიდენტმა როჯერ იოჰანსონმა.

ბოლო მონაცემებით, ევროპაში გაყიდული ავტომობილების თითქმის ნახევარი დიზელის ძრავითაა აღჭურვილი. არადა, ჯერ კიდევ 2000 წელს მათი წილი ევროპულ ბაზარზე 32 პროცენტი იყო. დიზელზე მომუშავე ავტომობილების ღირებულება ბენზინზე მომუშავეებთან შედარებით დაახლოებით 2000 ევროთი მეტია, მაგრამ სამაგიეროდ, ისინი დაახლოებით 30 პროცენტით ეკონომიურებიცაა.

ევროპაში გამონაბოლქვთან დაკავშირებული კანონების გამკაცრება დიზელისძრავიანი ავტომობილების გაძვირებას იწვევს. ამის მიზეზი ისაა, რომ დიზელის საწვავზე მომუშავე აგრეგატების გამონაბოლქვი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს აზოტის ოქსიდებს (NOx), რომელიც ტოქსიკურიცაა და დათბობის ეფექტსაც ქმნის.

იაპონურ კომპანია "მაზდას" გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილების შეფი დენ მორისი ამბობს, რომ მალე დიზელზე მომუშავე ავტომობილების პოპულარობა მსოფლიოს სხვა ბაზრებზეც ევროპულის მსგავსად გაიზრდება. ამის მთავარი მიზეზი კი ასეთი ავტომობილების ეკონომიურობაა. დიზელის პოპულარობის ზრდის კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ თანამედროვე დიზელის ძრავები ტექნიკური მაჩვენებლებით ტოლს არ უდებენ ბენზინზე მომუშავეებს.

ავტობიზნესის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დიზელზე მოთხოვნის ზრდის ტემპი ევროპაში თანდათან შემცირდება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი პოპულარობაც კლებას დაიწყებს. უფრო მეტიც, მალე ბაზრის ნახევარზე მეტს სწორედ დიზელისაგრეგატიანი ავტომობილები აითვისებენ.

შარშან მთელს მსოფლიოში 15 მილიონი დიზელისძრავიანი ავტომობილი გაიყიდა. მაგრამ ეს სულაც არაა ზღვარი. კერძოდ, ანალიტიკურ კომპანია "J.D. პაუა ენდ ესოშეიტიდის" პროგნოზით, ასეთი ავტომობილების წლიური გაყიდვები 2015 წელს თითქმის გაორმაგდება და 29 მილიონს მიაღწევს. პარალელურად, ევროპაში დიზელის ძრავებიანი ავტომობილების გაყიდვების წილი 60 პროცენტამდე გაიზრდება. კომპანიის ანალიტიკოსი ალესტერ ბედუელი მიიჩნევს, რომ აზიის ქვეყნების (ჩინეთი, კორეა და ინდოეთი) სწრაფად მზარდ ბაზრებზე დიზელზე მომუშავე ავტომობილების გაყიდვების სწრაფი ზრდის რეალური პერსპექტივა არსებობს.

ყველაზე მთავარი კი მაინც მსოფლიოში უდიდესი, აშშ-ს ბაზარია, სადაც დიზელის აგრეგატები ჯერაც ვერ სარგებლობს სათანადო პოპულარობით. თუმცა, ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ სწორედ ახლა დგება მომენტი, როცა დიზელზე მოთხოვნა აშშ-შიც მაღალი ტემპით ზრდას დაიწყებს.

ამ ტენდენციის შესაბამისი გეგმები უკვე შემუშავებული აქვთ იაპონურ კომპანიებს. კერძოდ, "ჰონდა" მუშაობს სპეციალურად აშშ-ს ბაზრისთვის დიზელის ძრავის შესაქმნელად, რომელიც ბენზინის ძრავებზე ნაკლებად დააბინძურებს გარემოს. ახალი ძრავით აღჭურვილი ავტომობილების აშშ-ში გაყიდვები 2009 წელს დაიწყება. აშშ-სთვის განკუთვნილი ავტომობილებისთვის თავიანთ ახალ, დიზელის აგრეგატებს ამზადებენ "დაიმლერკრაისლერი" და "ფოლკსვაგენიც".

მოსალოდნელია, რომ დიზელისძრავიანი ავტომობილების წილი აშშ-ს ბაზარზე 2015 წელს მიაღწევს 15 პროცენტს. შესაბამისად, "დაიმლერკრაისლერის" გერმანული შტოს ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ იმ დროისთვის მის მიერ რეალიზებული ავტომობილების 15 ან მეტი პროცენტი დიზელისძრავიანი იქნება.

ცნობისათვის, დიზელისძრავიანი მსუბუქი ავტომობილების წარმოების მოცულობის მხრივ მსოფლიო ლიდერობა "ფოლკსვაგენს" ეკუთვნის, რომელსაც ოდნავ ჩამორჩება "ფორდი". ამასთან, სწრაფი ტემპით ვითარდება "ტოიოტას" დიზელის პროგრამა, და შესაძლოა, 2015 წლისთვის ეს კომპანია, დიზელისძრავიანი ავტომობილების წარმოების მხრივ, ლიდერადაც მოგვევლინოს.

# "ლენდ როვერი" გაყიდვების რეკორდს ამყარებს

პირველი გვერდიდან



"ლენდ როვერს" განსაკუთრებით კარგად მისდის საქმეები აშშ-ს ბაზარზე. ეს ბაზარი ყველაზე მნიშვნელოვანია ინგლისური კომპანიისთვის, რადგან სწორედ ამერიკაში ყიდის ყველაზე მეტ ავტომობილს. ჰოდა, იქ გაყიდვების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 28 პროცენტით გაიზარდა, რაც მეტწილად განაპირობა ბაზარზე ახალი "რეინჯ როვერის" გამოჩენამ.

შეგახსენებთ, რომ უგზოობის ავტომობილების მწარმოებელი ეს ინგლისური კომპანია "ფორდს" ეკუთვნის. ამასთან, "ლენდ როვერი" გაერთიანებულია "ცისფერი ოვალის" ცალკეულ, პრემიუმ კლასის ავტომობილების მწარმოებელ დივიზიონ "პრემიუმ ოტომოტივ გრუპში" (PAG), რომელშიც ასევე შედის "იაგუარი", "ასტონ მარტინი" და "ვოლვო". როგორც წესი, "ფორდი" ცალ-ცალკე ამ კომპანიების ზუსტ წლიურ შედეგებს არ აქვეყნებს ხოლმე.

პოფემი არ აკონკრეტებს, თუ რა რაოდენობით სუფთა მოგებას გეგმავს "ლენდ როვერი". სამაგიეროდ, დარწმუნებულია, რომ ეს კომპანია "ასე ძლიერი არასოდეს ყოფილა".

"ზედიზედ მეორე წელია, ჩვენი კომპანია მომგებიან საქმიანობას ეწევა და ეს იმ ძალისხმევის ლოგიკური შედეგია, რაც ჩვენ წლების განმავლობაში გავწიეთ. ჰოდა, დადგა დრო, როცა ჩვენი განვითარებისთვის გაღებული ხარჯების სანაცვლოდ, "ფორდმა" სტაბილური მოგება უნდა მიიღოს," - ამბობს პოფემი.

რაც შეეხება ამერიკულ კომპანიას, "ფორდმა" მიმდინარე წლის პირველი ნახევარი 1,4 მილიარდდოლარიანი ზარალით დაასრულა, რის შემდეგაც ბევრმა ანალიტიკოსმა ივარაუდა, რომ დირბორნელები თავიანთი წამგებიანი, PAG-ში შემავალი კომპანიების გაყიდვას გადაწყვეტდნენ. თუმცა, კომპანიის სათავეში ახალი მთავარი აღმასრულებლის ალან მიულალის მოსვლის შემდეგაც გამოცხადდა, რომ "ფორდი" არ აპირებს არც "ლენდ როვერის", არც "იაგუარისა" და არც "ვოლვოს" გაყიდვას. რაც შეეხება "ასტონ მარტინს", მის თაობაზე ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

შეგახსენებთ, რომ "ფორდმა" "ლენდ როვერი" 2000 წელს გამოისყიდა "ბეემვესგან", რომელმაც თავის მფლობელობაში დაიტოვა მარკა "როვერი". თუმცა, იმის გამო, რომ ინგლისური კომპანიის მომგებიან რელსებზე გადაყვანა ვერ მოხერხდა, მოგვიანებით ბავარიელებმა "როვერი" სიმბოლურ ფასად მიჰყიდეს ბრიტანელ ინვესტორთა ჯგუფ "ფინიქსს", თავიანთ ხელში კი მხოლოდ "მინი" დაიტოვეს.

ორი წლის წინ "MG როვერიც" გაკოტრდა. მისი ორი მოდელის (25 და 75) წარმოების უფლება და ტექნოლოგიური ხაზები ჩინურმა კომპანია SAIC-მა შეიძინა, მაგრამ მარკა "როვერის" გამოყენების უფლება ვერ მიიღო. საქმე ისაა, რომ "ფორდთან" 2000 წელს დადებული ხელშეკრულებით, თუ ბავარიელები ამ მარკის გაყიდვას მოინდომებდნენ, პირველ რიგში, ის სწორედ "ფორდისთვის" უნდა შეეთავაზებინათ. ჰოდა, მას შემდეგ, რაც SAIC-მა "როვერის" მარკის შეძენაც სურვილიც გამოთქვა, "ფორდმა" თავისი უფლების გამოყენება მოითხოვა.

პოფემის თქმით, "ფორდი" ბრენდ "როვერს" იმისათვის ყიდულობს, "რომ დაიცვას "ლენდ როვერის" იმიჯი". დაიცვას, ალბათ, ჩინური "ხელყოფისგან" - ჩინური ავტოკომპანია მალე დაიწყებს თავისი პროდუქციის მსოფლიოს ბაზრებზე გატანას და "როვერის" სახელის გამოყენება სწორედ საზღვარგარეთული ოპერაციებისთვის სჭირდებოდა. ახლა კი, როცა "ფორდმა" თავისი უფლების გამოყენება ისურვა, ჩინელებს ისღა დარჩენიათ, ახალი მარკა შექმნან და მთელს მსოფლიოს მოედონ, სადაც ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაუწევენ კონკურენციას "ცისფერ ოვალს" და მის "როვერებს".

### აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა დოლარის კურსის შესუსტებამ და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის კვლავინდებურად არსებულმა საშიშროებამ. ამასთან, ნავთობის გაიაფებას ნავთობკომპანიათა აქციების დაცემა მოჰყვა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,03 პროცენტით, 11.710,13 პუნქტამდე შემცირდა. 0,29 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.231,03 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,16 პროცენტით, 1.329,18 პუნქტამდე მოიკლო.

### ნავთობის ფასი კვლავ 60 დოლარი/ბარელის ფარგლებშია

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 59,83 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 60,69 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა, რაც ბოლო ექვსი დღის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ ივლისის დასაწყისის შემდეგ ნავთობი დაახლოებით 20 პროცენტით გაიაფდა.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მისი ფასი ოდნავ გაიზარდა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისის გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 5,643 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჭარბი მარაგის არსებობა და ბენზინზე სეზონური მოთხოვნილების კლება გახლავთ. ამასთან, ოპეკის ქვეყნები არ ჩქარობენ ვენესუელის და ნიგერიის მაგალითს მიბაძონ და ნავთობის მოპოვების მოცულობა შეამცირონ.

### ოქროს ფასი ისევ 600 დოლარი/უნციას ჩამოსცდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ფასი კვლავ 600 დოლარის ფსიქოლოგიურ ნიშნულს ჩამოსცდა და მისმა ღირებულებამ 593 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა 11,47 დოლარი/უნციამდე მოიკლო, პლატინა 1138,8 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 312,7 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაიაფება ნავთობის ფასის კლებამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ ბაზარზე გავლენა ვერ მოახდინა ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული გამოცდების გაგრძელების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ, რასაც, შესაძლოა, მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაციის გაუარესება მოჰყვეს.

### Sony Ericsson ჩინეთში წარმოებას აფართოვებს

კომპანია Sony Ericsson, რომელსაც Sony Corp და Telefon ABLM Ericsson აკონტროლებენ, ჩინეთში ახალი საწარმოების გახსნას აპირებს. ამგვარი გაფართოვებით კომპანიას დაგეგმილი აქვს მობილური აპარატების მწარმოებელთა მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავოს. ამჟამად Sony Ericsson მეოთხე გახლავთ და ფინურ Nokia-ს, ამერიკულ Motorola-ს და სამხრეთ კორეულ Samsung-ს ჩამორჩება.

Sony Ericsson-ის განცხადებით, კომპანია წარმოების გაფართოვების დაფინანსებას კომპანიის შიდა რესურსების ხარჯზე აპირებს. მისი ხანგრძლივი სტრატეგია განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე წილის გაზრდას ეჩუძნება. საერთოდ, ბოლო დროს მობილური ტელეფონების მწარმოებელთა უმრავლესობა აქცენტს აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე აკეთებს, რისი მიზეზიც დასავლეთევროპულ ბაზარზე გაყიდვების კლება გახლავთ.

### ახალი საბაჟო კოდექსი კეთილსინდისიერ იმპორტიორებს საბაჟო ვალდებულებების გადავადების უფლებას აძლევს

ახალი საბაჟო კოდექსის, რომლის ძირითადი დებულებები ძალაში 2007 წლის 1 იანვრიდან შევა, უმთავრესი პრიორიტეტი ის არის, რომ ნებისმიერ ბიზნესმენს, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქმიანობს, საქართველოშიც იდენტური საბაჟო პროცედურები დახვდება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა გოცირიძის განმარტებით, იმის გარდა, რომ ახალ კოდექსში საბაჟო პროცედურები გამარტივდა და ზოგიერთი საბაჟო რეჟიმი გაუქმდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემცირდა იმპორტისა და ექსპორტის წარმოებისათვის საჭირო საბაჟო დოკუმენტაციის რაოდენობა და გათვალისიწნებულია გარკვეული შეღავათებიც.

"იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორს სატარიფო შეღავათი ეკუთვნის, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმპორტის დროს არ გააჩნია, მას შეუძლია, საქონელი მაღალი ტარიფით განაბაჟოს, ხოლო სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, თანხა უკან დაუბრუნდება.

მისივე თქმით, გარკვეული პრივილეგიით ისარგებლებენ კეთილსინდისიერი იმპორტიორებიც და მათ საბაჟო ვალდებულებების გადავადების უფლება მიეცემათ.

"დეკლარანტს, რომელიც არ არღვევს საბაჟო წესებს და არ მალავს გადასახადებს, საშუალება ექნება, საბაჟოზე წარადგინოს გარანტია და საქონელი თანხის გადახდის გარეშე გაიტანოს, ხოლო საბაჟო დავალიანება ერთი თვის ვადაში დაფაროს," - განმარტავს გოცირიძე. **ჯი-ეიჩ-ენი**

# Made in Moscow

პირველი გვერდიდან

ავიაკომპანია "სიბირმა" უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსკოვი-თბილისი-მოსკოვის რეისზე შეზღუდვების შემთხვევაში მგზავრების გადაზიდვას ერევნიდან და გიუმრიდან უზრუნველყოფს. განრიგით, "სიბირის" რეისი ხუთშაბათისთვისაა დანიშნული.

თბილისიდან ერევანში ავიარეისები არ ხორციელდება, თუმცა საქართველოდან სომხეთში მატარებლით ან ავტოტრანსპორტით შეიძლება მოხვედრა. მატარებელი ერევნის მიმართულებით თვის კენტ რიცხვებში მოძრაობს. სარკინიგზო ტრანსპორტით მოხვედრა აზერბაიჯანშიცაა შესაძლებელი - ყოველდღე.

სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტასთან დაკავშირებით ოფიციალური შეტყობინება მიიღო გუშინ "საქართველოს რკინიგზამაც". მიმოსვლის შეწყვეტის მიზეზად რუსული მხარე მგზავრთნაკადის სიმცირეს ასახელებს. "საქართველოს რკინიგზა" უარყოფს ამ ინფორმაციას და აღნიშნავს, რომ "ამ მიმართულებაზე ყოველთვის ჭარბი მგზავრთნაკადი იყო". ცნობისათვის, "საქართველოს რკინიგზა" მოსკოვის მიმართულებით რეისებს კვირაში სამჯერ - სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, ორვაგონიანი შემადგენლობით ახორციელებდა. ბილეთის ფასი კუპირებულ ვაგონში 230 ლარია, ხოლო პლაცკარტის ტიპის ვაგონში - 160 ლარი. ყოველ რეისზე მგზავრთა მაქსიმალური რაოდენობა 90-ია. აღნიშნული რეისის მგზავრებმა ბილეთები უკვე დააბრუნეს. "საქართველოს რკინიგზის" ცნობით, სამშაბათის რეისის ჩაშლით მიყენებული ზარალი 12 000 ლარს არ აღემატება.

და ბოლოს, ოფიციალური მოსკოვი საქართველოსთან **"სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენას ჯერჯერობით არ აპირებს,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და იქვე დასძინა, რომ საქართველოს მიმართ ამოქმედებული სატრანსპორტო და საფოსტო შეზღუდვები ფულის მასის უკანონო გადინების წინააღმდეგაა მიმართული.

## მსოფლიო ბანკმა საქართველოს ფრინველის გრიპის წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის 6 მლნ დოლარი გამოუყო

მსოფლიო ბანკმა საქართველოს მთავრობას ფრინველის გრიპის წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის 6 მლნ დოლარი გამოუყო. თანხა კადრების გადამზადებაზე, სადეზინფექციო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენაზე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე, ლაბორატორიების ამოქმედებაზე, კომპიუტერული ქსელის შექმნაზე და სხვა შესაბამისი პროცედურების ჩატარებაზე დაიხარჯება.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველმა ლევან რამიშვილმა განაცხადა, ამ თანხაში გათვალისწინებულია 2 მლნ დოლარიც, რომელიც მოსახლეობაზე კომპენსაციის მიზნით გაიცემა.

“კომპენსაცია გაიცემა იმ მოსახლეობაზე, რომელიც დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შინაურ ფრინველს გაანადგურებს. თანხა არ გაიცემა 2005 წელს დაზარალებულ მოსახლეობაზე. შეუძლებელია, ფრინველის გრიპის დაფიქსირების აღკვეთა ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე, ვინაიდან დაავადების გამავრცელებლები გადამფრენი ფრინველები არიან. შესაბამისად, კონტროლის საუკეთესო და ერთადერთი საშუალებაა, ხელი შევუშალოთ მის გავრცელებას," - განაცხადა ლევან რამიშვილმა.

მისივე თქმით, ქვეყნის მასშტაბით კვლავ 24-საათიანი რეჟიმით მოქმედებს 8 საგანგებო შტაბი.

“ფრინველის გრიპის გავრცელების საშიშროება 2-3 წლის განმავლობაში კვლავ იარსებებს, თუმცა თუ ამ ხნის განმავლობაში ეს დაავადება არ დაფიქსირდება, მაშინ პრობლემაც, სავარაუდოდ, მოიხსნება," - განმარტა მინისტრის მრჩეველმა.

ცნობისათვის, ევროპელმა ექსპერტებმა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, რომლებიც ფრინველის გრიპის გავრცელების წინააღმდეგ იყო მიმართული, დადებითი შეფასება მისცეს.

როგორც ცნობილია, 2005 წელს აჭარის რეგიონის მოსახლეობამ 2.700 ფრთა შინაური ფრინველი გაანადგურა, საკომპენსაციო თანხა კი ადილობრივმა ხელისუფლებამ გაიღო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 04/09 | 05/09 | 06/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 18 | 21 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 20 |
| მოსკოვი | 17 | 14 | 15 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 21 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 19 | 21 | 22 |
| ვარშავა | 20 | 22 | 21 |
| ათენი | 27 | 27 | 27 |
| ბერნი | 22 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 18 | 16 | 17 |
| ანკარა | 25 | 23 | 24 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 41 | 41 | 41 |
| ტოკიო | 28 | 29 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 15 | 14 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 28 | 30 | 27 |
| ასტანა | 11 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 15 | 16 | 14 |
| დუბლინი | 15 | 15 | 12 |
| ლისაბონი | 25 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 20 | 22 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 23 |

# მშვიდობით, “მშვიდობით, იარაღო"!



პირველი გვერდიდან

ცხადია, სამხედრო სფეროზე ამხელა რესურსის მიმართვის მიზანშეწონილობა ყოველთვის იქნება დავის საგანი. მით უფრო, როდესაც საზოგადოებას, ერთი მხრივ, სამხედრო ტექნიკის თუ სხვა საჯარისო საჭიროებების შეძენის საკითხებთან დაკავშირებული ხმაურიანი კორუფციული სკანდალები და სასამართლო პროცესებიც კი ახსოვს; მეორე მხრივ კი მუდმივად ესმის, რომ მსოფლიო პოლიტიკის არც ერთი მსხვილი მოთამაშე კონფლიქტური ტერიტორიების შემოერთების ძალოვან სცენარს არ დაუშვებს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ნატოს სტანდარტების შესაბამისი არმიის მშენებლობა ხელისუფლებას ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტად აქვს გამოცხადებული და შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფაც სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. თან, როგორც მთელ მსოფლიოში გამოკვეთილი ტენდენცია მიუთითებს, საქართველო ამ თვალსაზრისით ნამდვილად არ არის გამონაკლისი. იმ ქვეყნების რაოდენობა კი, ვისი ბიუჯეტებიც ბოლო დროს მომეტებული მილიტარიზაციით ხასიათდება, სულ უფრო მეტად იზრდება.

მსოფლიოს მასშტაბით შეიარაღებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობამ ცივი ომისდროინდელს გადააჭარბა - ასეთია იმავე მშვიდობის პრობლემათა შემსწავლელი სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის დასკვნა. დასკვნა, რომელიც დეტალური ეკონომიკური გაანგარიშებებით არის გამყარებული: **დედამიწის სახელმწიფოთა ჯამურმა სამხედრო ხარჯებმა წლეულს ცივი ომისდროინდელი რეკორდი დაამხო და აბსოლუტურ ისტორიულ მაქსიმუმს - 1,1 ტრილიონ დოლარს მიაღწია.** SIPRI-ს დირექტორის, ელისონ ბეილისის განცხადებით, სამხედრო ხარჯების წინა პიკი 1987 წელს ანუ ცივი ომის პიკზე იყო, როდესაც სამხედრო ასიგნებების მოცულობა დღევანდელ ფასებში 1,097 ტრილიონ დოლარს ეტოლებოდა.

როგორც ტენდენცია მიუთითებს, ამჟამინდელი რეკორდული 1,1 ტრილიონი ნამდვილად არ იქნება უკანასკნელი რეკორდი: თუ 80-იანი წლების დასასრულს სამხედრო ხარჯები წლიურად 2,5-3%-ით იზრდებოდა, ამჟამად წლიური ზრდის ტემპი უკვე 6%-ს აჭარბებს და სამომავლოდ კიდევ გაიზრდება. მაგალითად, მსოფლიო შეიარაღების ლიდერის, აშშ-ს ელექტრონული და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამთავრობო ასოციაციის თავმჯდომარის, ჯეიმს რაიტსონის განცხადებით, აშშ სამხედრო ასიგნებები ზრდას, სულ მცირე, 2009 წლამდე განაგრძობს. ეს კი ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს: მსოფლიოში შეიარაღების დოლის ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. თან, ეს არის ტენდენცია გამონაკლისების გარეშე: თავდაცვის ხარჯები განუხრელად იზრდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

პირველი ვიოლინო კვლავაც ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლის სამხედრო ბიუჯეტიც მთელი მსოფლიოს სამხედრო ხარჯების ნახევარს შეადგენს. თუმცა, ბოლო წლებში ბაზარზე ახალი აქტივისტებიც იკვეთებიან: ახლო აღმოსავლეთი, ჩინეთი, იაპონია... ანუ, პრინციპში, ხდება ის, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო: ბიპოლარული მსოფლიოს რღვევის და მრავალპოლარულის კონტურების გამოკვეთა შესაბამის ახალ სამხედრო ბალანსსაც მოითხოვს. ეს კი, თავისთავად ცხადია, წარმოუდგენელია მზარდი თავდაცვითი დანახარჯების გარეშე.

კაცობრიობის ისტორია დიდწილად ომების ისტორიაა. სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე ხარჯტევადი ინსტიტუტიც სწორედ შეიარაღებული ძალებია. ეკონომიკის ისტორია კი თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ შეიარაღების დოლი მეურნეობის სტაგნაციიდან გამოყვანის ეფექტური ბერკეტია. შორს რომ არ წავიდეთ და გასულ საუკუნეს გადავხედოთ, ორ საგულისხმო მაგალითს წავაწყდებით: 30-იანი წლების დეპრესია მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ომის მოთხოვნებზე მორგებით დაიძლია. 70-იანი წლების სტაგნაცია კი მაშინვე დასრულდა, როცა ცივ ომს მიეცა სტარტი.

სამხედრო შეკვეთების ასეთი ფართო გავლენა ეკონომიკაზე კიდევ დიდხანს იქნება ათასგვარი თემატური თუ მეცნიერული კვლევების საგანი. თუმცა, არის რამდენიმე გარემოება, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია: კერძოდ, ის, რომ საომარი თუ ომისათვის მზადების პროცესები უშუალო კავშირშია სამეცნიერო-ტექნიკურ გამოგონებებზე მომეტებულ მოთხოვნებთან და, შესაბამისად, მათ მკვეთრ ზრდასთანაც. როგორც ამის შედეგი, პირდაპირია ბმა იმ იმპულსებთან, რომელიც ეძლევა მეურნეობის მრავალ სექტორს, მაგალითად, მანქანათმშენებლობას. საბოლოოდ კი მთელი ეს ჯაჭვი "მშვიდობიან" ეკონომიკაზე მუშაობს, ქმნის რა მძლავრ ინოვაციურ და საინვესტიციო ტალღას მთელ ეკონომიკაში. და თუ სამხედრო მრეწველობა არ არის იზოლირებული სამოქალაქოსგან, ეფექტი თვალსაჩინოდ პოზიტიურია. სწორედ ამაშია ომისშემდგომი ამერიკის უმთავრესი ნოუ-ჰაუ, რომელმაც შეძლო ცივი ომის შედეგების ეკონომიკურ პირველობაში გადაყვანა. მოკლედ, თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის და გაზარდე საკუთარი ეკონომიკური ეფექტურობა.

სამხედრო ხარჯების განუწყვეტელი ზრდა მსოფლიოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობს. ამ პერიოდში ზრდის ლიდერებმა - აშშ-მ, ჩინეთმა, საფრანგეთმა, იაპონიამ და დიდმა ბრიტანეთმა სამხედრო ასიგნებები თითქმის გააორმაგეს და დღეს მათ წილად თავდაცვაზე მსოფლიო დანახარჯების, დაახლოებით, ორი მესამედი მოდის. ტრადიციული ლიდერის, აშშ-ს თავდაცვის ბიუჯეტი ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუახანებში წლიურად, საშუალოდ, 260 მილიარდი დოლარი იყო და მსოფლიო ხარჯების 30%-საც არ აღწევდა. თუმცა, 2006 წლისთვის ამ ხარჯებმა უკვე 500 მილიარდს გადაჭარბა, ამერიკის წილი მსოფლიო სამხედრო ბიუჯეტში კი მჭიდროდ მიუახლოვდა 50%-ს. ერაყში ოპერაციის აქტიური ფაზის დროს აშშ-ს სამხედრო დანახარჯები დღეში 1 მილიარდ დოლარს აღემატებოდა. გაისად კი ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი კიდევ უფრო მოიმატებს და თითქმის 600 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

მასშტაბური ფინანსური ნაკადების გარდა, ამერიკული მაგალითი აქ განსაკუთრებით თვალსაჩინო იმითაც არის, რომ "ამერიკული ცხოვრების წესი" დანარჩენ მსოფლიოზე სამხედრო ასპექტშიც ისეთსავე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (თუ უფრო მეტს არა), როგორც ბევრ სხვა სფეროში. შესაბამისად, თუ აშშ ზრდის თავის სამხედრო ბიუჯეტს, ავტომატურად ზრდის ყველა დანარჩენიც (ცხადია, საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად). აშშ კი პერმანენტულად ზრდის და ეს თანაბრად ეხება როგორც მოკლე, ასევე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივას.

მარტო ერთი, მაგრამ ყველაზე ამბიციური პროექტის - რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ხარჯი 2035 წლამდე პერიოდში, სულ მცირე, 2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს. აქვე შეიძლება ვახსენოთ კიდევ ერთი ხარჯტევადი სამხედრო პროგრამა, რომელიც მეხუთე თაობის გამანადგურებლების და უპილოტო მზვერავი და გამანადგურებელი საფრენი აპარატების შექმნას ითვალისწინებს. მეხუთე თაობის მსუბუქი, **F-35**-ის ტიპის გამანადგურებელი, რომელსაც მსოფლიო საავიაციო კონსტრუქციების ფლაგმანი **LOCKHEED MARTIN** ქმნის, ამერიკული არმიის შეიარაღებაში უკვე 2008 წლიდან გამოჩნდება. სულ დაგეგმილია 9 ათასი ასეთი გამანადგურებლის წარმოება 700 მილიარდი დოლარის საერთო ბიუჯეტით. და ამ გამანადგურებლებს მიიღებს არა მხოლოდ აშშ-ს სამხედრო ავიაცია, არამედ ბრიტანეთი, ნორვეგია, ახალი ზელანდია, ავსტრალია, კანადა, ჰოლანდია, ისრაელი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა - ანუ ყველა ის სახელმწიფო, რომელიც პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა.

ცალკე საუბრის თემაა უპილოტო საფრენი აპარატები. ამერიკული კვლევითი კომპანიის, **TEAL GROUP**-ის შეფასებით, უახლოეს ათ წელიწადში მსოფლიოში სულ მცირე 30 მილიარდი დოლარის ღირებულების უპილოტო საფრენი აპარატები გაიყიდება, თან იმ პირობებში, როცა მოთხოვნა ბევრად აღემატება მიწოდებას. ანუ ბიუჯეტი სულ მალე აქაც გაზრდისკენ შეიძლება გადაისინჯოს.

ახალი შეიარაღების სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს რუსეთშიც - 2007-15 წლებში მის განსახორციელებლად 4,9 ტრილიონი რუბლი გამოიყოფა (ამჟამინდელ ფასებში 180 მილიარდი დოლარი). მარტო გაისად სამხედრო ტექნიკის შესყიდვაზე რუსები 300 მილიარდზე მეტ რუბლს (12 მილიარდ დოლარამდე) დახარჯავენ. არადა, წინა პროგრამით (2010 წლამდე) სამხედრო ტექნიკის სერიული შესყიდვები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ახლა ეს მოხდება და, როგორც თავდაცვის მინისტრი ივანოვი აცხადებს, ამაზე სამხედრო ბიუჯეტის თითქმის ორი მესამედი მიიმართება.

თავდაცვითი დანახარჯების ნახტომისებური ზრდის მოლოდინია მსოფლიოს თითქმის ყველა ცხელ თუ ცივ (ტერორისტული თუ სხვა საფრთხეების გამო ასეთი სულ უფრო ნაკლები რჩება) წერტილში. დიდი პროგნოზის ნიჭი არ სჭირდება ვარაუდს, რომ ლიბან-ისრაელის ომის გამო უეჭველად მოიმატებს (და თან საგრძნობლად) სამხედრო დანახარჯების მოცულობა ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფოში. სამხედრო ასიგნებების ზრდა გარდაუვალია ყველა იმ ქვეყანაშიც, რომელთაც უკვე იწვნიეს (მაგალითად, აშშ, ესპანეთი, ბრიტანეთი) ტერორიზმის სიმძაფრე, ან ანალოგიური თავდასხმების მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. უკვე ხსენებულ აშშ-სთან, ბრიტანეთთან და ესპანეთთან ერთად აქ უნდა ვიგულისხმოთ დიდი რვიანის დანარჩენი ხუთივე სახელმწიფო, ასევე ის ქვეყნებიც, რომელთაც ბიპოლარული სამყაროს დაშლის შემდეგ "მფარველი ქოლგა" მოეშალათ. ასეთი სახელმწიფოები (მაგალითად, მალაიზია, ინდონეზია, სამხრეთ კორეა და მისთანანი) ცივი ომის დროს რეგიონს მიღმა მყოფი რომელიმე მსხვილი პოლიტიკური მოთამაშის ქოლგას ეფარებოდნენ, მაგრამ ბიპოლარული სისტემის რღვევის (განსაკუთრებით, რეგიონულ დონეზე) შედეგად იძულებულნი არიან, უფრო მეტი გაიღონ დამოუკიდებელი თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. მით უფრო, თუ მეზობლად ჩრდილოეთ კორეა, ირანი, ვენესუელა ან მათი მსგავსი არაადექვატური ლიდერებით "დაჯილდოებულები" ბუდობენ.

თუ ამ ყველაფერს აფრიკის კონტინენტსაც დავუმატებთ, სადაც იარაღით ვაჭრობა ყველაზე წარმატებული და სარფიანი, სწრაფად მზარდი და აბსოლუტურად ჩრდილოვანი ბიზნესია, შეიარაღებული ძალები კი პოლიტიკური ბრძოლის შეუცვლელი და ყველაზე ქმედითი ატრიბუტი, სრული სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება.

ასე რომ, დასკვნის გაკეთება რთული საქმე არ უნდა იყოს: მსოფლიო პერმანენტული და გამალებული შეიარაღებისთვის არის განწირული. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველოც, როგორც ამ მსოფლიოს პატარა, მაგრამ განუყოფელი ნაწილი ამ დოლის მიღმა ვერ დარჩება. შესაბამისად, ის, რომ საქართველოს ბიუჯეტში (განსაკუთრებით ნატოში გაწევრიანების შემდეგ) უკვე პერმანენტულად იქნება წარმოდგენილი საკმაოდ ხარჯტევადი თავდაცვითი საჭიროებების გრაფა, უდავო ფაქტია. **მთავარია, ეკონომიკა იყოს იმდენად მდგრადი, რომ შესძლოს ამ მუდმივად მზარდი თავდაცვითი საჭიროებების მომსახურება სხვა სფეროების გამოხშირვის გარეშე.**

## მცირე საწარმოების ბრუნვის მოცულობა 434.4 მილიონი ლარია

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში 87390 პირია დასაქმებული. ინფორმაციას საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2006 წლის მეორე კვარტლის მონაცემებზე დაყრდნობით აქვეყნებს.

ამავე წყაროს ინფორმაციით, გამოკვლეულია 23217 მცირე საწარმო, რომელთა ბრუნვის მთლიანი მოცულობა 434,4 მილიონი ლარია. ეს მაჩვენებელი ბიზნესსექტორის მთლიანი ბრუნვის 13,9 პროცენტია. გამოშვებული პროდუქციის მთლიანმა მონაცემებმა კი 187,8 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი ბიზნესსექტორის პროდუქციის მთლიანი გამოშვების 10,9 პროცენტია.

ბიზნესის ამ სექტორში საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 346,8, გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 247,3, ხოლო მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ კაპიტალში 1,3 მილიონი ლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დასაქმებულთა შორის მამაკაცები ლიდერობენ

მცირე ბიზნესში დასაქმებულთა ტენდენციების კვლევისას აღმოჩნდა, რომ საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 78348 პირი შეადგინა, რომელთაგან 46,2 პროცენტი ქალია, ხოლო 53,8 პროცენტი - კაცი.

დასაქმებულ ქალთა უმეტესობა ვაჭრობასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ. მამაკაცთა უმეტესობა კი ავტომობილებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთებით არიან დაკავებულები. ასევე აღმოჩნდა, რომ, რეგიონების მიხედვით, დასაქმებული ქალების მეტი წილი დიდ ქალაქებში მუშაობს. კერძოდ, თბილისში ქალთა 40 პროცენტია დაკავებული. რეგიონების მიხედვით კი პროცენტები შემდეგნაირად გადანაწილდა: ქვემო ქართლი - 7,9 პროცენტი; აჭარის ა.რ. - 7,6 პროცენტი; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 7,0 პროცენტი.

დასაქმებული მამაკაცების 37,4 პროცენტი დედაქალაქში მუშაობს; იმერეთში - 15,2 პროცენტი; აჭარის ა.რ. - 10,2 პროცენტი; ქვემო ქართლში - 8,9 პროცენტი; სამეგრელო-ზემო სვანეთში - 8,4 პროცენტი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოქროს საწმისის" ოქროს საინვესტიციო მონეტების რეალიზების დრო გახანგრძლივდა

“ოქროს საწმისის" ოქროს საინვესტიციო მონეტების რეალიზაციის წესში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ცვლილება შეიტანა. დღეიდან ოქროს მონეტების ყიდვა საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში შესაძლებელი იქნება მთელი დღის განმავლობაში - 10.00-დან 13.00-მდე და 14.10-დან 15.30-მდე. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რეალიზაციის წესში ცვლილების შეტანა მოსახლეობის მხრიდან ოქროს მონეტაზე დიდმა მოთხოვნამ განაპირობა.

“ოქროს საწმისის" ოქროს მონეტების სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება “ლონდონის ძვირფასი ლითონების ზოდების ბაზრის ასოციაციის" ვაჭრობებზე დადგენილი ოქროს ფასის მიხედვით. ლონდონში ვაჭრობა დღეში ორჯერ იმართება. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში “ოქროს საწმისის" მონეტებზე ფასის გაანგარიშებაც დღეში ორჯერ მოხდება. 10.00-დან 13.00 საათამდე ოქროს საინვესტიციო მონეტების რეალიზაცია განხორციელდება “ლონდონის ძვირფასი ლითონების ზოდების ბაზრის ასოციაციაში" წინა დღის მეორე ნახევარში (ლონდონის დროით 15.00 საათზე) დაფიქსირებული ფასის საფუძველზე, ხოლო 14.10-დან 15.30-მდე ოქროს საინვესტიციო მონეტები გაიყიდება ლონდონში იმავე დღის პირველ ნახევარში (ლონდონის დროით 10.30 საათზე) დადგენილი ფასის მიხედვით.

საქართველოს ოქროს ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით, “ოქროს საწმისის" მონეტები რამდენადმე იაფია.

შესაბამისად, ქართული ოქროს საინვესტიციო მონეტები სწრაფი ტემპით იყიდება, ამიტომ, დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, მცირე წონის სამი დასახელების ოქროს მონეტა ავსტრიის ზარაფხანაში დამატებით მოიჭრება. **ჯი-ეიჩ-ენი**